ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის

2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

1. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექ-ტები (სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმა)

1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1. „აჭარულ და ტაო-კლარჯულ კილოთა სიტყვის კონა“. ენათმეცნიერება (ლექსიკოლოგია).

2. ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფონდებში დაცული ეთნოგრაფიული მასალების (საექსპედიციო დღიურები, ვიზუალური მასალა) თემატური დამუშავება, გამოსაცემად მომზადება და გამოცემა. სოციალური მეცნიერებანი (ეთნოლოგია)

3. ქ. ბათუმის სხვადასხვა სოციალური ჯგუფის სოციოლოგიური კვლევა (რესპოდენტთა სოციოლოგიური გამოკითხვის მასალების მიხედვით). სოციალური მეცნიერებანი (სოციოლოგია)

4. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XV-XX ს-ის 90-იან წწ. - ქართველოლოგიური მეცნიერებები (ისტორია)

5. ციხისძირის კომპლექსური არქეოლოგიური ძეგლი (ისტორიულ–არქეოლოგიური კვლევა) - ქართველოლოგიური მეცნიერებები (არქეოლოგია)

2) პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. 2018-2022 წწ.

2. 2018-2022წწ.

3. 2018-2022წწ.

4. 2018-2022 წწ.

5. 2018-2022 წწ.

3) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ელზა ფუტკარაძე (პროექტის ხელმძღვანელი)

ნანული ნოღაიდელი (მკვლევარი)

ციალა ნარაკიძე (მკვლევარი)

ნარგიზ ახვლედიანი (მკვლევარი)

ნაილე მიქელაძე (მკვლევარი)

2. ნოდარ კახიძე (პროექტის ხელმძღვანელი)

როინ მალაყმაძე (მკვლევარი)

ნაილა ჩელებაძე (მკვლევარი)

თამილა ლომთათიძე (მკვლევარი)

ჯემალ ვარშალომიძე (მკვლევარი)

რუსლან ბარამიძე (მკვლევარი)

ჯემალ მიქელაძე (მკვლევარი)

3. ნუგზარ ჩხაიძე (მკვლევარი)

4. უჩა ოქროპირიძე (პროექტის ხელმძღვანელი)

ოთარ თურმანიძე (მკვლევარი)

მერაბ მეგრელიშვილი (მკვლევარი)

5. გიორგი თავამაიშვილი (პროექტის ხელმძღვანელი)

ნინო ინაიშვილი (მკვლევარი)

მაია ჭიჭილეიშვილი (მკვლევარი)

ირინე ვარშალომიძე (მკვლევარი)

მერაბ მეგრელიშვილი (მკვლევარი)

სულხან მამულაძე (მკვლევარი)

კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

2.პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექ-ტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1. „აჭარულ და ტაო-კლარჯულ კილოთა სიტყვის კონა“. ენათმეცნიერება (ლექსიკოლოგია).

2. ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფონდებში დაცული ეთნოგრაფიული მასალების (საექსპედიციო დღიურები, ვიზუალური მასალა) თემატური დამუშავება, გამოსაცემად მომზადება და გამოცემა. სოციალური მეცნიერებანი (ეთნოლოგია)

3. ქ. ბათუმის სხვადასხვა სოციალური ჯგუფის სოციოლოგიური კვლევა (რესპოდენტთა სოციოლოგიური გამოკითხვის მასალების მიხედვით). სოციალური მეცნიერებანი (სოციოლოგია)

4. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XV-XX ს-ის 90-იან წწ. - ისტორია

5. ციხისძირის კომპლექსური არქეოლოგიური ძეგლი (ისტორიულ–არქეოლოგიური კვლევა) - არქეოლოგია

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2018- 2022 წწ.

2. 2018-2022 წწ.

3. 2018-2022 წწ.

4. 2018-2022 წწ.

5. 2018-2022 წწ.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ელზა ფუტკარაძე (პროექტის ხელმძღვანელი)

ნანული ნოღაიდელი (მკვლევარი)

ციალა ნარაკიძე (მკვლევარი)

ნარგიზ ახვლედიანი (მკვლევარი)

ნაილე მიქელაძე (მკვლევარი)

2. ნოდარ კახიძე (პროექტის ხელმძღვანელი)

როინ მალაყმაძე (მკვლევარი)

ნაილა ჩელებაძე (მკვლევარი)

თამილა ლომთათიძე (მკვლევარი)

ჯემალ ვარშალომიძე (მკვლევარი)

რუსლან ბარამიძე (მკვლევარი)

ჯემალ მიქელაძე (მკვლევარი)

3. ნუგზარ ჩხაიძე (მკვლევარი)

4. უჩა ოქროპირიძე (პროექტის ხელმძღვანელი)

ოთარ თურმანიძე (მკვლევარი)

მერაბ მეგრელიშვილი (მკვლევარი)

5. გიორგი თავამაიშვილი (პროექტის ხელმძღვანელი)

ნინო ინაიშვილი (მკვლევარი)

მაია ჭიჭილეიშვილი (მკვლევარი)

ირინე ვარშალომიძე (მკვლევარი)

მერაბ მეგრელიშვილი (მკვლევარი)

სულხან მამულაძე (მკვლევარი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. როგორც ცნობილია, ენათმეცნიერული თვალსაზრისით საინტერესო ლინგვისტურ სურათს გვიჩვენებს სამხრულ-დასავლური დიალექტები-აჭარული და ტაო-კლარჯული. ამ კილოთა სიტყვიერი მასალის შესწავლა მრავალმხრივ მნიშვნელოვანი და აქტუალურია. კვლევის მიზანია დიალექტის ლექსიკონის მომზადება. ამ მიმართებით გვაქვს შ. ნიჟარაძის ლექსიკონი, ასევე, არის სხვადასხვა სალექსიკონო მასალები. თუმცა აღნიშნული სრულად ვერ ასახავს დიალექტის ლექსიკურ მარაგს. ჩვენ მიერ მომზადებულ ლექსიკონში, ბუნებრივია, აღნიშნული მასალებიც შევა. გარდა ამისა, ლექსიკონში აისახება ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის, აარ. ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებში დაცული და ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა მრავალწლიანი სამეცნიერო საქმიანობის შედეგად მოძიებული სალექსიკონო მასალა. შესაბამისად, მომზადდება დიალექტის მეტნაკლებად სრულყოფილი ლექსიკონი. პროექტით გათვალისწინებულ საკვლევ საკითხზე მუშაობისას გამოვლინდა ახალი ლექსიკური ერთეულები, ლექსიკური დიალექტიზმები. ეს, თავის მხრივ, მივიწყებულ ლექსიკურ ერთეულებს გამოავლენს და ხელს შეუწყობს არა მხოლოდ საკვლევი დიალექტის, არამედ სალიტერატურო ენის განვითარებას, მისი ლექსიკური ფონდის გამდიდრებას. ბუნებრივია, ამ კუთხით კვლევა შესაძლებლობას მოგვცემს აჭარული და ტაო-კლარჯული კილოების ლექსიკური თავისებურებების საფუძვლიანად და სრულყოფილი შესწავლილი იქნეს. მიმდინარე წელს, განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ მოძიებული და ბარათებზე გადატანილი ლექსიკური ერთეულები დალაგდა ანბანურ რიგზე. მოხდა ლექსიკური ერთეულების შედარება ქართული სალიტერატურო ენის დიალექტების ლექსიკონებთან, რაც კოლოსალური და შრომატევადი საქმიანობაა. აღნიშნულ საქმიანობაში ჩართული იყო განყოფილების ყველა მეცნიერ-თანამშრომელი (ე. ფუტკარაძე, ნ. ნოღაიდელი, ც. ნარაკიძე, ნ. ახვლედიანი, ნ. მიქელაძე).

პროექტით გათვალისწინებული კვლევის მიმდინარე ეტაპზე, მოძიებული მასალა საინტერესოა ლექსიკოლოგიური თუ დიალექტოლოგიური კუთხით. კვლევას აქვს თეორიულ -პრაქტიკული ღირებულება. დიალექტის ლექსიკის საფუძვლიანი შესწავლა გარკვეულ წვლილს შეიტანს ზოგადი ენათმეცნიერების განვითარებაში. საბოლოოდ კი გამოიცემა დიალექტის მეტნაკლებად სრულყოფილი ლექსიკონი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ აღნიშნული კუთხით კვლევა შემოგვინახავს დიალექტის ლექსიკურ სახეს. მასალას გამოიყენებენ ისტორიკოსები, არქეოლოგები, ეთნოლოგები, ხელოვნებათმცოდნეები, ენათმეცნიერები. ასევე, გზამკვლევი იქნება სტუდენტებისა და საკითხით დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

2. 2021 წელს განხორციელდა პროექტის მეოთხე ეტაპის სამუშაოები, კერძოდ, მესაქონლეობა-მეფუტკრეობა-მონადირეობასთან დაკავშირებული საექსპედიციო მასალების შესწავლა, რომლებიც შეკრებილია 1958-1984 წლებში და ინახება ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოგრაფიულ ფონდებში. მოხდა ეთნოგრაფიული მასალის თემატური დამუშავება წლების მიხედვით, მასალების სისტემატიზაცია, გამოვლინდა მეტად საინტერესო მასალა აჭარაში მესაქონლეობის ფორმების, მესაქონლეობაში შრომის ორგანიზაციის სახეების, მესაქონლეობის პროდუქტების, მეფუტკრეობის ფორმების, მეფუტკრეობის პროდუქტების, მონადირეობის ტრადიციების, მონადირეობა-მეთევზეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ. მომზადდა საილუსტრაციო მასალები. მომზადებული მასალების საფუძველზე გამოიცემა პროექტის მეოთხე ტომი.

3. 2021 წელს განხორციელდა პროექტის მეოთხე ეტაპის - ქ. ბათუმში მცხოვრები, უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდების უმუშევრობის ძირითადი მიზეზები და მათი გადაჭრის გზები (სოციოლოგიური ანალიზი) - კვლევა. შესწავლილი იქნა ქ. ბათუმში მცხოვრები, უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდების უმუშევრობის ძირითადი მიზეზები და მათი გადაჭრის გზები. ჩატარდა სოციოლოგიური კვლევა;(რესპოდენტების შერჩევა, ადაპტირებული კითხვარის მომზადება, გამოკითხვის ჩატარება, მოპოვებული მასალის დამუშავება;სოციოლოგიური ანალიზი). ანკეტირების შედეგების სოციოლოგიური ანალიზის საფუძველზე დადგინდა უმაღლესი განათლების მქონე პირთა შორის უმუშევრობის გამომწვევი ძირითადი მიზეზები და ფაქტორები, გამოვლინდა ის რეალური პრობლემები, რაც ხელს უშლის უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდების დასაქმებას; მიზეზები, რაც ხელს უშლის მათ მოგვარებას; შემუშავდება რეკომენდაციები ამ პრობლემების აღმოსაფხვ-რელად.

4. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XV-XX ს-ის 90-იან წწ.

ა) **უჩა ოქროპირიძე**

2021 წლის ეტაპი - „სამხედრო-კრიმინალური გადატრიალება და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (აჭარა) – 1991. 22. 12 - 1992. 11. 10“

ნაშრომში შესწავლილია საქართველოს მდგომარეობა სამხედრო-კრიმინალური გადატრიალებიდან და მისი გავლენა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე, კერძოდ აჭარაზე, რასაც მოყვა კონფლიქტების განსაკუთრებული გაღვივება სამეგრელოსა, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში; ამასთან, რუსეთ-საქართველოს ომის ახალი ესკალაცია აფხაზეთში და მისი გამოძახილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. განხილულია ე.წ. აფხაზეთის ომის წინაპირობები და აღნიშნული ესკალაციის ხელოვნური გაღვივება, მისი დაწყება და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (აჭარა) შექმნილი ვითარება, მდგომარეობის უკიდურესი დაძაბვა დასავლეთ საქართველოში და მისი შედეგები.

გაანალიზებულია ე. წ. „იმედის არჩევნებისათვის“ ქვეყანაში შექმნილი წინა საარჩევნო ფონი, საქართველოსა და აჭარაში წარმოებული საარჩევნო კომპანია, მისი შედეგები და საერთაშორისო შეფასებანი.

ბ) **ოთარ თურმანიძე**

2021 წლის ეტაპი -„მასობრივი რეპრესიები აჭარაში XX საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში“

ნაშრომი დაწერილია პირველწყაროების - საარქივო მასალის, გამოქვეყნებული ოფიციალური დოკუმენტების, მემუარული ლიტერატურისა და საველე მუშაობის დროს შეკრებილი მასალების საფუძველზე. დღემდე გამოქვეყნებული სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის შედეგად დადგენილია საკითხის კვლევის არსებული დონე. ამის გათვალისწინებით ნაშრომი მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს. კვლევა-ძიების ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები ის არის, რომ ნაშრომში მოცემულია მასობრივი რეპრესიების იდეოლოგიური საფუძვლები და პოლიტიკური

მოტივაცია, რეპრესიების მასშტაბი და აჭარის რეგიონისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი.

მნიშვნელობა ენიჭება იმასაც, რომ აჭარაში მასობრივი რეპრესიები შესწავლილია კომპლექსურად. პოლიტიკურთან ერთად გაშუქებულია ეკონომიკური, სოციალური და იდეოლოგიური ხასიათის რეპრესიები. ამასთან, მასობრივი რეპრესიები შესწავლილია დიფერენციულად. ამ ჭრილში განხილულია სახელმწიფო ორგანოების, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კადრების რეპრესიები. ამის შედეგად აჭარაში სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამოცდილი კადრების დიდი დეფიციტი შეიქმნა. ნაშრომში ასევე განხილულია ინტელიგენციისა და სასულიერო პირების, სამეურნეო-საწარმოო კადრების, ე. წ. კულაკებისა და ხელისუფლებისათვის სხვა არასაიმედო ადამიანების მასობრივი წამება და ფიზიკური განადგურება.

გამოკვლევაში გაანალიზებულია საბჭოთა კავშირის, საქართველოსა და აჭარის შინაგან საქმეთა ორგანოების ანტისაზოგადოებრივი საქმიანობა. დახასიათებულია აჭარის შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკების თვისებრივ-რაოდენობრივი შემადგენლობა, მათი განათლებისა და კულტურის დონე, პოლიტიკური და ზნეობრივი თვისებები. ნაშრომში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ აჭარის შინაგან საქმეთა კომისარიატის პოლიტიკური სამმართველოს სისტემა ზნეობრივად გახრწნილი და გადაგვარებული იყო, რამაც საბედისწერო როლი შეასრულა ადამიანების მასობრივ რეპრესიებში. კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები შეჯამებულია დასკვნაში. აქვე მოცემულია რეპრესირებულთა რეაბილიტაცია და ამ ადამიანების გამოცხადება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, რაც მოგვიანებით განხორციელდა.

გ) მერაბ მეგრელიშვილი

2021 წლის ეტაპი -„ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ბათუმის ოლქში დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობის პერიოდში - 1918-1921 წწ.“

რუსეთის 1917 წლის 17 თებერვლის რევოლუციამ, მეფის ტახტიდან გადადგომამ და დემოკრატიული პროცესების განვითარებამ რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ერებს დამოუკიდებლობის მოპოვების იმედი ჩაუსახა.

1918 წელს გურიასა და აჭარაში ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებით აქტიურობდა სამუსლიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელი კომიტეტის წევრები, რომლებიც, პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ხშირად გადაადგილდებოდნენ ოზურგეთში, სადაც იმართებოდა საიდუმლო შეხვედრები ოსმალეთის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის გეგმის შესადგენად. ოზურგეთის სამაზრო ერობასთან დაფუძნდა ქართველ მეომართა დამხმარე კომიტეტი. ასეთივე კომიტეტები დაარსდა გურიის ყველა სოფელში. თავდაცვის დღედ გამოცხადდა 5 იანვარი. ამ დღეს თავდაცვის საჭიროებაზე და მის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე იმართებოდა მიტინგები.

აჭარის სახელმწიფო არქივში ინახება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის აკაკი ჩხენკელის მიერ ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სახელზე გაგზავნილი 1917-1918 წლებით დათარიღებული წერილები, რომლებიც შედგენილია ფრანგულ და გერმანულ ენებზე. საყურადღებოა საქართველოს მუსლიმთა განმანთავისუფლებელიკომიტეტის1918 წლის 3 აგვისტოს წერილი, რომელსაც ხელს აწერენ ჰაიდარ და ზია აბაშიძეები, ყადირ შერვაშიძე და სულეიმან დიასამიძე, წერილებისადმი ინტერესს განაპირობებს ის გარემოებაც, რომ იგი ქრონოლოგიურად ემთხვევა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინარე პერიოდს.

საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტის წევრთა 1917-1919 წლების წერილების შინაარსი მიანიშნებს ქართველ პატრიოტთა საბრძოლო სულისკვეთებაზე, მათ სულიერ სწრაფვაზე ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღწევის გზაზე. ქართველ კაცში იმდენად ძლიერი იყო რუსეთის დესპოტურ, საოკუპაციო რეჟიმთან შეურიგებლობის გრძნობა, რომ ზოგჯერ ქვეყნის განთავისუფლების ჟინით შეპყრობილი მამულიშვილნი, ნებსით თუ უნებლიედ უცხო ძალაზე ამყარებდნენ იმედს.

1917-1918 წწ. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებზე განიხილავდნენ გურიასა და აჭარაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას.

საქართველოს ეროვნული საბჭო აღნიშნულ რეგიონებს, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობის გამოცოცხლების მიზნით უწევდა ფინანსურ დახმარებას.

მე-20 საუკუნის 20-იან წლებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ქართველი კაცი არასოდეს შეგუებია დაკარგულ თავისუფლებას და ყოველდღე იბრძოდა სამშობლოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის, რასაც დღეს მიაღწია კიდეც, მაგრამ მას შენარჩუნება და გაძლიერება- განმტკიცება სჭირდება.

5. ციხისძირის კომპლექსური არქეოლოგიური ძეგლი (ისტორიულ–არქეოლოგიური კვლევა)

ა) **გიორგი თავამაიშვილი**

2021 წლის ეტაპი - „ციხისძირის ადრერკინის ხანის დიუნური სადგომები“

აჭარის ზღვის სანაპირო ზონა დაახლოებით 50 კმ სიგრძის და საშუალოდ 0,1-0,3 კმ სიგანის სუსტად შეზნექილი რკალის სახით არის გაჭიმული მდ. ნატანების შესართავიდან საქართველო-თურქეთის საზღვრამდე. გავრცელების დიდ ნაწილზე სანაპირო ზონა წარმოდგენილია სხვადასხვა სიგანის ქვიშა-კენჭოვანი პლაჟებით და ძველი ნაპირგასწვრივი ქვიშნარი ზვინულების ზოლით. ეს უკანასკნელი თანამედროვე და ძველი ზვინულებისაგან შედგება და აჭარის ზღვისპირეთის მნიშვნელოვან გეომორფოლოგიურ ელემენტს წარმოადგენს. ნაპირგასწვრივი ზვინულების ზოლი კარგად არის გამოსახული ზღვისპირა რელიეფში ქობულეთის ვაკის სანაპირო ზონაში - ციხისძირის კონცხიდან მდ. ნატანების შესართავამდე. ზვინულების ზოლის სიგანე სანაპიროს აღნიშნულ მონაკვეთზე საშუალოდ 150-250 მ-ს, ხოლო შეფარდებითი სიმაღლე საშუალოდ 3-6 მ-ს საზღვრებში ცვალებადობს.

ზღვისპირა ზოლის სამეურნეო ათვისების ხანა გამყინვარების შემდგომ პერიოდს შეიძლება დავუკავშიროთ, როდესაც ნეოლითელმა ადამიანმა საფუძველი ჩაუყარა მწარმოებლურ მეურნეობას. მიუხედავად იმისა რომ ძვ.წ. IV ათასწლეულში ფაქტობრივად დამთავრდა სანაპირო ზოლის ფორმირება, მომდევნო ხანაში მაინც ჰქონდა ადგილი მცირე მასშტაბის რყევებს, რომელიც ხელს უწყობდა სანაპირო ტერიტორიებზე აკუმულაციური ვაკეების წარმოქმნა-განვითარებას. ამ მოვლენების შედეგად ძვ.წ.

IV ათასწლეულის შუა ხანებში ზღვისპირა მოსახლეობამ ეს ადგილები მიატოვა, რომელიც შემდგომ ნატანის სქელი ფენით დაიფარა. ამიტომ, კოლხეთის ნეოლითური ნამოსახლარები პრაქტიკულად მიუწვდომელია არქეოლოგებისთვის. ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში კვლავ ჩნდება საშუალება სანაპირო ზოლში დასახლებისთვის, თან ისეთი კარგი გეოკლიმატური პირობებით, რომ აქ მიკვლეული ისპანის ადრე ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარზე სახლები უშუალოდ ჯარგვალზე იყო გამართული (I კულტურული დონე). ძვ.წ. III ათასწლეულის შუა წლებში ტრანსგრესული მოვლენების განვითარების კვალობაზე მდინარეებს ეკეტებათ ზღვაზე გასასვლელი და იწყება ფართო ტერიტორიების დაჭაობება. ისპანელები, რომელთაც აქ სამეურნეო ცხოვრება ჰქონდათ აწყობილი, ასე მარტივად ვერ შეელიენ საცხოვრისს და ჯარგვალის ნაცლად სახლები ხიმინჯებზე გამართეს (II კულტურული დონე). მაგრამ ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულს, როდესაც დასრულდა ახალშავზღვური ტერასის რელიეფის ფორმირება. მოსახლეობა იძულებული გახდა დაეტოვებინა სამოსახლო და ეს ადგილები კვლავ ტორფის სქელი ფენით დაიფარა. II ათასწლეულის შუა წლებში დაიწია მდინარეების ეროზიულმა ბაზისმა და დაიწყო დაშრობა იმ მიწებმა, მდინარეებით და ჭაობებით იყო დაფარული. შუა ბრინჯაოს ხანაში მოსახლეობა კვლავ დაუბრუნდა ძველ ადგილებს და ანახლებს სამეურნეო საქმიანობა (ნამჭედურის გორა-სამოსახლო). გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე აკუმულაციურ ველზე გაჩენილი მიწათმოქმედ თემთა დასახლებები უკვე ადრერკინის ხანაში სამეურნეო განვითარების მაღალ დონეს აღწევენ (ნამჭედური, ჩოლოქისპირა ნამოსახლარები, ურეკი, ციხისძირი, ბობოყვათი). სამეურნეო დარგებიდან დაწინაურებული ჩანს მიწათმოქმედება, მეცხოველეობა, მეთევზეობა, მეთუნეობა, ფეიქრობა, მშენებლობა და რკინის მეტალურგია. ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში ახალშავზღვურ ტერასაზე ჩნდება სეზონური სადგომები, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა სამეურნეო საქმიანობით იყო დაკავებული. მოგვიანო პერიოდში ზღვისპირა ზოლში საფუძველი ეყრება ქალაქების ჩამოყალიბების პროცესსაც.

ბობოყვათის დიუნური სადგომი მდებარეობს ზღვის თანამედროვე ნაპირიდან 200-250 მეტრის დაშორებით. სადგომს ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრება მდ. დეხვას ძველი კალაპოტი, დასავლეთით ბათუმ-ქობულეთის საავტომობილო გზა, სამხრეთით სადგომის გავრცელების საზღვრები დადგენილი არ არის. შესწავლილი ტერიტორიის საერთო ფართობმა 12 ათასი კვ.მ. შეადგინა, ხოლო

დიუნური სადგომის ნაშთი დადასტურდა ჩრდილო -დასავლეთ ნაწილში, მდინარე დეხვას ძველი კალაპოტის ზღვასთან შეერთების ადგილას. როგორც ჩანს, სადგომის ფუნქციონირების დროს ზღვა საკმაოდ ახლოს იყო დასავლეთის საზღვართან. საწინააღმდეგო მიმართულების ფერდზე კი ფენები შემდეგი თანმიმდევრობით არის განლაგებული: 1. ქარის მოქმედებით წარმოქმნილი მკვრივი შავი ფენა, რომელშიც გვიანი შუასაუკუნეებისა და შემდგომი პერიოდის მასალაც ერთმანეთში იყო არეული (0,25-1,5მ სიმძლავრის)2. ყავისფერი მიწანარევი ქვიშნარი ელინისტური ხანის მასალების შემცველი (0,2-0,3მ სიმძლავრის)3. სილნარი ფენა, რომელიც თითქმის სტერილურ შრეს წარმოადგენს და 4. დიუნური მასალების შემცველი მოწითალო-მოშაო ქვიშნარი ფენა (0,25-0,40მ სიმძლავრის). აღნიშნული ფენები ბუნებრივი დარეცხვის გამო დიუნის ძირისკენ უფრო მძლავრი დანაშრევით არიან წარმოდგენილი. დიუნური კერამიკის შემცველი ფენა ყველგან უწყვეტ ზოლად არ ფიქსირდება. ის ძირითადად ცალკეული ბუდობების სახითაა გამოკვეთილი. ბობოყ-ვათის დიუნური სადგომი ჩაქვის სადგომის მსგავსად ერთფენიანი ძეგლი აღმოჩნდა. ზღვისპირა ქვიშაზვინულებზე მკვეთრად გამოხატული ნაგებობათა ნაშთები ჯერჯე-რობით მიკვლეული არ არის. დიუნური სადგომები ადამიანთა სეზონურ საქმიანობას უკავშირდება და აქედან გამომდინარე ალბათ დიდი ნაგებობების მშენებლობის აუცილებლობაც არ არსებობდა. დროებით საცხოვრებლად მსუბუქ გადახურვიანი „ფაცხისებური“ ნაგებობა უნდა ყოფილიყო გამოყენებული. საცხოვრებელ და სამეურნეო მოედნებზე უკეთ შემონახულია საკულტო ცერემონიალებისათვის მოწყობილი ადგილები - სამსხვერპლოები. ციხისძირის და განსაკუთრებით ბობოყვათის სადგომის გათხრებმა საგრძნობლად შეავსო ჩვენი ცოდნა სამსხვერპლოების კონსტრუქციისა და აგების ძირითადი პრინციპის შესახებ.

ზღვისპირა სადგომების ხასიათის შესახებ გამოთქმული ვარაუდებიდან, მისაღებად გვეჩვენება ნ. ხოშტარიასა დაა. რამიშვილის მოსაზრება ზღვისპირა სადგომების ხასიათის დაკავშირებისა მაგნეტიტური ქვიშების მოპოვებასთან. ჩვენი პოზიცია დაფუნებულია როგორც სადგომების არქეოლოგიური მასალის ანალიზზე ასევე იმ მონაცემებზე, რაც დღევანდელ ეტაპზე დაგროვდა კოლხეთის უძველესი რკინის მეტალურგიის საწარმოო კერების, როგორც არქეოლოგიური, ასევე ფიზიკური და ქიმიური მეთოდებით შესწავლის შედეგად.

ბ) **ნინო ინაიშვილი**

2021 წლის ეტაპი - „ადრეშუასაუკუნეების/ადრებიზანტიური ნაგებობები (აბანოები, ცისტერნები) და სამშენებლო კერამიკა“

ნაშრომში განხილულია პეტრა–ციხისძირის ტერიტორიაზე სხვადასხვა წლებში აღმოჩენილი არქიტექტურული ნაგებობები და მათი თანმხლები არქეოლოგიური მასალები.

პეტრას აკროპოლისი. პეტრას ციხეზე XX საუკუნის 60–იან წლებში ჩატარებული გათხრების შედეგად დადგინდა, რომ ციხე–სიმაგრის ნაშთები განლაგებული იყო ორ ბორცვზე. შედარებით მაღალ და მოზრდილ ბორცვზე განლაგებული საფორტიფიკაციო სისტემა, მის შიგნით გათხრილ ნაგებობებითურთ მიჩნეულ იქნა პეტრას შიდა ციხედ, რომელიც შედარებით მომცრო სამხრეთ ბორცვზე არსებულ კოშკთან დაკავშირებული იყო ორმაგი კედლებით.

1960–იან წლებში, ციტადელის ცენტრალურ ნაწილში გაითხარა სამნავიანი ბაზილიკა, რომელსაც აქვს წაგრძელებული პროპორციები, ხუთწახნაგა აფსიდი, სამნაწილიანი ნართექსი. შიდა საყრდენებიდან გადარჩენილია რამდენიმე ბოძის საძირკველი. ჩანს, თითო რიგში ხუთ–ხუთი ბოძი იყო განლაგებული. ბაზილიკის კედლები ნაგებია დაუმუშავებელი ქვებით დუღაბზე. აბსიდი გარედან მოპირკეთებულია თანაბარი ზომის თლილი ქვებით. საფიქრებელია, რომ ბაზილიკა გადახურული იყო ხის კოჭებისა და ნივნივებისაგან შედგენილი კონსტრუქციით. ციხისძირის ბაზილიკა VI საუკუნით თარიღდება და მიჩნეულია პეტრას საკათედრო ტაძრად. იგი საქართველოს თანადროული ეკლესიებისაგან გამოირჩევა განსაკუთრებით დიდი ზომებით.

სამნავიანი ბაზილიკის დანგრევის შემდგომ, მის ადგილას აგებულ იქნა პატარა დარბაზული ეკლესია, რომელმაც მოიცვა ძველი ბაზილიკის ცენტრალური ნავი და აფსიდის ნაწილი. თანმხლები არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ეკლესია აგებული უნდა იყოს X-XIV საუკუნეებში. ოსმალების პერიოდში ეს ეკლესია მეჩეთად გადაკეთდა.

სამნავიანი ბაზილიკის სამხრეთ–აღმოსავლეთით გაითხარა აბანო, რომელიც სამხრეთ–დასავლეთიდან ჩრდილო–აღმოსავლეთისაკენ წაგრძელებული სწორკუთხედის მოყვანილობის ნაგებობაა და შედგება ანფილადურად განლაგებული ხუთი განყოფილებისაგან: გასახდელ–მოსაცდელის, ცივი, თბილი, ცხელი და საქვაბე განყოფილებებისაგან. ამ ნაგებობის თავისებურებას წარმოდგენს აბანოს წინ მოწყობილი პორტიკი, რომლისგანაც შემორჩენილია ბოძებისა და კონტრფორსების ნაშთები. სტრატიგრაფიული მონაცემებისა და სამნავიან ბაზილიკათა კომპოზიციური კავშირის გამო ციხისძირის აბანო VI საუკუნეს განეკუთვნება.

პეტრას ნაქალაქარი. ციხისძირის აკროპოლისიდან 500 მეტრის დაშორებით ზღვისპირა სანაპირო ზოლში მდებარე დაბლობში 1980–იან წლებში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი იქნა აბანო, ვილა და ეკლესია. ნაგებობები თარიღდება IV-VI საუკუნეებით. არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა მკვლევართა მიერ ადრე გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ პეტრა–ციხისძირის ნაქალაქარი განლაგებული უნდა ყოფილიყო პეტრას აკროპოლისის ჩრდილოეთით, ზღვის სანაპირო ზოლში.

აბანო №1 შედგება ანფილადურად განლაგებული ექვსი განსხვავებული ფუნქციის მქონე განყოფილებისაგან, ესენია: აპოდიტერიუმი, ფრიგიდარიუმი, ტეპიდარიუმი, კალდარიუმი და პრეფურნიუმი (საქვაბე). აბანოს ზომები: სიგრძე 20 მ, სიგანე 10 მ). ნაგებობა ძირითადად შემორჩენილია საძირკვლის დონეზე, ხოლო ოთახები, რომლებიც თბებოდა, შემორჩენილია ჰიპოკაუსტის დონეზე. აბანოს საძირკვლები და კედლები დამზადებულია უხეშად დამუშავებული ქვებისაგან კირხსნარზე. სამშენებლო მასალად გამოყენებულია ასევე აგური.

№1 აბანოს აღმოსავლეთით გაითხარა №2 აბანო, რომლის კედლები საძირკვლის დონეზეა შემორჩენილია. №2 აბანოს გეგმარება და სამშენებლო ტექნიკა მსგავსია №1 აბანოსი, თუმცა განსხვავებულია ზომებით. №2 აბანოს ზომები: სიგრძე 13 მ, სიგანე 8 მ. ის შედგება ანფილადურად განლაგებული ხუთი განყოფილებისაგან. ორივე აბანო (აკროპოლისის აბანოს მსგავსად) დაგეგმარებით კასტელის ტიპის აბანოების მსგავსია. ნაქალაქარის აბანოები აგებული უნდა იყოს მეოთხე საუკუნის მეორე ნახევარში ან მეხუთე საუკუნის დასაწყისში. დათარიღება ემყარება აქ აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალას, რომელიც მოიცავს მინის ნაკეთობებს და მონეტებს, რომლებიც მიეკუთვნება

კონსტანტინე დიდს (306-337) ან მის მემკიდრეებს. ამ ტიპიური გვიანრომაული აბანოებისაგან ერთ–ერთი საზოგადოებრივია (№1 აბანო), ხოლო აბანო №2 კერძო დანიშნულებისაა.

ნაქალაქარის ტერიტორიაზე გაითხარა ასევე გვიანრომაული–ადრებიზანტიური ხანის ვილა. ნაგებობა შედგება სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების მქონე განყოფილებებისაგან. მისი დომინანტური ნაწილი წაგრძელებულია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ და შიდა ეზოს შთაბეჭდილებას ქმნის. ჩრდილოეთით მას ესაზღვრება აბანო, რომელიც წაგრძელებულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. „შიდა ეზო“ სამხრეთ–დასავლეთითა და სამხრეთ–აღმოსავლეთით აღჭურვილია სწორკუთხა, კოშკისებური სათავსებით. მთლიანად ნაგებობა ორიენტირებულია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. მისი სიგრძე 27,8 მეტრია და სიგანე 20 მეტრი, ხოლო სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილებში 20–20 მეტრი. შიდა ეზოს აღმოსავლეთით მიშენებული აქვს პატარა ეკლესია, რომელიც აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდითაა აღჭურვილი.

ნაგებობის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე აბანო შედგება ანფილადურად განლაგებული ექვსი სათავსისგან: აპოდიტერიუმი, ფრიგიდარიუმი, კალდარიუმი. გათხრებმა გამოავლინა აბანოს ინტერიერის მარმარილოს მორთულობა. ფრიგიდარიუმის ჩრდილო–დასავლეთ ნაწილში, ფრაგმენადაა შემორჩენილი მოზაიკა დამზადებული *opus sectile* ტექნიკით. მოზაიკური იატაკის ერთ–ერთ მარმარილოს ფილაზე შემორჩენილია ბერძნული წარწერა: ΚΚΥΡΙΕΒ (ΚυριεΒοηθει – უფალო შემეწიე). ვილა გარშემოვლებული იყო ქვის გალავნით, რომლის შიგნით აღმოჩნდა მიწაში ჩაფლული იყო სხვადასხვა ზომის 24 ქვევრი.

ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლენილი იქნა ეკლესიის ნაშთები, რომელიც საძირკვლის დონეზეა გადარჩენილია და სამ სამშენებლო პერიოდისაგან შედგება. თავდაპირველად, აქ იდგა პატარა დარბაზული ეკლესია; მეორე სამშენებლო პერიოდში, შედარებით დიდი ეკლესია იყო ააგეს დამატებითი მინაშენებით ჩრდილო–აღმოსავლეთითა და სამხრეთ–აღმოსავლეთით და კარიბჭით დასავლეთის მხრიდან. შემდგომ საფეხურზე ხდება ეკლესიის გაფართოება ჩრდილოეთ, სამხრეთ და დასავლეთის მიმართულებით. სამარხები გამართულია დიდი ეკლესიის ფუნქციონირების პერიოდში, ახალი მინაშენის საზღვრებში ჩნდება ქრისტიანული,

უინვენტარო ორმოსამარხები და ერთი ამფორა–სამარხი. სამარხებში აღმოჩენილი ფიბულების მიხედვით სამარხები და ეკლესიაც თარიღდება ახ.წ. VI-VII საუკუნეებით.

გ) მაია ჭიჭილეიშვილი

2021 წლის ეტაპი - „ბობოყვათის დარბაზული ეკლესია“

ნაშრომში განხილულია ბობოყვათის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ადრეული შუა საუკუნეების საეკლესიო არქიტექტურის ძეგლები. საძირკვლის დონეზე შემორჩენილი სამშენებლო ფენების მიხედვით სხვადასხვა პერიოდის სამი ნაგებობის ნაშთია დადასტურებული. სწორკუთხა ფორმის შენობის ადგილას პირველი ფენის, ნახევარწრიული აფსიდით დასრულებული მცირე ზომის ერთნავიანი ეკლესია იყო აღმართული. კედლებისა და აფსიდის სისქის მიხედვით იგი წარმოადგენდა რიყის ქვის საძირკველზე დამყარებულ მცირე სამლოცველოს კამაროვანი გადახურვით. ე.წ. მცირე ეკლესიის აფსიდის კიდეები რამდენადმე სცდება სწორკუთხა შენობის კედლებს, რაც ადასტურებს მის მოგვიანო დაშენებას. შესაძლოა აფსიდი ჩაწერილი იყო ეკლესიის სწორკუთხა მოხაზულობაში. ამავე ნაგებობათა ნაშთებზე ადრეული შუა საუკუნეების პერიოდშივე აგებული შვერილი, ნახევარწრიულ აფსიდიანი დარბაზული ეკლესია გამოირჩევა შედარებით დიდი ზომებით, სივრცის გაფართოების ტენდენციით, აფსიდის ნალისებური ფორმითა და უფრო სქელი, მოზრდილი რიყის ქვითა და დუღაბით ნაგები სქელი კედლებით. ამ სამლოცველოს საკურთხეველი ფაქტობრივად შემოსაზღვრავს წინარე პერიოდის აფსიდს და მასთან ერთად ეფუძნება სწორკუთხა ნაგებობის კედელს. გვერდითი სადგომების გარეშე წარმოდგენილ სამლოცველოს, სამხრეთ-აღმოსავლეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით ერთვის სხვადასხვა ზომის ოთხკუთხა სათავსები. სამხრეთ-აღმოსავლეთ სათავსში დადასტურებულია პრიზმისებური ფორმის ღრმული, სავარაუდოდ, სამარხისათვის. სათავსის ფორმა, გეგმასთან კავშირი და კედლების განსხვავებული სისქე მიუთითებს, რომ თავდაპირველად ნაგებობას მხოლოდ ჩრდილოეთი მინაშენი ერთვოდა. სამხრეთის მინაშენი კი მოგვიანებით უნდა იყოს აგებული, რასაც ადასტურებს კედლის მიერთება საკურთხევლის აფსიდის კუთხესთან. სამხრეთ-აღმოსავლეთი მინაშენის

თანადროული უნდა იყოს დასავლეთი კარიბჭეც. სამშენებლო ფენებისა და არქეოლოგიური გათხრების შედეგად დასტურდება, რომ მცირე დროშივე უნდა მომხდარიყო ეკლესიის გაფართოება სამ მხარეს-დასავლეთი ჩრდილოეთითა და სამხრეთით არათანაბარი ფორმის ნავებისა და დასავლეთის გარშემოსავლელის დამატებით. ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გამოვლენილია სამარხები. შესაძლოა ეკლესიის გაფართოების გადაწყვეტილებას სწორედ განსასვენებელი სივრცეების მოწყობის მოთხოვნით იყო განპირობებული.

არქიტექტურული თვალსაზრისით ეკლესიის გეგმარება - პილასტრების გარეშე წარმოდგენილი კედლები ,ნალისებური შვერილი აფსიდი, მინაშენების ხასიათი ავლენს ადრეული შუა საუკუნეების - VI-VII სს-ის ნიშნებს.

გ) ირინე ვარშალომიძე

2021 წლის ეტაპი - „სელჩუკური მონეტების განძი ციხისძირიდან“

წლიურ თემაში განხილულია 1996 წელს ქობულეთის რაიონის სოფ. ციხისძირში შემთხვევით აღმოჩენილი განძი ტრაპიზონის ასპრებისა და სელჩუკური მონეტების შემადგენლობით, რომელიც შეიძინა ბათუმის არქეოლოგიურმა მუზეუმმა. ნაშრომში აღწერილი გვაქვს განძში შემავალი 100 მონეტა, დადგენილია ემისიის წლები და ზარაფხანები, შედგენილია კატალოგი. მონეტები მოჭრილია რუმის სასულთნოს შემდეგი მმართველების სახელებით: ქეიქუბად I-ის (1219-1236 წწ.) , ქეიხუსრევ II-ის (1237-1246), ქეიქაუს II-ის (1245-257), ტრაპიზონის ასპრები თარიღდება XIII საუკუნით, მონეტების შესწავლის შედეგად დადგინდა განძის რესტავრაციის თარიღი- XIII საუკუნის ბოლო.

1077 წელს, მცირე აზიაში, კონიასა და კაისერს შორის მდებარე დაბლობზე შეიქმნა მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს პირველი ბირთვი. დიდ სელჩუკთა სულთანმა მელიქ-შაჰმა (1072-92 წწ.) სულეიმან იბნ ქუთლუმიშს სულთნის ტიტული უბოძა. ამით სულეიმანმა (1077-1086 წწ.) საფუძველი დაუდო რუმის (კონიის) - სელჩუკთა სახელმწიფოს მცირე აზიაში. ამიერიდან რუმის სასულთნო ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა დიდ სელჩუკთა სახელმწიფოსთან. 1080 წელს სელჩუკებმა დაიპყრეს ნიკეა (იზნიქი) და იგი სატახტო ქალაქად აქციეს. 1082 წელს

დაიპყრეს დამასკო, 1084 წელს - ანტიოქია. სელჩუკთა რუმის სასულთნო გახდა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სახელმწიფო წინა აზიაში. ბიზანტიის იმპერიის არსებობას დიდი საფრთხე დაემუქრა. დაიწყო ჯვაროსნული ლაშქრობები მცირე აზიის სელჩუკთა წინააღმდეგ. მათ მალევე შეძლეს ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობის შედეგების აღდგენა.

1116 წელს მცირე აზიის სელჩუკთა დედაქალაქი გახდა კონია. 1157 წელს დიდ სელჩუკთა სახელმწიფო დაიშალა. რუმის სელჩუკებმა ანატოლიის მცირე ბეილიქები ადვილად დაიმორჩილეს. მათ ყველაზე დიდი წინააღმდეგობა გაუწია დანიშმენდების საამირომ, რომელიც 1180 წელს დაიმორჩილეს. კონიის სასულთნო კიდევ უფრო გაძლიერდა რუქნ ად-დინის (1196-1204 წწ.) დროს.

XIII საუკუნის 30-იან წლებში კონიის სასულთნომ ძლიერების ზენიტს მიაღწია. 40-იანი წლებიდან იგი მონღოლებმა დაიპყრეს ეტაპობრივად და 1307 წელს რუმის სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა.

რუმის სასულთნოში XII–XIII საუკუნეებში მოჭრილი ვერცხლის მონეტები გავრცელებული იყო საქართველოში, რასაც აქ ნაპოვნი განძების შემადგენლობაც მოწმობს: პატარა ლილოს, მანავის, თერჯოლის და სხვ. აღსანიშნავია, რომ სელჩუკური მონეტები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ცნობილია მხოლოდ ციხისძირიდან.

დ) **სულხან მამულაძე**

2021 წლის ეტაპი - „პეტრა-ციხისძირში მდგარი გარნიზონების მომარაგების საკითხები გვიანრომაულ და ბიზანტიურ ხანაში“

მიმდინარე სამუშაო წელს, საკვლევ თემაზე მუშაობისას მოხდა საკვლევი პრობლემის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და წყაროების მოძიება-დამუშავება. საშუალება მქონდა გავცნობოდი სხვადასხვა დროს პეტრა-ციხისძირის ტერიტორიაზე მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალებს, რომელთა ანალიზმა და მათმა სხვა პარალელურ მასალებთან შედარებამ საშუალება მომცა განმესაზღვრა მათი წარმომავლობა და ქრონოლოგიური ჩარჩოები.

გარდა ამისა, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, შესაძლებლობა მქონდა პეტრა-ციხისძირში მდგომი გარნიზონების მომარაგების პრობლემის კომპლექსური

შესწავლისა, მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი გახლდათ მომარაგების ძირითადი ცენტრების იდენტიფიცირება, მომარაგების სპეციფიკის, ინტენსივობის და სხვ. საკითხთა განსაზღვრა. ისტორიული წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე შესაძლებელი გახდა იმ ძირითადი (მცირე აზიური) მომარაგების ცენტრების განსაზღვრა, რომლებიც სხვადასხვა პროდუქციითა და საჭირო რესურსით ამარაგებდნენ პეტრას ციხე-სიმაგრეში მყოფ გარნიზონს. მოხდა როგორც პეტრა-ციხისძირის მომარაგების საკითხის, ისე უშუალოდ მომარაგების სისტემატიურობის, მომარაგების მარშრუტებისა და უშუალოდ მომარაგების პროდუქციის განსაზღვრა, რომლითაც მარაგდებოდა პეტრა.

აღსანიშნავია ისიც, რომ საკვლევი თემის შედეგების საფუძველზე მოხდა მომარაგების სისტემის გრაფიკული რეკონსტრუქციაც, რაც, საკითხით დაინტერესებული სხვა მიმართულების წარმომადგენლებისთვისაც თემის უკეთ აღქმის ერთგვარი კარგი საშუალებაა.

2.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

ქ. ბათუმში ფრ. ხალვაშის ქ. № 338-ში მდებარე საბანაკო შეკრების ბაზა №3-ის ტერიტორიაზე აღმოჩენილ სამარხები (ისტორია, ქართველოლოგიური მეცნიერებები)

2) პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

2020-2021 წწ.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. 1. ოლეგ ჯიბაშვილი (განყოფილების უფროსი/უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) - პროექტის ხელმძღვანელი, მკვლევარი

ირინე ვარშალომიძე (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) - მკვლევარი

ოთარ თურმანიძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - ექსპერტი (პროექტში მონაწილეობდა 2020 წ.)

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ქ. ბათუმში ფრ. ხალვაშის ქ. № 338-ში მდებარე საბანაკო შეკრების ბაზა №3-ის ტერიტორიაზე (შემდგომში - საკვლევი ტერიტორია) აღმოჩენილ სამარხებთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა მიმდინარეობდა 2020-2021 წლებში.

სამარხების შესახებ ინფორმაციამ პირველად 2015 წელს გაიჟღერა ზურაბ ჯიხაძისაგან, რომელიც საბჭოთა პერიოდში საკვლევ ტერიტორიაზე დისლოცირებულ სატანკო ნაწილში მსახურობდა. მალევე შეიქმნა 1937-38 წლებში რეპრესირებულთა (დახვრეტილთა) სამარხების მოძიების სამუშაო ჯგუფი, რომელშიც სხვებთან ერთად საქართველოს საპატრიარქოსა და არასამთავრობო ორგანიზაცია „მემორიალის“ წარმომადგენლებიც შედიოდნენ. 2017 წელს საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლების მიერ, ხელისუფლების ნებართვით, განხორციელდა საკვლევ ტერიტორიაზე არსებული ოთხი სამარხის გახსნა. დაიწყო მიცვალებულთა ნეშტების ამოსვენება. 2019 წელს სამარხების საკითხმა დიდი რეზონანსი და საზოგადოებრივი ვნებათაღელვა გამოიწვია.

პრობლემად იქცა სამარხებში აღმოჩენილი ნეშტების კუთვნილების საკითხი. გაჩნდა სხვადასხვა მოსაზრება მათი წარმომავლობის თაობაზე. ყველაზე გავრცელებული ვერსიებით ისინი ეკუთვნოდნენ ან საბჭოთა რეპრესიის მსხვერპლთ, ან საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროს აქ შემოჭრილ თურქ ჯარისკაცებს.

პროექტში ჩართული მეცნიერთა ჯგუფი აღნიშნულ სამარხებთან დაკავშირებით 2020-2021 წლებში აწარმოებდა მოკვლევით სამუშაოებს, თუმცა, პანდემიით შექმნილი მდგომარეობა ფრიად არახელსაყრელ პირობებს ქმნიდა ამისთვის.

შესწავლილი იქნა სამარხების აღმოჩენა-გახსნასთან დაკავშირებული საკითხები, ხელისუფლების წარმომადგენელთა, სასულიერო პირებისა და არასამთავრობოთა დამოკიდებულება და შეხედულებები სამარხების პრობლემისადმი.

აღვწერეთ და შევისწავლეთ სამარხებიდან ამოღებული არტეფაქტები, მათ შორის გარდაცვლილთა კუთვნილი ნივთები. საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას

იძლევა ბეჭდები, ჯვრები, პირადი ჰიგიენის ნივთები, თვალისა და კბილების პროტეზები. არანაკლებ დაგვაინტერესა აქვე აღმოჩენილმა ტყვიის მასრებმა და მონეტებმა. მასრების პირველადი დათვალიერებისას გაჩნდა ეჭვი, რომ ისინი არ იყო სამარხებში აღმოჩენილი დანარჩენი არტეფაქტების თანადროული. ეჭვების შესამოწმებლად მასრები გადავუგზავნეთ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს. ექსპერტიზამ ჩვენი ვარაუდი დაამტკიცა - მასრები 1970-იანი წლების ნაწარმი აღმოჩნდა. ვფიქრობთ, ისინი მექანიკური გზით აღმოჩნდნენ შედარებით ადრეულ ფენებში (მიწის სამუშაოები, წყალდიდობის შედეგი...).

შევისწავლეთ, აგრეთვე, სამარხებში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალა(17 ერთეული).ი. ვარშალომიძემ შეადგინა მათი კატალოგი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ყველაზე ადრეული მონეტა მოჭრილია ნიკოლოზ I სახელით, ხოლო გვიანდელი - 1937 წლით. 17 მონეტიდან ერთი არის იმპერიის დროინდელი, თექვსმეტი ერთეული კი საბჭოთა პერიოდის, ამასთან, 16 საბჭოთა მონეტიდან ერთია 1925 წელს მოჭრილი, დანარჩენი კი 1932-37 წლებშია მიმოქცევაში შესული. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ სამარხების დათარიღების ქვედა ზღვარი, სავარაუდოდ, 1937 წელი უნდა იყოს. თუმცა ისიც დასაშვებია, რომ სამარხები სხვადასხვა დროს გაჩენილიყვნენ და რომელიმე მათგანი 1937 წელზე უადრესიც იყოს. მაგრამ მეტი ალბათობით, ისინი, ძირითადად,1937-38 წლებს უნდა განეკუთვნებოდნენ. სამწუხაროდ, განსვენებულთა იდეტიფიკაციის შეუძლებლობა ამ ეტაპზე, უფრო ზუსტი დასკვნების გაკეთების საშუალებას არ იძლევა.

ჩვენს ხელთ არსებულ მასალებზე (აღმოჩენილი არტეფაქტები, ნეშტების სპეციფიკური პოზები, ნატყვიარები თავის ქალებში...) დაყრდნობით, ვფიქრობთ, რომ საკვლევ სამარხებს არანაირი კავშირი არ აქვთ 1918-1921 წლებში აჭარაში დაღუპულ თურქ ჯარისკაცებთან. ისინი, დიდი ალბათობით, 1937-38 წლების რეპრესიის მსხვერპლთ ეკუთვნით. ამ მოსაზრებას ზურგს უმაგრებს აჭარაში რეპრესიების ცნობილი მკვლევარის ო. თურმანიძის დასკვნაც, რომელიც მიუთითებს, რომ მასობრივი, ჯგუფური დახვრეტები, აჭარაში, ძირითადად, სწორედ 1937-38 წლებზე მოდიოდა.

პროექტის ფორმატში მონაწილეობას ვიღებდით როგორც სამეცნიერო ხასიათის, ისე სამთავრობო სტრუქტურათაშორის შეხვედრებში, სადაც განიხილებოდა სამარხებთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები, რაც ასახულია ნაშრომში. განსაკუთრებით

საინტერესო იყო „სამაროვნებთან დაკავშირებით შექმნილი კომისიის“ მე-3 ოფიციალური შეხვედრა, რომელიც შედგა 2021 წლის 21 აპრილს და მას ესწრებოდა სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურის, რელიგიურ დაწესებულებათა, სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრებისა და არასამთავრობოთა წარმომადგენლები, ასევე, რუსთავი-2-ის საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც წამოაყენა წინადადება, ამერიკელი პარტნიორი მეცნიერების ჯგუფთან ერთად, მოეხდინა რეპრესირებულთა ნეშტების თბილისში დროებით გადასვენება, მათი შესწავლა, დალაგება და საინფორმაციო ბაზის შექმნა, ხოლო აგვისტოს თვეში საკვლევ ტერიტორიაზე არსებული მე-5 სამარხის „ყველა საერთაშორისო წესების დაცვით“, გახსნა და შესწავლა.

ამავე შეხვედრაზე გადაწყდა რეპრესირებულთა ნეშტების საბოლოო დაკრძალვის ფორმების შერჩევის საკითხიც.

რუსთავი 2-ის ჯგუფმა, ამერიკელ პარტნიორებთან ერთად, 2021 წლის აგვისტოს თვეში მართლაც გახსნა მე-5 სამარხი და განახორციელა სათანადო სამუშაოები. სამწუხაროდ, მათთან ერთად მუშაობის საშუალება ჩვენს ჯგუფს არ მიეცა.

საერთო ჯამში, პროექტის ფარგლებში შექმნილმა ნაშრომმა რეპრესირებულთა სამარხებთან დაკავშირებით ბევრ საინტერესო ფაქტს მოუყარა თავი. უმთავრესი და მნიშვნელოვანია ის დასკვნა, რომ საკვლევი სამარხები ნამდვილად საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთ ეკუთვნით.

2.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული დაპრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო გრანტი: „რა იგებს არჩევნებს საქართველოში“ (N FR-18-8649)

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2019-2022 წწ.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. რუსლან ბარამიძე - პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

1.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული დაპრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

პროექტი "რა იგებს არჩევნებს საქართველოში" ითვალისწინებს საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე ყველა საპრეზიდენტო არჩევნებში შედეგებით პირველი ორი კანდიდატის წინასაარჩევნო მასალის (მიმართვები, გამოსვლები, საარჩევნო ტექსტები, პოსტსაარჩევნო აქტივობები, სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფზე ზემოქმედების პრაქტიკა, ინიცირებული პროექტები და სხვ.) შესწავლას ტექსტების და სტატისტიკური მონაცემების ანალიზის მეშვეობით.

პანდემიის გამო პროექტი შეჩერებული იყო. იგი განახლდა 2021 წლის სექტემბრიდან. მიმდინარე წელს მომზადდა 2 სამეცნიერო სტატია ქართული და უცხოენოვანი გამოცემისათვის.

3.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. „ხარიტონ ახვლედიანის აჭარის მუზეუმში დაცული მონეტების კატალოგი“ - არქეოლოგია, ქართველოლოგიური მეცნიერებები, საიდენტიფიკაციო კოდი FR-17 504

2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2017-2020 (პანდემიის გამო დასრულდა 2021 წ.)

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ირინე ვარშალომიძე - სამეცნიერო ხელმძღვანელი

ნინო ძნელაძე - კოორდინატორი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2021 წლის ეტაპზე ანუ მეექვსე საანგარიშო პერიოდში დავიწყეთ კატალოგზე მუშაობა. 562 მონეტა თავისი ფოტოებით, სრული აღწერილობით, ზარაფხანისა და ემისიის ზუსტი თარიღით, ზომა–წონის მაჩვენებლებით, საინვენტარო ნომრები, აღმოჩენისა და მუზეუმში შემოსვლის გარემოებებით, და ინგლისურ ენაზე თარგმანით მომზადდა კატალოგისათვის. პროექტის განხორციელების შედეგად შეიქმნა ორენოვანი კატალოგი, რომელიც იწყება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ნუმიზმატიკური მასალის შესწავლის ისტორიით, მონეტების თანადროული ეპოქების მიმოხილვით. ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გამოკვლეულია ყველა მონეტის საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში შემოსვლის და მიმოქცევის გზები და მიზეზები. მოძებნილია ანალოგები. კატალოგში მონეტები დაჯგუფებულია ქრონოლოგიური და გეოგრაფიული თანმიმდევრობით : ძვ.წ. V - ახ.წ. V საუკუნეების მონეტები (კოლხური თეთრი, კლასიკური და ელინისტური ხანის უცხოური მონეტები, რომის რესპუბლიკური და იმპერიული ხანის მონეტები) ; VI – XV საუკუნეების მონეტები (სასანური, ბიზანტიური, ქუფური, ქართული (XII-XIII სს.), ტრაპიზონის ასპრები და კირმანეული თეთრი, სანჯარის ზენგიანთა დინასტიის მონეტა, სალთუკიანების ბეილიქის მონეტა, რუმის (კონიის) სელჩუკთა მონეტები, ილდეღიზიდების საათაბაგოს მონეტა, მონღოლური საოკუპაციო მონეტები); XVI - XX საუკუნეების მონეტები (ყირიმის სახანოს, ქართული, ევროპისა და ამერიკის ქვეყნების, ოსმალეთის, ირანის და რუსეთის მონეტები).

მეექვსე საანგარიშო პერიოდში ჩავატარეთ ონლაინ სემინარი პროექტის დასრულების შედეგად მიღებული სამეცნიერო პროდუქტის შესახებ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის დეპარტამენტის, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტისა და ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მკვლევრებს წარვუდგინეთ წიგნი ,,ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში დაცული მონეტების კატალოგი.''

მოვამზადეთ სტატია ,,ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმში დაცული ციხისძირის ნუმიზმატიკური მასალა'', რომელიც დასაბეჭდად ჩაბარებულია საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ ..მოამბეში''.

საერთო ჯამში, პროექტის მიზანი იყო ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში დაცული ნუმიზმატიკური კოლექციის შესწავლა და გამოქვეყნება ორენოვანი კატალოგის სახით, რითაც სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიტანეთ სრულიად ახალი მასალა. ჩვენი ამოცანა იყო შეგვექმნა ერთგვარი წყაროთმცოდნეობითი ბაზა მსოფლიოსა და საქართველოს ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის და გამოგვეკვლია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სამონეტო მიმოქცევის საკითხები ძვ. წ. V საუკუნიდან 1921 წლის ჩათვლით, რაც ერთად თავმოყრილი აგრეთვე სიახლეა. ასევე, გვეჩვენებინა, თუ რა სიახლეები მოგვცა აღნიშნული კოლექციის შესწავლამ, როგორი იყო ფულადი მიმოქცევის სურათი მანამდე და რა კორექტივები შეიტანა მან არა მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის, არამედ საქართველოს სამონეტო მიმოქცევის ისტორიაში.

პროექტის განხორციელების შედეგად შეიქმნა ორენოვანი კატალოგი, რომელიც იწყება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ნუმიზმატიკური მასალის შესწავლის ისტორიით, მონეტების შესაბამისი ეპოქების მიმოხილვით. კატალოგში მონეტები დაჯგუფებულია ქრონოლოგიური და გეოგრაფიული თანმიმდევრობით: ძვ. წ. V - ახ. წ. V საუკუნეების მონეტები (კოლხური თეთრი, კლასიკური (სინოპური, სიცილიური, პონტოს სამეფოს, თებეს, მაკედონიის, ილირიის) და ელინისტური ხანის უცხოური (არგოლიდის, პანტიკაპეონის, სელევკიდებისა და პტოლემაიოსების სამეფოების, ოლბიის, ბითინიის, თრაკიის, თებეს, ფრიგიის, ბაქტრიის, კილიკიის, კრეტის, ილირიის, იონიის, ქიზიკის, პონტოს

სამეფოს, სოღდის, სომხეთის სამეფოს, მირინის, პართიის სამეფოს) მონეტები, რომში, ნარბოში, კრეტაზე, სიცილიაზე, კესარიაში, ლუგდუნუმში, ანტიოქიაში, ალექსანდრიაში, სირმიუმსა და პანტიკაპეონში მოჭრილი რომის რესპუბლიკური და იმპერიული ხანის მონეტები); VI - XV საუკუნეების მონეტები (სასანური, ბიზანტიური, ქუფური, XII-XIII სს. ქართული (დემეტრე I, გიორგი III, თამარ მეფე, ლაშა-გიორგი, რუსუდანი), ტრაპიზონის ასპრები და კირმანეული თეთრი, სანჯარის ზენგიანთა დინასტიის მონეტა, სალთუკიანების ბეილიქის მონეტა, რუმის (კონიის) სელჩუკთა მონეტები, ილდეღიზიდების საათაბაგოს მონეტა, მონღოლური საოკუპაციო მონეტები); XVI - XX საუკუნეების მონეტები (ყირიმის სახანოს, ქართული (სვიმონი, ერეკლე II), ევროპისა და ამერიკის ქვეყნების (ვენეციის, ავსტრიის, ნიდერლანდების, პოლონეთის, ბრანდენბურგი-პრუსიის, ლოთარინგიის, შვედეთის, წმინდა რომის იმპერიის, პაპის ოლქის, პრუსიის სამეფოს, დანიის, გერმანია-საქსონიის, დიდი ბრიტანეთისა და მისი კოლონიების, საბერძნეთის, საფრანგეთის, იტალიის, ავსტრია-უნგრეთის, ესპანეთის, შვეიცარიის, რუმინეთის, არგენტინის, ტუნისის, პერუს, კრეტის, ბელგიის, აშშ, სერბეთის), ოსმალეთისა და ირანის და რუსეთის მონეტები).

4. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

4.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

1. „გონიო-აფსაროსის პოლონურ-ქართული ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია“; სამეცნიერო მიმართულება: ჰუმანიტარული მეცნიერებები; ისტორია და არქეოლოგია; დამფინანსებელი: ვარშავის უნივერსიტეტი (პოლონეთი)

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2018-2023

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. . სულხან მამულაძე (ძირითადი პერსონალი)

2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტი ითვალისწინებს პოლონელი და ქართველი მკვლევარების ერთობლივი არქეოლოგიური კვლევა-ძიებითი სამუშაოების წარმოებას გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე. არქეოლოგიურ სამუშაოებთან ერთად, ხდება მოპოვებული მასალისა და მიღებული შედეგების ერთობლივი დამუშავება, ანალიზი და შემდგომ მათი, ასევე ერთობლივი, გამოცემა. მიმდინარე წელს არქეოლოგიური სამუშაოები წარმოებდა ოთხ უბანზე. პარალელურად სადაზვერვო სამუშაოები წარმოებდა ციხის გარე ტერიტორიაზეც. არქეოლოგიური სამუშაოებისას გამოვლინდა დღემდე უცნობ ახალ არქიტექტურულ ნაგებობათა ნაშთები რომელთა საბოლოო იდენტიფიცირება პროექტის განხორციელების შემდგომ ეტაპებზე მოხდება. ასევე შესწავლილ იქნა თითოეულ უბანზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალები.

4.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

1.

2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5. პატენტები:

5.1. საერთაშორისო პატენტები:

1) საპატენტო თემატიკის სათაური

1.

2.

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები

1.

2.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

5.2. ეროვნული პატენტები

1) საპატენტო თემატიკის სათაური

1.

2.

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები

1.

2.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.

2.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

1) ავტორი/ავტორები

1. ნანული ნოღაიდელი, ელზა ფუტკარაძე

1. ოლეგ ჯიბაშვილი, ირაკლი ბარამიძე, ხათუნა დიასამიძე

2. უჩა ოქროპირიძე

3. ირინე ვარშალომიძე, ნინო ძნელაძე

4. როინ მალაყმაძე, ნოდარ კახიძე, სულხან მამულაძე

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. ხატოვანი სიტყვა-თქმები აჭარულში (გადაცემულია გამოსაცემად)

2. „ბათუმი ბრიტანეთს ვიცე-კონსულების ანგარიშებში (XIX საუკუნის 30-50-იანი წლები)“

(მონოგრაფია გადაცემულია დასაბეჭდად, ISBN კოდი მიენიჭება)

3. „ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა ხსოვნის წიგნი“, ISBN 987-9941-488-24-5;

4. ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში დაცული მონეტების კატალოგი,

ISBN 978-9941-8-3764-7

5. „მაჭახლის ხეობის ისტორიისა და კულტური ძეგლები“ (მონოგრაფია გადაცემულია დასაბეჭდად, ISBN კოდი მიენიჭება)

3)გამოცემისადგილი, გამომცემლობა

1. ბათუმი, გამომცემლობა -„შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

2. ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

3. ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ (გამოიცა 2020 წ. თარიღით)

4. ბათუმი, გამომც. „კოლორი“

5. ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

4) გვერდების რაოდენობა

1. 150

2. 330

3. 46

4. 592

5. 237

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ქართული ენა, მისი დიალექტები მდიდარია ხატოვანი სიტყვა-თქმებით, ფრთიანი გამოთქმებით. ამ მიმართებით ამოუწურავია აჭარული კილოს სალექსიკონო მასალა. უამრავი სახასიათო ხატოვანი სიტყვა-თქმაა მიმოფანტულ-დაუნჯებული ხალხში და იმავე ხალხის ზნე-ჩვეულების, ყოფის, ტრადიციის, კულტურის გასაღებიცაა. მართალია, ქართული ფრაზეოლოგიზმები შესწავლილია, გამოკვეთილია კვლევის სხვადასხვა ასპექტები, თუმცა ამას ვერ ვიტყვით ქართული ენის დიალექტებთან მიმართების კუთხით. ხატოვან სიტყვა-თქმებს აჭარულში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა, მაგრამ საკითხი მონოგრაფიულად არაა შესწავლილი. ჩვენი კვლევის მიზანი, სწორედ, ხატოვანი თქმების აღწერა და სალექსიკონო მასალის სახით გამოცემაა აჭარული კილოს მონაცემების გათვალისწინებით. ხალხური სიტყვა-თქმების შესწავლა რთულია, რამდენადაც ამ სახის ლექსიკა ხალხის ცოცხალ მეტყველებაზე სისტემატურ, ხანგრძლივ დაკვირვებას მოითხოვს. გარდა აღნიშნულისა, ბევრი სიტყვა თუ გამოთქმა თანდათან დავიწყებას ეძლევა და ისტორიის კუთვნილება ხდება. არადა, ამ სახის

დიალექტურ მონაცემებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ენაში მომხდარი პროცესების დასადგენად და განსაკუთრებით, ეთნოკულტურულოგიური ასპექტების მართებული გააზრებისათვის. ამ მიმართებით, ჩვენი მოკრძალებული მცდელობაა უფრო სიღრმისეულად წარმოვაჩინოთ ხალხური სიტყვა-თქმები აჭარულ კილოში.

კვლევას აქვს თეორიულ-პრაქტიკული ღირებულება. მას გამოიყენებენ ენათმეცნიერები, ლიტერატორები, ეთნოგრაფები, მხარეთმცოდნეები, მწერლები და საკითხით დაინტერესებული პირები.

2. მონოგრაფია **„ბათუმი ბრიტანეთს ვიცე-კონსულების ანგარიშებში (XIX საუკუნის 30-50-იანი წლები)“** მომზადდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერისტეტის მიერ დაფინანსებული შიდა სამეცნიერო საგრანტო პროექტის ფარგლებში.

ბათუმის ისტორიის ოსმალური პერიოდი ჯერ კიდევ საკმაო ბურუსითაა მოცული და ბევრ საკითხში სიცხადის შეტანას საჭიროებს. ოსმალების მიერ რეგიონზე (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე) კონტროლის დაწესების შემდეგ დაიწყო ბათუმის, როგორც ქალაქისა და პორტის მნიშვნელობის შემცირება და საქმე იქამდე მივიდა, რომ იმდროინდელ წყაროებში ის მცირე ქალაქად და სოფლადაც კი მოიხსენიება.

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება ბათუმისადმი ინტერესის ზრდა, როგორც ოსმალეთის ხელისუფლების, ისე რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოთა მხრიდან. ამ დროისათვის ქალაქი შედიოდა ლაზისტანის სანჯაყის შემადგენლობაში, ეს უკანასკნელი კი ტრაპიზონის საფაშოს საზღვრებში ექცეოდა.

წიგნში წარმოდგენილია ბათუმში ოსმალეთის მმართველობის ის პერიოდი, რომელზეც საინტერესო ცნობები მოიპოვება დიდი ბრიტანეთის ვიცე-კონსულების – ჯ. ბრანტის, ფ. გუარაჩინოსა და უ. ჰოლმსის ანგარიშებში. სამეცნიერო წრეებისათვის ფაქტობრივად უცნობი მასალების, ასევე, მოგზაურ-მკვლევართა ჩანაწერების საფუძველზე განხილულია ბათუმში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური პროცესები, მოსახლეობის ყოფითი პრობლემები, ყურის

მიმართულებით საქალაქო ცენტრის გადანაცვლების მიზეზები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

3. ნაშრომში **„ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა ხსოვნის წიგნი“** მოთხრობილია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის გარდაცვლილი თანამშრომლების ბიოგრაფიების, სამეცნიერო, შრომითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ.

4. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის ფარგლებში განხორციელებული პროექტის შედეგად შეიქმნა ორენოვანი კატალოგი **„ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში დაცული მონეტების კატალოგი”,** რომელიც იწყება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ნუმიზმატიკური მასალის შესწავლის ისტორიით, მონეტების შესაბამისი ეპოქების მიმოხილვით. კატალოგში მონეტები დაჯგუფებულია ქრონოლოგიური და გეოგრაფიული თანმიმდევრობით: ძვ. წ. V - ახ. წ. V საუკუნეების მონეტები (კოლხური თეთრი, კლასიკური (სინოპური, სიცილიური, პონტოს სამეფოს, თებეს, მაკედონიის, ილირიის) და ელინისტური ხანის უცხოური (არგოლიდის, პანტიკაპეონის, სელევკიდებისა და პტოლემაიოსების სამეფოების, ოლბიის, ბითინიის, თრაკიის, თებეს, ფრიგიის, ბაქტრიის, კილიკიის, კრეტის, ილირიის, იონიის, ქიზიკის, პონტოს სამეფოს, სოღდის, სომხეთის სამეფოს, მირინის, პართიის სამეფოს) მონეტები, რომში, ნარბოში, კრეტაზე, სიცილიაზე, კესარიაში, ლუგდუნუმში, ანტიოქიაში, ალექსანდრიაში, სირმიუმსა და პანტიკაპეონში მოჭრილი რომის რესპუბლიკური და იმპერიული ხანის მონეტები); VI - XV საუკუნეების მონეტები (სასანური, ბიზანტიური, ქუფური, XII-XIII სს. ქართული (დემეტრე I, გიორგი III, თამარ მეფე, ლაშა-გიორგი, რუსუდანი), ტრაპიზონის ასპრები და კირმანეული თეთრი, სანჯარის ზენგიანთა დინასტიის მონეტა, სალთუკიანების ბეილიქის მონეტა, რუმის (კონიის) სელჩუკთა მონეტები, ილდეღიზიდების საათაბაგოს მონეტა, მონღოლური საოკუპაციო მონეტები); XVI - XX საუკუნეების მონეტები (ყირიმის სახანოს, ქართული (სვიმონი, ერეკლე II), ევროპისა და ამერიკის ქვეყნების (ვენეციის, ავსტრიის, ნიდერლანდების, პოლონეთის, ბრანდენბურგი-პრუსიის, ლოთარინგიის, შვედეთის,

წმინდა რომის იმპერიის, პაპის ოლქის, პრუსიის სამეფოს, დანიის, გერმანია-საქსონიის, დიდი ბრიტანეთისა და მისი კოლონიების, საბერძნეთის, საფრანგეთის, იტალიის, ავსტრია-უნგრეთის, ესპანეთის, შვეიცარიის, რუმინეთის, არგენტინის, ტუნისის, პერუს, კრეტის, ბელგიის, აშშ, სერბეთის), ოსმალეთისა და ირანის და რუსეთის მონეტები).

5. „**მაჭახლის ხეობის ისტორიისა და კულტური ძეგლები**“

პროექტის განხორციელების შედეგად ძალზე მნიშვნელოვან და სამეცნიერო წრეებისათვის მეტად საინტერესო შედეგებს იქნა მიღწეული. პროექტის მიმდინარეობისას მკვლევართა ჯგუფის მიერ განხორციელდა საკვლევი რეგიონის კომპლექსური შესწავლა. გაანალიზებულ იქნა სხვადასხვა, ქართული თუ უცხოური, წერილობითი წყაროები და რეგიონში არსებული მუზეუმების ფონდების არქივებში დაცული ხელნაწერები, რომელთა შეჯერება-შედარების საფუძველზე გაკეთდა ახალი, მეტად მნიშვნელოვანი დასკვნები.

უმთავრესი სიახლეები მაინც საკვლევ რეგიონში განხორციელებულ ექსპედიციებს უკავშირდება. საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ მაჭახლის ხეობაში მიკვლეულ და შესწავლილ იქნა სამეცნიერო წრეებისათვის დღემდე უცნობი თუ ნაკლებად ცნობილი ისტორიული ძეგლები, მათ შორის საფორტიფიკაციო (გვარასა და ჩხუტუნეთის ციხეები) და საკომუნიკაციო დანიშნულების (ცხემლარას, ჩხერის, ქოქოლეთის, გორგაძეთისა და ზვარიას თაღოვანი ხიდები) ნაგებობანი, მარან-საწნახლები (სინდიეთისა და ჩხუტუნეთის მარნები, ცხემლარას მარანი და საწნახელი, კოსტანეთის, ჯანაურას, ჭონჭყოს, მერეს, სინდიეთისა და გულიავის საწნახლები), ქვის საცეხველები, საოჯახო ფურნეები, წისქვილები და შადრევნები. რაც შეეხება თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მაჭახლის ხეობას, აქ განხორციელებული ექსპედიცია განსაკუთრებული სიახლეებით იყო დატვირთული, მათგან პირველ რიგში უნდა გამოვყოთ საფორტიფიკაციო ნაგებობანი (ხერთვისის ციხე), რომელთა იდენტიფიცირება დღემდე ვერ ხერხდებოდა. ამავე რეგიონში მიკვლეულ იქნა ერთ ნაეკლესიარს (ეფრატის) და ასევე ერთ ეკლესიას (აკრიის). დადასტურდა კარჩხალის შუა საუკუნეების ნაქალაქარის არსებობაც, რომელიც დღემდე მხოლოდ გადმოცემების დონეზე გახლდათ ცნობილი. რაც შეეხება

საკომუნიკაციო ნაგებობებს, მიკვლეულ იქნა ხუთ თაღოვან ხიდს (ეფრატის, ვაციეთის, აკრიას, მინდიეთისა და ბუიღელის), რომელთაგან დღემდე მხოლოდ ორი გახლდათ იდენტიფიცირებული. მეტად საინტერესო აღმოჩნდა ისიც, რომ მოცემულ რეგიონში მხოლოდ ერთ მარანს იქნა მიკვლეული, თუმცა ადგილობრივთა თქმით როგორც სამეურნეო, ისე ინფრასტრუქტურული სამუშაოებისას მრავლად ხვდებათ ქვევრის არტეფაქტები და კირქვით ნაშენ ნაგებობათა ფრაგმენტები, თუმცა სამწუხაროდ მათი დიდი ნაწილი განადგურებულა.

პროექტის შედეგად მომზადდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა გრაფიკული და სქემატური ჩანახაზები, ასევე მომზადდა შესასწავლი რეგიონის რუკები, რომელთა შორის განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ინტერაქტიული ვებ-რუკა, რომელიც დიდ სამსახურს გაუწევს არა მხოლოდ ფართო აკადემიურ წრეებს, არამედ მოცემულ რეგიონში ტურისტული მიზნებით დაინტერესებულ პირებსაც.

ამდენად, ვფიქრობთ რომ, პროექტი წარმატებით განხორციელდა, რისი დასტურიც ჩვენ მიერ მიღწეული შედეგები გახლავთ, რომლებიც უახლოეს მომავალში მონოგრაფიის სახით გამოიცემა ქართულ და თურქულ ენებზე.

6.2. სახელმძღვანელოები

1) ავტორი/ავტორები

1.

2.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1.

2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1.

2.

4) გვერდების რაოდენობა

1.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.3. კრებულები

1)ავტორი/ავტორები

1. კრებულში დაიბეჭდა 47 ავტორის 38 სტატია

2.

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. „ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“, ტ. XI, ISSN 1987-8745

2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

2.

4) გვერდების რაოდენობა

1. 300

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კრებული გამოიცა კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მსოფლიო მონოთეისტური რელიგიის (იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი) და კანონიკური სამართლის შესწავლისა და კვლევის ცენტრის თანამონაწილეობით. მასში დაიბეჭდა XI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“ გამოტანილი მოხსენებები.

ქართველ და უცხოელ (ამერიკელ, უკრაინელ, პოლონელ, დაღესტნელ) მეცნიერ-მკვლევართა ავტორობით წარმოდგენილ 38 ნაშრომში, ტრადიციულად, გაშუქებულია ქალაქ ბათუმის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, არქიტექტურის, ტოპონიმიის, თანამედროვე ქალაქური ყოფისა და კულტურის, დემოგრაფიის, კონფესიური ვითარების, ტურიზმის განვითარებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, ცნობილი ბათუმელებისა თუ ბათუმთან დაკავშირებული პიროვნებების ცხოვრება და მოღვაწეობა.

კრებული, გარდა წმინდა მეცნიერული მიზნებისა, ემსახურება ბათუმის პოპულარიზაციისა და მის შესახებ ინფორმაციული ბაზის შექმნის საქმეს.

კრებულის „ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა-XI“ ონლაინ ხილვა შესაძლებელია ბმულზე:
https://bsu.edu.ge/sub-16/page/16077/index.html

6.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1.

2.

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

1.

2.

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1.

2.

4) გამოცემისადგილი, გამომცემლობა

1.

2.

5) გვერდებისრაოდენობა

1.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1)ავტორი/ავტორები

1. ელზა ფუტკარაძე, შუშანა ფუტკარაძე

2. ნანული ნოღაიდელი

3. ნანული ნოღაიდელი

4. ციალა ნარაკიძე

5. ნარგიზ ახვლედიანი

6.ნარგიზ ახვლედიანი

7. ნაილე მიქელაძე

8. ნაილე ჩელებაძე

9. თამილა ლომთათიძე

10. თ. ლომთათიძე

11. ნოდარ კახიძე

12. ნუგზარ ჩხაიძე

13. ნოდარ კახიძე, როინ მალაყმაძე

14. ოლეგ ჯიბაშვილი, ირაკლი ბარამიძე, ხათუნა დიასამიძე

15. ოთარ თურმანიძე

16. უჩა ოქროპირიძე

17. უჩა ოქროპირიძე

18. მაია ჭიჭილეიშვილი

19. ირინა ვარშალომიძე

20. ირინე ვარშალომიძე, ნინო ძნელაძე

21. ნატალია იაცევიჩ, იბრაიმ დიდმანიძე, მერაბ მეგრელიშვილი

22. მერაბ მეგრელიშვილი

23.მერაბ მეგრელიშვილი, მიშა ჟღენტი, ნინო ჯაველიძე

24. მერაბ მეგრელიშვილი, ნინო ჯაველიძე

25. მერაბ მეგრელიშვილი, ნიკოლოზ მეგრელიშვილი

26. რადოსლავ კარასიევიჩ-სციპიორსკი, სულხან მამულაძე

2) სტატიის სათაური, ISSN

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტიდან მუჰაჯირად გადასახლებული ქართველების მეტყველების ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებანი, ISSN1512-4991

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ლექსიკა, ISSN1512-4991

3.სალიტერატურო ენის გამოყენების არასახარბიელო რეალობა პრაქტიკაში (ბათუმის მაგალითზე), ISSN 1987-8745.

4. ლაზური ფოლკლორი (სარფის მასალების მიხედვით), ISSN1512-4991

5. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტოპონიმია, ISSN 1512-4991

6. ერთი გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგიისათვის ბათუმის შემოგარენში, ISSN 1978 6572

7. ზოგიერთი ტოპონიმის გააზრებისათვის ბათუმის შემოგარენიდან (9 მარტის ქუჩის გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგია), ISSN1987-8745

8. ცნობები ბათუმის ცხოვრებიდან (საარქივო მასალების მიხედვით), ISSN 1987-8745

9. მართლმადიდებლური საკრალური სივრცე პოლიკონფესიურ ბათუმში (ისტორიული გამოცდილება და თანამედროვეობა), ISSN 1987-8745

10. საწესო სანახაობათა გენეზისის შესწავლისათვის აჭარაში, ISSN 2667-9582

11. შავი ზღვის სანაპიროსა და დასავლეთ კავკასიის მხარეთმცოდნეთა მეორე ყრილობა ბათუმში 1925 წელს; ISSN 1987-8745

12. ქ. ბათუმში მცხოვრები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა ცხოვრების პირობები და საქმიანობა (სოციოლოგიური კვლევის ანალიზი); ISSN 1987-8745

13. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია 80 წლისაა; ISSN 2449-2057

14. „საქალაქო ცხოვრების განვითარების ისტორიიდან ბათუმში (XIX საუკუნის30-50-იანი წლები)“

ISSN 1987-8745

15. „ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის ისტორიისათვის“, ISSN 1987-8745

16. „ქობულეთელთა როლი ბათუმისათვის ბრძოლაში 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს“, ISSN 1987-8745

17.„კიდევ ერთხელ ნოე ჟორდანიას ილია ჭავჭავაძის მემკვიდრედ გამოცხადების შესახებ“, ISSN 1512 0996

18. „XX საუკუნის დასაწყისის საგარაკო სახლი მახინჯაურში“, ISSN 1987-8745

19. „ნუმიზმატიკური მასალა გონიო-აფსაროსიდან“, ISBN 978-9941-9738-8-8

20. „ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცული მაკედონიის სამეფოში მოჭრილი მონეტები“, ISSN 1987-8745

21. „მცირე და საშუალო ბიზნესის როლის შეფასება ბელორუსიის რესპუბლიკის გომელის რეგიონის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის სისტემაში და ბელორუსიის რესპუბლიკისა და საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ზოგიერთი საკითხი“, ISSN (1512-0333)

22. „რუსეთის ექსპანსია აჭარაში 1914-1918წლებში“, ISSN (1512-0333)

23. „ერთი ეპიზოდი სოფელ ცხემლისხიდის საბჭოთა პერიოდის ისტორიიდან“, ISSN 2233-3541

24. „ანტირუსული მოძრაობა გურია-აჭარაში XX ს. 20-იან წლებში“, ISSN 2233-3541

25. „ბათუმი ინგლისელთა მმართველობის პერიოდში 1918-1920 წწ.“, ISSN 1987-8745

26. „Earliest Buildings in the Gonio-Apsarus Castellum“, ISSN 1987-8745

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, XV

2. ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, XV

3. კრებ.: „ბათუმი-წარსული და თანამედროვეობა“, ტომი XI

4.ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, XV

5.ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, XV

6. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ.49.

7. კრებ.: „ბათუმი-წარსული და თანამედროვეობა“, ტომი XI

8. „ბათუმი. წარსული და თანამედროვეობა“, XI

9. „ბათუმი. წარსული და თანამედროვეობა“, XI

10. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, II (28)

11. „ბათუმი. წარსული და თანამედროვეობა“, XI

12. „ბათუმი. წარსული და თანამედროვეობა“, XI

13. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონალური სამეცნიერო ცენტრი. VII

14. კრებული „ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“, ტ. XI

15. კრებული „ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“, ტ. XI

16. კრებული „ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“, ტ. XI

17. კრებული „კულტურისა და ისტორიის საკითხები“, ტ. XXXV, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისრაელის ცენტრი

18. კრებული „ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“, ტ. XI

19. კრებული „გონიო-აფსაროსი“, ტ. XI

20. კრებული „ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“, ტ. XI

21. ჟურნალი „ინტელექტი“, №2

22. ჟურნალი „ინტელექტი“, №3

23. ჟურნალი „არხეიონი“, №22

24. ჟურნალი „არხეიონი“, №22

25. კრებული „ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“, ტ. XI

26. კრებული „ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“, ტ. XI

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. ბათუმი, გამომცემლობა-„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
2. ბათუმი, გამომცემლობა-„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
3. ბათუმი, გამომცემლობა-„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
4. ბათუმი, გამომცემლობა-„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
5. ბათუმი, გამომცემლობა-„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
6. თბილისი, გამომცემლობა-„ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
7. ბათუმი, გამომცემლობა-„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
8. ბათუმი, გამომც. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
9. ბათუმი, გამომც. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
10. თბილისი, გამომც. „მერიდიანი“
11. ბათუმი, გამომც. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
12. ბათუმი, გამომც. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
13. ბათუმი, გამომც. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
14. ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
15. ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
16. ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
17. თბილისი, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“
18. ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
19. ბათუმი, გამომც. „სამშობლო“
20. ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

21. თბილისი, გამოიცემა საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდი „ინტელექტის“ მიერ

22. თბილისი, გამოიცემა საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდი „ინტელექტის“ მიერ

23. თბილისი, გამოიცემა აჭარის საარქივო სამმართველოს მიერ, გამომც. „უნივერსალი“

24. თბილისი, გამოიცემა აჭარის საარქივო სამმართველოს მიერ, გამომც. „უნივერსალი“

25. ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

26. ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

5) გვერდების რაოდენობა

1. 19

2. 14

3. 5

4. 25

5. 24

6. 7

7. 6

8. 6

9. 5

10.11

11.9

12.9

13. 9

14. 15

15. 12

16. 6

17. 17

18. 7

19. 14

20. 6

21. 10

22. 10

23. 7

24. 10 (

25. 12

26. 9

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ნაშრომში საუბარია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტიდან მუჰაჯირად გადასახლებული ქართველების მეტყველების ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებების შესახებ. კვლევის პრობლემებიდან გამომდინარე, ნაშრომში დეტალურად და სიღრმისეულადაა გაანალიზებული მუჰაჯირთა მეტყველებაში თავჩენილი ენობრივი თავისებურებანი. მსჯელობა ძირითადად ფონეტიკურ ნიუანსებსა და მეტყველების ნაწილების გამოყენებასთან დაკავშირებულ თავისებურებებზეა. ნაშრომში წარმოდგენილია წლების განმავლობაში მოძიებული მასალა მაჭახელსა და მუჰაჯირად გადასახლებულ მაჭახლელთა მეტყველების უიშვიათესი ფორმებით. აღნიშნულ მასალაზე დაყრდნობით, მიჩნეულია, რომ მაჭახლური ქართული არის დამოუკიდებელი კილო. ის შედის კლარჯულ კილოთა ჯგუფში, ენობრივი ნიშნებით განსხვავდება მოსაზღვრე დიალექტებისაგან-იმერხეულისა და ნიგალურისაგან. სწორედ აღნიშნულის დადასტურებას წარმოადგენს ნაშრომი.

2. ნაშრომი დაწერილია დიალექტოლოგიურ ექსპედიციებში მოპოვებული ლექსიკური მასალების თუ პირადი ჩანაწერების საფუძველზე და მოიცავს სამეურნეო დარგების (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მებოსტნეობა, მეფრინველეობა,

მეფუტკრეობა, ხალხური სამზარეულო, რთვა-ქსოვა და სხვ.) თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ლექსიკას.

განხილულია ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი საერთო ქართველური, ზანური, ძველქართული თუ მხოლოდ კუთხისათვის დამახასიათებელი სიტყვა-ტერმინები, არქაული თუ ნასესხები ლექსიკური ერთეულები, ხატოვანი სიტყვა-თქმები.

ნაშრომში განხილული ლექსიკური მასალა მცირე ნაწილია იმ მდიდარი ლექსიკისა, რაც ამ რეგიონში ფიქსირდება.

3. ქართული ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი ენაა მსოფლიო ენათა შორის. წინაპრებმა დიდი სისხლის და შრომის ფასად მოიტანეს ჩვენამდე ქართული ენის სიღრმე, მაგრამ დღეს მუდმივად ვაწყდებით ქართული სალიტერატურო ენის ნორმების უგულებელყოფის, ენის დამახინჯების, მეტყველებაში დიალექტიზმების დამკვიდრების და სხვა არასასურველ შემთხვევებს. ეს თავს იჩენს როგორც ბათუმელთა მეტყველებაში, ისე ბეჭდურ მედიასა თუ რადიო-ტელეგადაცემებში, წარწერებში, ბილბორდებზე. მოხსენებაში განხილულია ქართული ენის ნორმების, მეტყველებისა და წერის კულტურის გრამატიკულ და სინტაქსურ დარღვევათა, თუ დიალექტიზმთა გამოყენების ნიმუშები.

4.ლაზური ზეპირსიტყვიერი შემოქმედება ქართველ ტომთა ფოლკლორული საუნჯის ორგანული ნაწილია. ლაზური ენა უმწერლობოა, და, ბუნებრივია, საუკუნეთა განმავლობაში ამ ენობრივ მასალაზე შეთხზული ყოველი ზეპირი თხზულება ფოლკლორული შემოქმედების კუთვნილებად რჩება.

დღემდე შეკრებილი და გამოქვეყნებულია ლაზური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, რომელთა მოპოვების ადგილი , ძირითადად, სოფელი სარფია (ე.წ. „მოლენი სარფი“-გამოღმა სარფი).

ლაზური ფოლკლორი ტრადიციულად წარმოდგენილია მდიდარი ხალხური პოეტური შემოქმედების თემატიკით: შრომის პოეზია, საწესჩვეულებო,

საყოფაცხოვრებო, სატრფიალო ლექსები და შაირები, ზღაპრები, ასევე, მცირე ზომის ზეპირსიტყვიერი ნიმუშები: ანდაზები და გამოცანები.

5. ისტორიული ქარტეხილებისა თუ ხალხთა დიდი და მცირე მიგრაციების შედეგია ის, რომ დღეს ჩვენ ვერ დავასახელებთ ვერც ერთ „სუფთა“ენას, რომლის ტოპონიმიაც სხვადასხვა დროინდელ და სხვადასხვა ენობრივ პლასტებს, დანაშრევებს არ შეიცავდეს.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტოპონიმიაში მარტივი სახელები ძალიან მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი და ისიც, რაც წარმოდგენილია გამოხატავს ადგილ-მდებარეობის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებას(მაგ.: ცარა, ჭონჭყო...),შედარებით მეტადაა წარმოდგენილი დანიშნულების ო -პრეფიქსი (ასე, მაგ.: ოროკი, ოჭიკარტი, ოჯინჯი, ოხტომი და სხვ.). სუფიქსური წარმოებიდან ჭარბობს - „ეთ'' სუფიქსით გაფორმებული გეოგრაფიული სახელები (სინდიეთი, ჩხუტუნეტი, გოშპარეთი, ქოქოლეთი, გვიანეთი,ხინკილეთი...). გვხვდება -„ურ“ სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმებიც (ასე მაგ.: მახინჯაური, მახვილაური, ხელვაჩაური, კვადაური...), „თი“, „იშ//ში“ - სუფიქსებით გაფორმებული ტოპონიმებია (მაგ.: ჭურიათი, კვარიათი, ქვაბიში, ტიბაში, კერკეტაში), პრეფიქს-სუფიქსური წარმოებიდან (მაგ.: ოჭვაბურა, ოხვამე, ოწვეთია,ონტოფო, ნაუჩვარი, ნაჯარგვალევი...). ასეთია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტოპონიმთა სტრუქტურულ-სემანტიკური სურათი.

6. ნაშრომში განვიხილავთ ბათუმის მახლობლად დაფიქსირებულ ერთ-ერთ უძველეს ტოპონიმს და წარმოვადგენთ ამ ტოპონიმის შესახებ ეტიმოლოგიური და ეტიოლოგიური კვლევის ჩვენეულ ახსნას.

7. წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ხარიტონ ახვლედიანის ცენტრალურ არქივში დაცული საქმეები, რომლებშიც თავმოყრილია 1800-1802 წწ. ბათუმის ისტორიის ამსახველი ფაქტები. ნაშრომი ეძღვნება კონკრეტული ტოპონიმის- 9 მარტის ქუჩის-ეტიმოლოგიურ კვლევას საარქივო, ისტორიული და ფოლკლორული მასალების მიხედვით.

8.ნაშრომში საუბარია იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც შემუშავდა ქ. ბათუმის განაშენიანებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისათვის საბჭოთა

ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში. იგი ითვალისწინებდა ქალაქის სამრეწველო პოტენციალის სრულად ათვისებას, მუშათა კლასის დასაქმებას, საბჭოთა იდეოლოგიის სწრაფად და ეფექტურად გავრცელებას არა მარტო ადგილობრივ მოსახლეობაში, არამედ უცხოელ მეზღვაურებსა და მოგზაურებს შორისაც.

9. ბათუმი პოლიკონფესიური ქალაქია. მისი რელიგიური მრავალფეროვნებამე-19 საუკუნიდან იწყებს ჩამოყალიბებას. განსაკუთრებული ცვლილებები ქალაქის რელიგიურ ცხოვრებაში მე-20 საუკუნის ბოლოდან დაიწყო. ბათუმის მრავალრიცხოვანი მართლმადიდებლური მრევლი თავისი რიტუალებით, ინსტიტუციებით, ორგანიზაციებით, ფორმალური და არაფორმალური საკრალური ადგილებით ქმნის ქალაქის განსაკუთრებულ სოციოკულტურულ სივრცეს. ამ სივრცის ცენტრს ტრადიციულად სხვადასხვა ტაძრები წარმოადგენს, მაგრამ პარალელურად ხდება ახალი ადგილების საკრალიზაცია და ჩნდება ახალი საკულტო ადგილები: მცირე სამლოცველოები, ჯვრები, სამოქალაქო თუ საგანმანათლებლო სივრცეები, სადაც იმართება ყოველდღიური თუ სადღესასწაულო რელიგიური პრაქტიკა. ამგვარად იქმნება არა სატაძრო სიმბოლური ტერიტორიები, რომლებიც მრევლის თვითრეალიზაციის საკრალურ სივრცედ იქცევა.

10. ნაშრომში შესწავლილია აჭარაში საწესო სანახაობათა გენეზისი და მოცემულია ამ რიტუალების არქეტიპის აღდგენის მცდელობა, რადგან, ისტორიული წარსულიდან გამომდინარე, საუკუნეების განმავლობაში დედასამშობლოს მოწყვეტილი აჭარის მოსახლეობის ეთნოგრაფიულმა ყოფამ ძლიერი ტრანსფორმაცია განიცადა და ბუნების ძალთა აღორძინების დღესასწაული მხოლოდ სხვადასხვა წეს-ჩვეულებაში გაბნეული ფრაგმენტების სახით შემორჩა. ჯ. რუხაძის ნაშრომებზე დაყრდნობით და გათვალისწინებით ჩვენ შევეცადეთ მოგვეძიებინა და, შეძლებისდაგვარად, შეგვესწავლა აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი საბერიკო რიტუალები. ბერიკაობა-ყეენობის დღესასწაული ან მისი ზუსტი პარალელი აჭარაში არ შემორჩენილა, მაგრამ მისთვის დამახასიათებელი უმთავრესი ჩვეულებანი: ნიღბოსნების კარდაკარ სიარული სოფელში, ოჯახის დალოცვა და ბარაქიანობა-მოსავლიანობის სურვი-

ლების გამომხატველი საწესო სიმღერების შესრულება, სურსათის შეგროვება, „პატარ-ძლის მოტაცების” ან ქორწილის ინსცენირება, ეროტიული სწრაფვის ხაზგასმა, ჯგუ-ფებს შორის შერკინება-ჭიდაობის გამართვა, სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის ინსცენირება, წყალთან დაკავშირებული მაგიურ-რიტუალური ქმედებანი და ა.შ გვხვდება სხვადასხვა წეს-ჩვეულებაში. ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული საკულტო სანახაობების ანალიზმა, მათში შემონახული სიმბოლოებისა და ანარეკლების შეჯერებამ საქართველოს სხვა კუთხეებში შემორჩენილ მსგავს რიტუალებთან, საშუალება მოგვცა გამოგვევლინა ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაულის ფრაგმენტები აჭარაში. შინაარსობრივი და ფუნქციონალური მსგავსების მიხედვით ბერიკაობა-ყეენობის, მურყვამობა-კვირიაობის, მელია-ტულეფიასა და სხვა მსგავსი დღესასწაულების სიუჟეტური ქარგა იკვეთება აჭარაში შემორჩენილ საქორწინო გართობა-თამაშობაში „ფადიკო“, შუამთობის დღესასწაულის დროს გამართულ სანახაობებში: „აქლემის შეკაზმვა“, „ზირიკობია“, „ქურთბარი“, საბავშვო თამაშში „დათვობია“, საწესო ფერხულში „ოჰოი, ნანო“, ქორეოგრაფიულ ნიმუშებში: „ყოლსამა“, „თოფალოინი“, „ჯაყდანანა“, საწესო-საფერხულო სიმღერაში „ნაინა, ნინაინა“ და სხვ. მათში ბერიკაობა-ყეენობის იდენტური ელემენტების არსებობა ადასტურებს, რომ აჭარაში გართობა-სანახაობების სახით შემონახული ეს რიტუალები ბუნების ძალთა აღორძინებისადმი მიძღვნილი უძველესი მისტერიის გადმონაშთებს წარმოადგენენ, უკავშირდებიან სხვადასხვა არქაულ ღვთაებებს და ქართველი ხალხის უძველესი რწმენა-წარმოდგენების კვალს ინახავენ.

11.ნაშრომში შესწავლილია შავი ზღვის სანაპიროსა და დასავლეთ კავკასიის მხარეთმცოდნეთა მეორე ყრილობის მნიშვნელობა დასახელებულ რეგიონებში მხარეთმცოდნეობითი მუშაობის გაშლაში, რეგიონების მეცნიერების, კულტურის, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოფლის მეურნეობისა და სხვა დარგების განვითარებაში. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ დასახელებული რეგიონების მხარეთმცოდნეთა მეორე ყრილობა ბათუმში უფრო ფართო ხასიათის იყო (მას 400-ზე მეტი დელეგატი ესწრებოდა), ვიდრე პირველი ყრილობა, რომელიც სოხუმში ჩატარდა 1924 წელს. ყრილობაზე წაკითხული 160-ზე მეტი მოხსენებიდან 30-მდე საკუთრივ

ბათუმსა და აჭარაზე მოდიოდა. ყრილობაზე წაკითხული მოხსენებები და მის საფუძველზე მიღებული დადგენილებები შეეხებოდა, პირველ რიგში, აჭარის ზღვისპირა ზოლში სუბტროპიკული კულტურების განვითარების, ისტორიისა და კულტურის ძეგლების, ზეპირსიტყვიერი ნიმუშების, წიაღისეული სიმდიდრეების გამოვლენასა და შესწავლას, აღმშენებლობის განვითარებას. მხარეთმცოდნეთა მეორე ყრილობა ბათუმში დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო დასახელებული რეგიონების სამეცნიერო და კულტურულ ცხოვრებაში.

12. ქ. ბათუმში მცხოვრებ შშმ პირთა ყოფა-ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები დღემდე მხოლოდ ფრაგმენტულად იყო შესწავლილი. ჩატარებული კომპლექსური სოციოლოგიური კვლევის მეშვეობით ჩვენ შევეცადეთ დაგვეძლია ეს ხარვეზი. სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებმა, ნათლად წარმოაჩინეს ის პრობლემები, რომლებიც ყველაზე მეტად აწუხებთ მასში მონაწილე რესპონდენტებს. კვლევის შედეგებმა და მის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციების განხორციელებამ, ხელი უნდა შეუწყოს შშმ პირებთან დაკავშირებული მრავალი მწვავე საკითხის მოგვარებას, მათ შორის საზოგადოებრივ ცხოვრებაში სხვა ინდივიდებთან თანასწორად მონაწილეობას.

13. სტატიაში მიმოხილულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსების წინაპირობები და ისტორია. განხილულია აკადემიისა და მასში შემავალი რეგიონალური სამეცნიერო დაწესებულებების წვლილი ქართული მეცნიერებების განვითარებაში. ყურადღება გამახვილებულია იმ მძიმე ვითარებაზე, რაც წინა ხელისუფლების პირობებში შეიქმნა აკადემიის საქმიანობაში, რაც შედეგად მოჰყვა აკადემიის სისტემიდან სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების ჩამოშორებას და უნივერსიტეტებზე მიერთებას, ამ დაწესებულებების შენობა-ნაგებობების გასხვისება-გაყიდვას, მეცნიერული კადრების გადინებას.

14.„საქალაქო ცხოვრების განვითარების ისტორიიდან ბათუმში (XIX საუკუნის 30-50-იანი წლები)“

რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომის შედეგებით ბათუმი ოსმალეთის სასაზღვრო დასახლებად გადაიქცა. შესანიშნავი ნავსადგურისა და ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობის გამო, ოსმალეთის ხელისუფლებისათვის მისი მნიშვნელობა გაიზარდა. ახალი რეალობიდან გამომდინარე, ბათუმისადმი ინტერესი გაიზარდა როგორც რუსეთის იმპერიის, ისე ოსმალეთის ზურგს უკან მდგომი დიდი ევროპული სახელმწიფოების მხრიდანაც. თავისი როლი ითამაშა დასავლეთის გავლენით 1839 წელს ოსმალეთში დაწყებულმა რეფორმაციულმა პროცესმა – თანზიმათმაც. აღნიშნული ვითარება ქალაქის ზრდა-განვითარებაზე დადებითად აისახა. XIX საუკუნის 30-50-იან წლებში ბათუმი, გარკვეულწილად, გაფართოვდა და საქალაქო ცხოვრება უფრო ინტენსიური გახდა.

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ბათუმისადმი ინტერესის ზრდა დაკავშირებულია რამდენიმე ფაქტორთან:

ა) 1828-1829 წლების ომში რუსეთთან განცდილი მარცხის შემდეგ, ადრიანოპოლის ზავით, ოსმალეთმა დაკარგა შავი ზღვის თითქმის მთელი აღმოსავლეთი სანაპირო, მათ შორის ფოთი. ახალმა რეალობამ გამოიწვია ბათუმის, როგორც შესანიშნავი, ბუნებრივი ნავსადგურისა და, ფაქტობრივად, უკვე რუსეთთან სასაზღვრო პუნქტად ქცეული დასახლების მნიშვნელობის გადააზრება.

ბ) 1833 წლის უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულებით გაიზარდა რუსეთის გავლენა ოსმალეთზე, რამაც შეაშფოთა ევროპა. დიდმა ბრიტანეთმა დაიწყო თავისი სავაჭრო-ეკონომიკური და დიპლომატიური საქმიანობის გაფართოება ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე. სწორედ ამ პერიოდში გაჩნდა ბრიტანული საკონსულოები ტრაპიზონში, ერზრუმში, სამსუნში, ბათუმში.

გ) 30-იანი წლების ბოლოს ინგლისმა და ევროპის სხვა დიდმა სახელმწიფოებმა, ფაქტობრივად, აიძულეს პორტა დათანხმებოდა ოსმალეთის იმპერიის მოძველებული სისტემის რეფორმირებას, რასაც 1839 წელს მოჰყვა ე.წ. თანზიმათის პირველი ეტაპი. ევროპის ინტერესებში იყო, რომ მოდერნიზებულ ოსმალეთს უფრო მეტად შეძლებოდა მზარდი რუსული აგრესია-გავლენის შეჩერება. სწორედ განახლების ამ პროცესში ჩაჯდა ბათუმიც, რამაც გამოიწვია საქალაქო ცხოვრების შესამჩნევი აღმასვლა და ნავსადგურის თანდათანობითი გამოცოცხლება.

თუკი XIX საუკუნის 20-იანი წლებისთვის ბათუმი უფრო სოფლურ, პატარა დასახლებას წარმოადგენდა რამდენიმე უსწორმასწორო ქუჩით, უწესრიგოდ გაფანტული სახლებითა და 2000-მდე მცხოვრებით, უკვე 30-იან წლებში საქალაქო ცენტრმა გადაინაცვლა ყურეს მიმართულებით და დაიწყო მისი ინტენსიური ათვისება, ვაჭრობის თანდათანობითი აღმავლობა. ქალაქი გამაგრდა ზღვის მხრიდან. 50-იანი წლებისთვის ბათუმის მხოლოდ საქალაქო ცენტრი 200-მდე კომლს მოითვლიდა. აქვე იყო 400 დუქანი, ორი მეჩეთი, ორი მედრესე და ერთი აბანო, ფუნქციონირებდა ათზე მეტი საკონსულო და სავაჭრო წარმომადგენლობა.

15.„ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის ისტორიისათვის“

ბათუმის მანქანათსაშენი ქარხანა 1936 წელს დაარსდა, რომლის დანიშნულება კვების მრეწველობის საწარმოების, უწინარესად ჩაის ფაბრიკების მანქანა-დანადგარებით და სხვა ტექნიკური მოწყობილობებით უზრუნველყოფა იყო. პირველი პროდუქცია 1936 წლის მეორე ნახევარში გამოუშვა. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის წლებში ბათუმის მანქანათსაშენი ქარხანა სამხედრო პროდუქციის წარმოებაზე გადავიდა. ომის დამთავრების შემდეგ კვლავ დაიწყეს კვების მრეწველობის საწარმოებისათვის მანქანა-დანადგარების გამოშვება. 1946-1950 წლებში სასაქონლო პროდუქცია ორჯერ და მეტად გაიზარდა.

ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის მშენებლობის ახალი ეტაპი დაიწყო XX საუკუნის50-იანი წლებიდან. 50-80-იან წლებში ქარხანაში შეიქმნა ახალი საამქროები, დაიდგა ახალი დაზგა-დანადგარები და სხვ. 1951-1985 წლებში ქარხნის საერთო პერსონალი 353-დან1503-მდე, ხოლო მუშების რაოდენობა 224-დან 960-მდე, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა– 55-დან 297-მდე გაიზარდა.

XX საუკუნის 60-80-იან წლებში ბათუმის მანქანათსაშენი ქარხანა ამზადებდა 70-დან80-მდე დასახელების პროდუქციას. ძირითადი იყო ჩაის, ღვინის, საკონდიტრო მრეწველობის მანქანა-მოწყობილობანი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბათუმის მანქანათსაშენი ქარხანა ახალი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა. 90-იანი წლების ბოლოს მთლიანად დაიხურა და დაზგა-დანადგარები ჯართად გაიყიდა.

16. **„ქობულეთელთა როლი ბათუმისათვის ბრძოლაში 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს“**

ნაშრომში ქობულეთის მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა მოგონებებისა და სათანადო ისტორიული წყაროების მოშველიებით, მოცემულია რუსეთ-ოსმალეთის1877-1878 წლების ომის დროს ქობულეთელთა მიერ შესრულებული როლის შეფასება ბათუმისათვის ბრძოლაში. ნათქვამია, რომ ქობულეთელებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს აჭარის დედასამშობლო საქართველოსთან დაბრუნების საქმეში. ამასთან, იმ პერიოდის რუსი სამხედრო ისტორიკოსების ალ. ფრენკელის, ფ. არუთინოვის, ბ. კოლიუბაკინის, ქართველი ისტორიკოსის დ. ბაქრაძის ნაშრომებიდან მიღებული მასალების მიხედვით ყურადღება გამახვილებულია არა მარტო ქობულეთელთა წარმოშობასა და მათ ახლო ნათესაურ კავშირზე გურიასთან და გურულებთან, არამედ და ამასთან ერთად, მათ მიერ შესრულებულ როლზე, რუსეთ-თურქეთის აღნიშნულ ომში ბათუმზე შეტევის შესამზადებლად, ციხისძირისათვის ბრძოლის დროს, როდესაც, ძირითადად მათ მიერ მოგერიებულ იქნა აღნიშნულ ციხე-სიმაგრეზე რუსების ორი გააფთრებული იერიში და ისინი მუხაესტატეს სიმაღლეებისაკენ იქნენ უკუგდებულნი. ნათქვამია, რომ ბერლინის ტრაქტატით ბათუმის მხარის რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგ ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორთან არსებულ მმართველ მეჯლისში ქობულეთიდან შეიყვანეს ოთხი პიროვნება - დედე-აღა ნიჟარაძე (სოფ. ალამბარი), რეშტი ბაჯელიძე (სოფ. ხუცუბანი), კარხიმან მჟავანაძე და ხუსეინ ბაუჟაძე (ორივე სოფ. ზენითიდან).

17. **„კიდევ ერთხელ ნოე ჟორდანიას ილია ჭავჭავაძის მემკვიდრედ გამოცხადების შესახებ“**

ნაშრომში გაკრიტიკებულია ზოგიერთ თანამედროვე ავტორთა მიერ ქართულ ეროვნულ მოძრაობაში ნოე ჟორდანიას ილია ჭავჭავაძის მემკვიდრედ გამოცხადების კიდევ ერთი წარუმატებელი ცდა. საქართველოში თუ უცხოეთში გამოცემული ისტორიული ლიტერატურის და წყაროებისა, სათანადო მასალის თანამედროვე ანალიზის საფუძველზე კიდევ ერთხელ თვალსაჩინოდ უარყოფილია სოციალ-დემოკრატების, კერძოდ კი ნოე ჟორდანიას გამოცხადება ილია ჭავჭავაძის მემკვიდრედ ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. პირიქით,

ხაზგასმულია დასკვნა, რომ ამ საკითხზე ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის მიერ გაკეთებული მოსაზრებანი ყველამ უნდა გაითვალისწინოს.

18. „XX საუკუნის დასაწყისის სააგარაკო სახლი მახინჯაურში“

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლში დაიწყო რუსეთის იმპერიის მოხელეთა აგარაკების მშენებლობა. მახინჯაურში ამჟამად შემორჩენილ სააგარაკო ნაგებობის შორის საინტერესოა ი. ჯინჭარაძის ქუჩზე, №21-ში მდებარე „სერგეევის“ ვილა, რომელიც თავისი გეგმარებით, პლასტიკურ-მოცულობითი ფორმებით, დენადი ნაძერწი დეკორატიული ელემენტებით, მასკარონების გამომსახველი სახეების დეკორატიულ-სკულპტურული გადაწყვეტით მოდერნის სტილის გამორჩეულ ნიმუშად წარმოგვიდგება. შენობის ავთენტურობის დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს მხატვრულ-ისტორიული მეხსიერების, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების თვალსაზრისით.

19. „ნუმიზმატიკური მასალა გონიო-აფსაროსიდან“

გონიო-აფსაროსი ნუმიზმატიკური ძეგლების მრავალფეროვნებით გამოირჩევა; აქ არქეოლოგიური შესწავლისას გამოვლინდა ელინისტური, რომაული, ბიზანტიური, ევროპული და ოსმალური მონეტები. სტატიაში შევისწავლეთ 2000-2018 წლებში აღმოჩენილი საფასეები.

ნუმიზმატიკური მასალიდან 24 არის რომაული ხანის (I-III სს.), ხოლო ერთი პოლონური მონეტაა (XVII ს.). რომაული საფასეები ზარაფხანების მიხედვით ასე ნაწილდება: კესარია–8, ანტიოქია–7, ტრაპეზუნტი–5, რომი– 1;სამი ზარაფხანის დადგენა არ მოხერხდა ცუდი დაცულობის გამო. საუკუნეების მიხედვით შემდეგი სურათი გვაქვს: I–9 (ვესპასიანე (69-79 წწ), დომიციანე (81-96 წწ)),II–9 (ტრაიანე (98-117 წწ), ადრიანე(117-138 წწ), ანტონინუს პიუსი(138-161წწ), კომოდუსი(180-192)), III–5 (სეპტიმიუს სევერუსი(193-211 წწ), კარაკალა(211-217 წწ), იულია დომნა(139-217 წწ)) მონეტა. წამყვანია კესარიის პროდუქცია, მას მოსდევს ანტიოქიის და ტრაპეზუნტის სპილენძი. რომი ერთი ეგზემპლარითაა წარმოდგენილი.

რომაული მონეტების გარდა გონიოს არქეოლოგიურმა შესწავლამ უკანასკნელ წლებში გამოავლინა ევროპული, კერძოდ კი, პოლონური ფული. იგი მოჭრილია სიგიზმუნდ III (1587-1632 წწ) სახელით ბოდგოშის ზარაფხანაში.

ამრიგად, გონიოში გამოვლენილი ნუმიზმატიკური მასალა ძეგლის შესწავლისათვის, სხვა არქეოლოგიურ არტეფაქტებთან და წერილობით მასალასთან ერთად, მნიშვნელოვანი წყაროთმცოდნეობითი ბაზაა.

20.„ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცული მაკედონიის სამეფოში მოჭრილი მონეტები“

ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის ობიექტურ ცნობებს გვაწვდის ნუმიზმატიკური მასალა. ანტიკური ხანის მონეტები ჩვენი ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში დიდი რაოდენობითა აღმოჩენილი ფიჭვნარში, ციხისძირში, გონიოში. ამ პერიოდის მდიდარი ნუმიზმატიკური ძეგლები ინახება აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში. ამჯერად ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს მაკედონიის სამეფოში მოჭრილი მონეტები - 5 ერთეული. 1 მოჭრილია ფილიპე II (359-336 წწ.) სახელით ამფიპოლისში (თრაკია); 1 - ლისიმაქეს (ძვ. წ. 305-281 წწ.), 1-დემეტრიოს I პოლიორკეტესის (ძვ. წ. 294-288 წწ) სახელით ამფიპოლისის ზარაფხანაში ძვ. წ. 290-289 წწ., 1 - აბდერში ძვ.წ. III ს და ერთიც ამფიპოლისში ძვ. წ. 187-131 წწ.

მაკედონიის სამეფოს სხვადასხვა დინასტიების წარმომადგენლების სახელით მოჭრილი მონეტები საქართველოში მრავლადაა გამოვლენილი: ვაწში, სვანეთში, რეყეში (ზუგდიდის რაიონში), ფიჭვნარში, ლენტეხში, ფარცხანაყანევში (წყალტუბოს რაიონი), გულრიფშის რაიონში, ჭიორაში (ონის რაიონი), მცხეთაში, ქუთაისში, ყვირილას მიდამოებში, კაჭრეთის რაიონსა და გონიოში.

ბერძნულ-მაკედონური ექსპანსია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს უშუალოდ არ შეხებია, მაგრამ ხმელთაშუა და შავიზღვისპირეთის ელინისტურ სახელმწიფოებთან უშუალო კონტაქტებმა ძველი კოლხეთი ელინიზმის სფეროში მაინც მოაქცია. ელინისტური პერიოდი კოლხეთში ეკონომიკური აღმავლობისა და გამოცოცხლების ხანაა. კოლხი ვაჭრები უშუალოდ ჩაბმული ჩანან საერთაშორისო საზღვაო თუ სახმელეთო სავაჭრო ურთიერთობებში. ამ პროცესს დიდად შეუწყო

ხელი საქართველოს ტერიტორიაზე გამავალმა საერთაშორისო სატრანზიტო გზამ, რომელიც რიონი-ყვირილას მაგისტრალით შუა აზიას, ბაქტრიასა და ინდოეთს ანტიკურ სამყაროსთან აკავშირებდა.

21.„**რუსეთის ექსპანსია აჭარაში 1914-1918 წწ.**“

პირველი მსოფლიო ომის დაწყების ჟამს საქართველომ გააგრძელა ბრძოლა დაკარგული თავისუფლების დაბრუნებისთვის. ამ პერიოდში გავრცელდა ცნობა აჭარლების მიმართ რუსი ჯარის სასტიკი მოპყრობის შესახებ, რამაც გამოიწვია გურიის და იმერეთის მოსახლეობის აღშფოთება. აჭარისწყალში, სოფელ ერგეში ადგილი ჰქონდა რუსი სამხედროების მიერ მოსახლეობის დარბევას, დაყაჩაღებას. კავკასიის მეფისნაცვალთან მოსალაპარაკებლად შეიქმნა დეპუტაცია, რომელშიც შევიდნენ: ქალაქის თავი ჩიქოვანი, მწერალი აბაშიძე, სახელმწიფო სათათბიროს წევრი ჩხენკელი და თავადი ერისთავი. ამ ფაქტთან დაკავშირებით ბათუმში მოლაპარაკება გაიმართა სამხედრო გუბერნატორთან. აჭარის მოსახლეობა ვერ ურიგდებოდა რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას. ამ პერიოდში ზემო აჭარაში გამოსვლები მოეწყო რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ.

1914 წლის 7 ოქტომბრის, ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსის საიდუმლო წერილში, თურქეთთან მოახლოვებულ ომთან დაკავშირებით, ასევე თურქი მისიონერების აგიტაციის გამო, რუსეთის ხელისუფლება გამოთქვამდა შიშს, ხელსაყრელ ისტორიულ მომენტში იმპერიის გაძლიერების მიზნით თურქეთის გარშემო მუსლიმი მოსახლეობის გაერთიანების გამო. მისიონერები ადგილობრივ მოსახლეობაში ეძებდნენ დასაყრდენ ძალას. რუსები განსაკუთრებულ შიშს გამოთქვამდნენ თურქი გენერლის, წარმოშობით ქართველი აღა თავდგირიძის გამო, რადგან 1911 წელს კონსტანტინეპოლიდან საქართველოში მის ჩამოსვლას მოჰყვა მოსახლეობის დიდი მხარდაჭერა. ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმერიის სამმართველოს საიდუმლო წერილში აღნიშნულია, რომ მუსლიმი მოსახლეობის ერთი ნაწილი იჩენდა პასიურობას და უცდიდა ხელსაყრელ მომენტს, რომ გადასულიყო გამარჯვებულის მხარეზე. აჭარელი ბეგების მოწოდების მიუხედავად ადგილობრივი მოსახლეობა სადროშოში არ გაერთიანდა, მაგრამ მათ აწუხებდა სომხური სადროშოს შექმნა, რადგან მათი მხრიდან იყო დაპირისპირების საშიშროება. 1914 წლის 14

ოქტომბერს ტრაპეზუნდის ვალის დეპეშის ცნობით დასტურდება, რომ რიზედან ტრაპეზუნდში ჩამოვიდა 150 ადამიანი, რომელთაც საკუთარი სიცოცხლე მიუძღვნეს საქართველოს დამოუკიდებლობის საქმეს.

1914 წლის 26 ოქტომბრით დათარიღებულ ბათუმის ოლქის მმართველის საიდუმლო წერილში აღნიშნულია, რომ ტრაპეზუნდის ვილაიეთის სოფელ ორდუში მყოფი გენერალი ასლან-ბეგ აბაშიძე 500 მეომრით, საიდუმლო ბილიკებით აპირებდა აჭარაში გადმოსვლას, რის შესახებ იგი წერილობით აცნობებდა თავის ძმას ბათუმში მემედ-ბეგ აბაშიძეს.

სოფელ მარადიდში მყოფ 150 კაციან რაზმს ხელმძღვანელობდა ასლან-ბეგ აბაშიძე, გონიოში მყოფი 15 კაციანი რაზმით მასვე შეუერთდა ბათუმის ოლქის ურიადნიკი, ზენდიდელი დედე-ბეგ ბეჟანიძე, ჩეთნიკების რაზმი ოსმან-ბეგ ბეჟანიძის ხელმძღვანელობით და ლიმანში მყოფი 1200 კაცი ალი ეფენდი ჯაფარიძესთან ერთად. ადგილობრივ მოსახლეობას რუსების წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდებდნენ ბათუმში მცხოვრებნი: ქიქავა დურსუნი, დიასამიძე აბდული, კომახიძე დურსუნი, მურმან გორაძე, რამიზ ჭყონია.

ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსის 1914 წლის 25 ნოემბრის საიდუმლო წერილში აღნიშნულია, რომ ჭოროხის გარე რაზმს ხელმძღვანელობს გენერალი ხუსეინ ავნი ფაშა, წარმოშობით ქართველი, ჩურუქსუდან, რაზმში ირიცხება 30-40 ათასი კაცი, მასვე შეუერთდნენ მურღულისა და ბორჩხის მცხოვრებნი. გენერალი ასლან-ბეგ აბაშიძე იმუქრებოდა თავის მოკვლით თუ ერთი თვის განმავლობაში არ დაიკავებდა ბათუმს. თურქეთი სიტყვით აღიარებდა საქართველოსადმი დახმარებას, მაგრამ სინამდვილეში ცდილობდა რუსეთ-თურქეთის 1877 წლამდე არსებული საზღვრების გადახედვას, რაც ქართველი პატრიოტების აღშფოთებას იწვევდა. საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე პეტრე სურგულაძე აღნიშნავდა, რომ ქართველი მუსლიმი ინტელიგენცია სახალხო იდეალების ერთგული რჩება და განაგრძობს ბრძოლას სამშობლოს თავისუფლებისთვის.

22. „მცირე და საშუალო ბიზნესის როლის შეფასება ბელორუსიის რესპუბლიკის გომელის რეგიონის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის სისტემაში და

ბელორუსიის რესპუბლიკისა და საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ზოგიერთი საკითხი“,

ნაშრომში განიხილება ბელორუსიის რესპუბლიკაში მეწარმეობის განვითარების საკითხები, კერძოდ, გომელის რეგიონის მაგალითზე. შეფასებულია მცირე და საშუალო ბიზნესის როლი ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკაში. შემოთავაზებულია სამეწარმეო საქმიანობაში ჩართულობის რეგიონალური კოეფიციენტების გამოყენება, რომელთა გამოყენების მეთოდი შემოწმებულია გომელის რეგიონის მაგალითზე. სტატია ეხება მეწარმეობის სფეროში დასაქმების საკითხებს და მის სტრუქტურას საქმიანობის ტიპის მიხედვით. სტატია ასევე ეხება ბელორუსიის რესპუბლიკისა და საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებს.

23. „**ერთი ეპიზოდი სოფელ ცხემლის ხიდის საბჭოთა პერიოდის ისტორიიდან“**

ოზურგეთთან ახლოს, მდინარე ნატანებთან მდებარეობს ჰიდრო რესურსებით მდიდარი, წითელ-მიწა ნიადაგით და ჩაის კულტურით ცნობილი სოფელი ცხემლისხიდი. მდინარე ნატანები სათავეს იღებს საყორნიის მთებში. მას უერთდება მდინარე დვაბზუ და ოჭომა. მდინარე გვერდა გუგულაურის მთებიდან მოედინება, ხოლო მდინარე ვორთანა გეპალაურიდან. მდინარე ნატანებთან ახლოს დღეს არსებულ სკოლის მიდამოებში განთავსებული იყო გურიელთა საზაფხულო რეზიდენცია, სადაც აღმოჩენილია კერამიკული ჭურჭლის საუკეთესო ნაწარმი, პოლონური მონეტები ა.შ. სოფელში ჯერ კიდევ შემორჩენილია XIX საუკუნით დათარიღებული ძლევის კარის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია და ზეგანზე არსებული სტეფანწმინდის ტაძრის საძირკველი.

1926-1931 წლებში სოფელი ცხემლისხიდი გაერთიანებული იყო სოფელ დვაბზუს სასოფლო საბჭოში, ხოლო 1931 წლის მარტიდან ცხემლისხიდის სასოფლო საბჭოს შემოუერთდა სოფლები დვაბზუ, ბაღდადი, უჩხობი და ვაკიჯვარი.

1936 წლის დემოგრაფიული მონაცემების მიხედვით ცხემლისხიდის სასოფლო საბჭოში გაერთიანებული იყო 465 კომლი, დაახლოებით 1000 ადამიანი.

1937 წლის 17 ივლისს, ცხემლისხიდის სოფ. საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილების საფუძველზე, გასაგები მიზეზების გამო (უფრთხილდებოდნენ რუსების

ავტორიტეტს) შიგა კონტროლს დაექვემდებარა სოფლად რუსების ყოფნა. კოლმეურნეობის წევრებს აეკრძალათ ბინის მიქირავება რუსებზე, განსაკუთრებული შემთხვევის გარდა, სათანადო დოკუმენტების წარდგინებით. აღრიცხვაზე ჰყავდათ ყველა ის პირი, ვინც დაქირავებულ რუსს მოიხმარდა სასოფლო სამეურნეო სამუშაოების დროს.

სოფლის ცხოვრება ძირითადად გლეხის მძიმე შრომაზე იყო დაფუძნებული. 1940 წლის 10 თებერვლის სსრკ. ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილების საფუძველზე გადაწყდა სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრა. მოსახლეობაში აკრეფილი თანხა სასოფლო საბჭოს ბიუჯეტში არ შედიოდა და ძირითადად იხარჯებოდა გზების, ხიდების, სკოლების მშენებლობაზე. გზების მოწესრიგების მიზნით მოსახლეობას დაკისრებული ჰქონდა საგზაო სამდღიური ბეგარა. საგზაო სამუშაოებს ხელმძღვანელობდა სათემო ხუთეული, საგზაო სამუშაოების პროცესში გამოყენებული იყო სანადო სისტემა. კანონის თანახმად, კოლმეურნეობაში სამუშაო დღეების გამცდენი პირი ადმინისტრაციული წესით ისჯებოდა. სასოფლო თემში არსებობდა ,,წყალთან მებრძოლი სამეული'.' ამ პერიოდში მათ მიერ მდინარე ნატანებზე აიგო 14 დამბა. სოფლის მოსახლეობიდან ფულადი სახსრების ამოღებას უზრუნველყოფდნენ პასუხისმგებელი პირები. გადასახდელი თანხა 20 მანეთს შეადგენდა. 1934 წლის 23 თებერვალს, ცხემლისხიდის თემის სოფ. საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს საკითხი არაყის გეგმის შესრულების შესახებ. არაყის გამოხდასთან დაკავშირებით გამოცხადდა სამდღიური 7-10 მარტი. მოცემულ ვადაში გლეხი ვალდებული იყო სასოფლო საბჭოსთვის ჩაებარებინა არაყი. მოსახლეობაში აკრეფილი ფულადი გადასახადის ხარჯზე ხდებოდა კოლმეურნეობის მიერ აღებული გეგმიური ვალდებულებების შესრულება. კოლმეურნეობა იღებდა ვალდებულებას ისეთი პროდუქტის დამზადება- ჩაბარებაზეც, რომლის წარმოება სოფელში არ ხდებოდა.

1933 წელს ცხემლისხიდის კოლმეურნეობის დამზადება-ჩაბარების გეგმაში შედიოდა შემდეგი სახის პროდუქტები: ხორცი, ყველი, ჩაი, სიმინდი, ღომი, ბრინჯი, სოია, კარტოფილი, თხილი, ტუნგო, აბრეშუმის პარკი და ა.შ. აიკრძალა სიმინდის გატანა ქალაქში, რადგან ის ხელს უშლიდა გეგმის შესრულებას. სიმინდით მოვაჭრენი ცხადდებოდნენ სპეკულანტებად. კოლმეურნეობას უფლება ჰქონდა სპეციალურად

გამოყოფილ ადგილზე მოეწყო გლეხების მიერ შრომით მოპოვებული ნაწარმის გასაღების ბაზარი. თემში დიდ ყურადღებას აქცევდნენ აბრეშუმის ჭიის მოვლა-პატრონობის საქმეს. შერდიმან ელიაძის თაოსნობით ჩაქვის საუფლისწულო მამულიდან სოფელში მოიწვიეს ჩაის კულტურის დიდი მცოდნე პოპოვი, რომელმაც ჩაის კულტურის გასაშენებლად მოიწონა სოფლის ზეგანზე არსებული წითელმიწა ფერდობიანი ადგილი. 1932 წელს უნდა მოკრეფილიყო 20, 000 კგ ნედლი ჩაის ფოთოლი, მაგრამ მოცემული გეგმის შესრულება სასოფლო თემის პირობებში არ იყო რეალური, რადგან 1928 წელს გაშენებული ჩაის ფართობი ნახევრად განადგურებული იყო. თემში არსებული ფართობის და მოცემული პირობების მიხედვით რეალურად შესაძლებელი იყო 14, 000კგ. ნედლი ფოთლის მოკრეფა. აკრძალული იყო ჩაის ხელით მოჟლეტა.

ერთი სიტყვით, საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების პირველ წლებში განაგრძობდა არსებობას ბატონყმობის გადმონაშთები, შრომითი ბეგარის და ნატურალური და ფულადი ღალის სახით.

24.„**ანტირუსული მოძრაობა გურია-აჭარაში XX ს. 20-იან წლებში**“

1917-1918 წწ. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებზე განიხილავდნენ გურიასა და აჭარაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას. საქართველოს ეროვნული საბჭო აღნიშნულ რეგიონებს, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობის გამოცოცხლების მიზნით უწევდა ფინანსურ დახმარებას.

საქართველოს ეროვნული საბჭოს საფინანსო სექციის ხელმძღვანელის კოტე მესხის წერილის საფუძველზე, გურიას სამშობლოს დაცვის მიზნით გადაეგზავნა 5000 მანეთი. 1918 წლის 2 თებერვალს სამაჰმადიანო საქართველოს სექციის გამგეს რეჯებ ნიჟარაძეს წლიური ხარჯებისთვის წლიურად დაენიშნა 500 მანეთი. საინტერესოა ქალაქ სამტრედიის ვაჭართა საურთიერთო ნდობის საზოგადოების 1918 წლის 20 ივნისის წლიური კრების მიმართვა, რომელიც შეეხება იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებას და იმ წვლილს, რომელიც გაიღო აღნიშნულმა საზოგადოებამ გურიასა და აჭარაში დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის სასარგებლოდ. მიმართვაში აღნიშნულია, რომ რუსეთის 1917 წლის რევოლუციამ ერთ-ერთ უმთავრეს და აუცილებელ საქმედ მიიჩნია ერთა განთავისუფლების საკითხი. რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ხალხს

გამოჰქონდათ დროშები, რომელზეც ეწერა ,,რუსეთის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა''. ამას მოჰყვა რევოლუციის აღრევა, აზვირთება და ბოლშევიკური გამოსვლები. ამ უკანასკნელის ხელში რევოლუციამ დაკარგა თავისი დემოკრატიული ღირებულებები და გამოიწვია ამიერკავკასის ერების გამიჯვნა. რუსეთი ამიერკავკასიას ჰყოფს და ,,ფეშქაშობს" (ჩუქება) ოსმალეთის მთავრობას. სამარცხვინო ზავის საფუძველზე საქართველო სამუდამოდ ჩამოშორდა ისტორიულ ტაო-კლარჯეთს. სამტრედიის ვაჭართა საურთიერთო ნდობის საზოგადოებამ საქართველოში დამოუკიდებლობის გაძლიერების მიზნით 1917 წელს, მოგებული თანხიდან გამოჰყო 500 მანეთი. ბათუმის ქართულ ეროვნულ საბჭოს, ბათუმში დატოვებული ქართველი მხედრების სასარგებლოდ გადაეცა 200 000 მანეთი, რომელიც დაურიგდა სხვადასხვა სამხედრო ნაწილის ოფიცრებს და ჯარისკაცებს. ამ პერიოდში, თურქეთში განვითარებული მოვლენების შედეგად დაიძაბა ურთიერთობა რუსეთთან დამეგობრებულ სომხებსა და ქართველ მუსულმანებს შორის.

1918 წლის საქართველო სომხეთის ომში სომხებს ინგლისელების იმედი ჰქონდათ და ინგლისელებმა პირველ ხანებში თითქოს გაუმართლეს, მაგრამ საკმაო აქტივობას ვერ იჩენდნენ. ისინი უფრო სომხების ვექილებად გამოდიოდნენ, ვიდრე შუამავლად ქართველებსა და სომხებს შორის. ინგლისელთა ზეწოლის გამო ქართველებმა დამარცხებული სომხების დევნა შეაჩერეს, მიუხედავად იმისა, რომ ქართველებისთვის ისინი არავითარ ძალას აღარ წარმოადგენდნენ და მათი საბოლოო დამარცხება მეტად იოლი იყო. ასეთი ფაქტი ომის ისტორიაში იშვიათია. ქართველებმა დიდი რაინდობა გამოიჩინეს. 1919 წლის 9 მაისს გაზეთი სამუსლიმანო საქართველო აშუქებს ინგლისელთა დამოკიდებულებას სერვერბეგის ავანტიურასთან დაკავშირებით. სერვერბეგ ქობლიანსკის ქმედება ინგლისელებმა შეაფასეს, როგორც ძმათა შორის სისხლისღვრა. ინგლისის მთავრობამ დაატყვევა ,,ყარსის რესპუბლიკის'' ხელმძღვანელობა და ამით უზრუნველყო აჭარაში მშვიდობა.

1920 წლის 1 მარტს ბათუმში გამართულ საზეიმო სხდომაზე აღინიშნა, რომ საქართველო უბათუმოდ დასახიჩრებულ სხეულს დაემსგავსებოდა და რომ ბათუმის ოლქი შეადგენს საქართველოს ორგანულ ნაწილს ისტორიულად, ეთნოგრაფიულად, სამრეწველო განვითარებით. საქართველოსთვის ბათუმის გადაცემა მოსახლეობას მიულოცეს ინგლისის, უკრაინის, ირანის კონსულებმა. 1920 წლის 2 მარტს გაზეთ

,,ერთობაში'' დაიბეჭდა სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის თავმჯდომარის მემედ აბაშიძის მიმართვა, კავკასიაში ბრიტანეთის უმაღლეს კომისარ ოლივერ უვორდროპისადმი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ 1919 წლის 31 აგვისტოს ბათუმის ოლქის ქართველი მუსულმანების ყრილობამ გამოიტანა დადგენილება და მოითხოვა ავტონომიურ საწყისებზე ბათუმისა და მისი ოლქის შეერთება საქართველოს რესპუბლიკასთან.

25. „**ბათუმი ინგლისელთა მმართველობის პერიოდში**“

1918-1920 წლებში ინგლისელთა მმართველობამ გარკვეული კვალი დატოვა ბათუმის ისტორიაში. დღევანდელი გადასახედიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დროის ამ მცირე მონაკვეთში ინგლისელთა მიერ სწრაფად მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, ბათუმში სასამართლოს მოწყობის, წესრიგის აღდგენის, სანიტარულ-ჰიგიენური კულტურის დაცვის, მიწის და საფინანსო რეფორმის, თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების, ქალაქში მოძრაობის წესების დაცვის, ფიზიკური და გონებრივი შრომით დაკავებული მოსამსახურეებისთვის სამუშაო განაკვეთის განსაზღვრის და ა.შ საკითხები.

საინტერესოა ბათუმის უბნების სრული აღწერილობა, ასევე ბათუმის დროებით მმართველობასთან მოქმედი კომისიების, კერძოდ, სარევიზიო, საფინანსო, სამედიცინო, სანიტარულ-ჰიგიენური, იურიდიული, სასკოლო, ტექნიკური, პირველადი მოთხოვნილებად საგნებზე ფასების დარეგულირების და ა.შ. მუშაობა. ბრიტანეთის ხელისუფლება რეალურად მოკლებული იყო ბათუმში თავისი ძალაუფლების განხორციელების შესაძლებლობას. 1920 წელს კავკასიაში არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე ინგლისი იძულებული გახდა დაეტოვებინა ბათუმი.

26.“**Earliest Buildings in the Gonio-Apsarus Castellum**”

2017 წელს, გონიო-აფსაროსის ქართულ-პოლონურმა ექსპედიციამ გააგრძელა სამუშაოები რამდენიმე უბანზე. მათგან განსაკუთრებით უნდა გავამახვილოთ ყურადღება ჩვ.წ. I საუკუნის მოზაიკიანი იატაკის მქონე ნაგებობის სამხრეთით მიმდინარე სამუშაოების შედეგებზე. მეტად საყურადღებოა უშუალოდ ამ ნაგებობაში

შესასვლელი მასიური ქვის საფეხურების აღმოჩენა. აღნიშნული ნაგებობის დასავლეთით, უშუალოდ კედელთან გაკეთებულმა საინსპექციო თხრილმა დაადასტურა, რომ თავდაპირველად კედელი გამაგრებული იყო ოთხი გარე საყრდენით. გარდაამისა, კედელში მიკვლეულ იქნა ამ დრომდე შემორჩენილ სავენტილაციო ხვრელს, რომელიც, მოგვიანებით ნაგებობის აღდგენის მცდელობისას უსწორმასწორო ფორმის ქვების გამოყენების გამო დახშულა.

კედლის სხვადასხვა ნაწილში, აღნიშნული სავენტილაციო არეს სიმაღლეზე, შესაძლებელია კედლის წყობაზე დაკვირვებაც, რომელიც ადრეული ნაგებობის კედლის ნაშთებია. სწორედ ასეთი ქვების რამდენიმე შემონახული რიგი გახდა, მოგვიანებით აქ აგებული აბანოების საძირკვლის ნაწილი.

აღმოჩენილი არქიტექტურული ნაშთების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ნაგებობა იყო ერთგვარი საწყობი. შენობა გამოიყენებოდა მარცვლეულის შესანახად; მას უნდა ჰქონოდა იატაკი მიწის დონიდან ზემოთ, რომელსაც კარგად გამართული სავენტილაციო სისტემაც ჰქონდა. შედეგად საჭირო გახდა კიბეები და სავენტილაციო ხვრელები. საყრდენები ამაგრებდნენ საწყობის კედლებს, რომლებიც ადაპტირებული იყო დიდი რაოდენობით მარცვლეულის შესანახად.

7. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

7.1. მონოგრაფიები/წიგნები

1) ავტორი/ავტორები

1.

2.

2) მონოგრაფიის/წიგნისსათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1.

2.

3) გამოცემისადგილი, გამომცემლობა

1.

2.

4) გვერდების რაოდენობა

1.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

7.2. სახელმძღვანელოები

1) ავტორი/ავტორები

1.

2.

2) სახელმძღვანელოსსახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1.

2.

3) გამოცემისადგილი, გამომცემლობა

1.

2.

4) გვერდებისრაოდენობა

1.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

7.3. კრებულები

1) ავტორები

1.

2.

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1.

2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1.

2.

4) გვერდების რაოდენობა

1.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

7.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. Naile Mikeladze, Elza Putkaradze, Naila Chelebadze

2. Elza Putkaradze, Naile Mikeladze, Naila Chelebadze

3. Oleg Jibashvili, Irakli Baramidze, Khatuna Diasamidze

4. უჩა ოქროპირიძე

5. უჩა ოქროპირიძე

6. Ucha Okropiridze

7. Irine Varshalomidze, Nino Dzneladze

8. Roin Malakmadze, Sulkhan Mamuladze

9. Sulkhan Mamuladze

10. Sulkhan Mamuladze

12.Sulkhan Mamuladze, Radoslaw Karaszievicz-Sczipiorszki,

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. Pagan-Christian customs in the folklore of Adjara, https://scholar.google.ru/citations?view_op=view_citation&hl=ru&user=yRx__foAAAAJ&authuser=2&citation_for_view=yRx__foAAAAJ:d1gkVwhDpl0C

2. For an Understanding of Several Toponyms Related to Queen Tamar,ISBN 978-5-00130-481-4 (т. 1)

3. "Religion and National Identity (on the Example of the Georgian Catholics from VillageVeli)" (იბეჭდება)

4. „სოფელ ზენითის ისტორიიდან", ISSN 2156-2253

5.„ბრესტის ზავის, მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებების შესახებ", ISSN 2156-2253

6. "The Treaty of Brest, Moscow and Kars Agreements", ISSN 1843-9489 (გადამუშავებული ვერსია, იბეჭდება)

7. "Byzantine Coins Preserved at Khariton Akhvlediani Museum"(იბეჭდება)

8. "Types of Burials and Funerary Practices in Mediavel Ajara" (იბეჭდება)

9. "Serapes Cult in Roman Period Gonio-Apsarus", ISBN 978-9941-9738-8-8

10. "New and Revised Tile Stamps from the Roman Fort Apsarus"(იბეჭდება)

11. "Roman Garrisons in South East Black Sea Region and Their Supply Systems According to Archaeological Materials" (იბეჭდება)

12. "The bulding activity Legio V Macedonica in the territory of Roman Empire and abroad during the principate period"(იბეჭდება)

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. Linguistic Summit «Linguistic Diversity in Global Environment"

2. ВЫЗОВЫ И ТРЕНДЫ МИРОВОЙ ЛИНГВИСТИКИ , Труды и материалы ,Том 1

3.“The Religion and The Law” (The proceedings of The International Scientific Symposium), Constanta (Romania)

4. ონლაინ-ჟურნალი „ამირანი“, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მოამბე, XXXIV, Montreali-Tbilisi, ინტერნეტ-მისამართი: https://caucasology.com/amirani.php?cat=34&page=2

5.ონლაინ-ჟურნალი „ამირანი“, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მოამბე, XXXIV, Montreali-Tbilisi, ინტერნეტ-მისამართი: https://caucasology.com/amirani.php?cat=34&page=2

6. DIONYSIANA (Annual collection of works of Center for Religious and Juridical-Canonical Study and Research of Three Monotheistic Religions of Ovidius University of Constanta), XIV (2021)

7. “The Religion and The Law” (The proceedings of The International Scientific Symposium), Constanta (Romania)

8. “The Religion and The Law” (The proceedings of The International Scientific Symposium), Constanta (Romania)

9. “Gonio-Apsarus”, XI

10. “Pro Georgia _ Journal of Kartvelological Studies”. №31

11. “Polish Archaeology in the Mediterranean”

12.Polish Archaeology in the Mediterranean”

4) გვერდების რაოდენობა

1. 6
2. 4
3. 13
4. 14
5. 24
6. 18
7. 8
8. 11

9. 24

10 14

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.ნაშრომში საუბარია წყლის კულტზე. ქართული ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალები და ცოცხალი ყოფა-ცხოვრება გვარწმუნებს, რომ წყლის მაგიური ძალისადმი რწმენა საფუძვლად დასდებია არაერთ ხალხურ დღესასწაულსა და საკულტო სანახაობას. მათ შორის, საინტერესოა, ზემო აჭარაში შემონახული ერთ-ერთი ტრადიცია, რომელიც წყლის თაყვანისცემასა და საკულტო რიტუალს განასახიერებს. კერძოდ, განხილულია შუახევის რაიონის ახალდაბის მკვიდრთა ყოფაში შემონახული წეს-ჩვეულება, რომელსაც თავისი სახე არ დაუკარგავს და დღესაც აქტუალურია თავისი მნიშვნელობა - დანიშნულებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებული განბანვის რიტუალში ვხდებით წარმართული და ქრისტიანული რელიგიის წეს-ჩვეულებათა კონტამინირებულ ელემენტებს, რომელშიც წყლის ღვთაებრივი ძალაა წარმოდგენილი.

2. ნაშრომში წარმოდგენილია თამარ მეფის სახელთან დაკავშირებულ ტოპონიმთა ანალიზი. კერძოდ, „თარანგელოს გზა“//“ხანუმის გზა“; „საყდარი სერი“// „თარანგელოზი“; „ნანეფვარი“, „ნეფეკალო“, „ ნადარბაზევი“; „ნაქალაქევი“. ტოპონიმიკა ყოველთვის უკავშირდებოდა ისტორიას და ქმნიდა საისტორიო გეოგრაფიას. ფოლკლორული მასალები, კერძოდ, ტოპონიმური გადმოცემები ,გენეტიკურად განუყრელი იყო ამ კუთხის ისტორიულ წარსულთან. ამიტომაც, მიგვაჩნია, რომ ტოპონიმებისა და მასთან დაკავშირებული თქმულება -გადმოცემების კვლევა მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

3.**“Religion and National Identity (on the Example of the Georgian Catholics from VillageVeli)”**

საქართველოს სამოციქულო ეკლესია არა მარტო ქართველი ერის მსოფლმხედველობითი გეზის განმსაზღვრელი იყო ყოველთვის, არამედ იგი იყო აგრეთვე ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნება-გადარჩენის მტკიცე გარანტი ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის

გარეთ დარჩენილი ქართველი ერის ცალკეული ჯგუფები სხვადასხვა მიზეზით ხშირად კარგავდნენ ეროვნულ ცნობიერებას და სხვა ერებში ითქვიფებოდნენ ხოლმე. აღნიშნული ბედი ეწია არტაანის სოფელ ველის კათოლიკე ქართველებსაც. XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან მათ საეკლესიო ენად სომხური დაუწესეს. 1829 წელს ისინი ჯავახეთის სოფლებში გადმოსახლდნენ (ბავრა, ხულგუმო, კარტიკამი). საეკლესიო ენად აქაც სომხური დაუტოვეს, მათ გარშემო კი არზრუმელი სომხები დასახლდნენ. სომხურენოვანი კათოლიკური ეკლესიის გავლენით ისინი თანდათან გასომხდნენ და დღეს მათი შთამომავლები სომხებად იწერებიან.

რელიგიის შესაძლებლობებს, გაუკუღმართებული ფორმით, ფართოდ იყენებდნენ და, სამწუხაროდ, დღესაც იყენებენ პოლიტიკური და იდეოლოგიური მიზნების მისაღწევად. ეს ტენდენცია, არცთუ იშვიათად, ქართულ-სომხურ ურთიერთობებშიც იჩენდა ხოლმე თავს.

ნაშრომში საუბარია ქართველი საზოგადო მოღვაწის – ზაქარია ჭიჭინაძის ერთ-ერთი საგაზეთო წერილის შესახებ. ზ. ჭიჭინაძე წერილში ფარდას ხდის მხითარისტი კათოლიკე სომხების საგანმანათლებლო პოლიტიკის ანტიქართულ ხასიათს. მხითარისტები უფასო განათლების მიცემის დაპირებით წმ. ლაზარეს კუნძულზე არსებულ სომხურ სასულიერო სასწავლებელში იზიდავდნენ ქართველი კათოლიკეების ბავშვებს. მოჩვენებითი ქველმოქმედების უკან შორსმიმავალი მიზნები იმალებოდა. სასწავლებელში ქართველ ბავშვებს სომხურ ენაზე აძლევდნენ განათლებას, უტარებდნენ იდეოლოგიურ დამუშავებას და ზრდიდნენ მათგან სომხური იდენტობის მქონე კათოლიკე მღვდლებს. ასეთი ცნობიერება-შეცვლილი მღვდლები ქართველ მრევლთან დაბრუნების შემდეგ ახდენდნენ მათ გადაყვანას სომხურენოვან ღვთისმსახურებაზე, რითაც ხელს უწყობდნენ ქართული ენის გაქრობას და კათოლიკე ქართველების გასომხებას.

მცირე ასაკიდან უცხო ენაზე მიღებული განათლება, საბოლოო ჯამში, ხდებოდა მიზეზი კათოლიკე ქართველების გადაგვარებისა და მათი ასიმილაციისა. მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს განათლების სისტემის მოწესრიგებას და ქართველი ბავშვების მშობლიურ ენაზე აღზრდას.

ნაშრომში საუბარია, აგრეთვე, საქართველოში კათოლიკური სარწმუნოების გავრცელების ცალკეულ საკითხზე.

4. „სოფელ ზენითის ისტორიიდან“

ნაშრომში მოცემულია სოფელ ზენითის შემოკლებული ისტორია, რომელშიც მოცემულია მისი კომპაქტური თხრობა ხსოვნას დაქვემდებარებული დროიდან დღევანდელობამდე. მასში განხილულია სოფლის შესაძლო ისტორია ბრინჯაოს ხანიდან (ზენითის განძი, აქ აღმოჩენილი ბრინჯაოს კოლხური ცულები თუ სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღები), თანამედროვე პერიოდამდე. განსაკუთრებით გადმოცემულია მისი მეტად საინტერესო ისტორია რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომების დროს სოფელ ზენითის მნიშვნელობისა და საერთოდ ამ ომში ქობულეთელთა მიერ შესრულებული როლის შესახებ. განხილულია სოფელ ზენითის საბჭოთა პერიოდინდელი ისტორიის საინტერესო, მნიშვნელოვანი მომენტები და თანამედროვე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პერიოდი, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ხანაში მიმდინარე მოვლენები.

5. „ბრესტის ზავის, მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებების შესახებ“

ნაშრომში გაშუქებულია ბრესტის ზავის, მოსკოვისა(1921 წლის 16 მარტი) და ყარსის (1921 წლის 13 ოქტომბერი) ხელშეკრულებები და მათგან გამომდინარე შედეგები საქართველოს სახელმწიფოსა და მისი სახელმწიფოებრიობისათვის, როგორც საბჭოთა, ისე თანამედროვე დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში. საერთაშორისო სამართლის აქტებსა და დოკუმენტებზე, აგრეთვე საარქივო მასალებზე დაყრდნობით გაანალიზებულია აღნიშნულ ხელშეკრულებათა სრული შეუსაბამობა დღეს მოქმედ საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან და ამის გამო გაკეთებულია სათანადო დასკვნები მისგან გამომდინარე ყველა შედეგებით.

6.“The Treaty of Brest, Moscow and Kars Agreements”

ნაშრომში სათანადო ისტორიული ლიტერატურისა და წყაროების, ამასთან საარქივო მასალების გამოყენებით გაკეთებულია საჭირო ანალიზი საქართველოსა და კერძოდ, აჭარის რეგიონისათვის ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტების შეფასებისა და თანამედროვეობის მოთხოვნათა შესაბამისად მათი დანიშნულებისა და

მნიშვნელობის გააზრების თვალსაზრისით. მასში ნათქვამია, რომ 1918 წლის 3 მარტის ბრესტის ზავით გათვალისწინებული ე. წ. რეფერენდუმის შედეგები, რომელიც ოსმალური ხიშტების ქვეშ ჩატარდა, არ სცნო თვით ოსმალეთის მოკავშირე გერმანიამ და არც კონსტანტინეპოლის კონფერენციამ.

რაც შეეხება მოსკოვისა და მისგან გამომდინარე ყარსის ე. წ ხელშეკრულებებს, ნაშრომში მოხმობილი უტყუარი ისტორიული და საარქივო მასალის, ამასთან საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და აქტების გათვალისწინებით ნაშრომში გაკეთებულია სათანადო დასკვნა-რეკომენდაციებითურთ: აღნიშნული დოკუმენტების, (მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებები) „გამოცოცხლებისა“ და „უკვდავად“ გამოცხადების არავითარი საფუძველი არ არსებობს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უკვე ისტორიის ასპარეზიდან წასული მათი შემოქმედი ძალების (ოსმალეთის იმპერია და საბჭოთა რუსეთი) სამართალ მემკვიდრეთა მიერ აშკარა აგრესიის ისევ დაშვების შესაძლებლობას. 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულებისა და საქართველოში ბოლშევიკური გადატრიალების შედეგად დადებული ყარსის ხელშეკრულება, ყველა თვალსაზრისით, არასამართლებრივი და უკანონოა ისევე, როგორც მისი დამდები ხელისუფლება, მისგან გამომდინარე ყველა შედეგებით, რაც ამ ძალადობის აქტის ჩამდენმა თავად აღიარა. ამასთან და ამიტომაც, დღეს საყოველთაოდ ცნობილი საერთაშორისო სამართლის ნორმებით, მას არავითარი ძალა და საფუძველი არ გააჩნია. მისი გამოცოცხლების ცდა და 1992 წლის 30 ივლისის „საქართველო-თურქეთის მეგობრობის ხელშეკრულებაში“ მოხსენიება, რომელზედაც ხელმოწერა გააკეთა არავითარი ლეგიტიმაციის მქონე, სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შედეგად საქართველოს ხელისუფლებაში მოსულმა არაკანონიერი სახელმწიფო საბჭოს არაკანონიერმა თავმჯდომარემ, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით იურიდიული ნონსენსია .როცა ყველა ამ უკანონობაზე თვალს ხუჭავდა და ხუჭავს საერთაშორისო თანამეგობრობა და მისი სამართლიანობის სახელით მოღვაწე ორგანიზაციები, ეს თანამედროვე მსოფლიოს პრობლემაა და არა იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ თითქოს მსგავსი უსამართლობანი და მათი იგნორირება, სწორედ მათ მიერ, ვინც თანამედროვე მსოფლიოში სამართლიანობის დაცვის მენტორად გამოდის, თითქოს არ ხდება! - და სათანადო ნაყოფსაც იმკიან ამ

უსამართლობათა უგულებელყოფისა და ამის შედეგად წარმოშობილ უამრავ პრობლემათა გამო.

მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებზე საქართველოს კანონიერი ხელისუფლების მიერ სათანადო განცხადების გაკეთების შემთხვევაში არ არსებობს არავითარი კანონიერი საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმი (აგრესიისა და ძალადობის გარდა), რომელიც მას ჩვენი ქვეყნისათვის საშიშროების შემცველ დოკუმენტად აქცევს, რადგან იგი ფაქტობრივად, თავისი უსამართლო წარმოშობის გამო, დიდი ხანია დენონსირებული და გაუქმებულია სწორედ საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის მიერ.

7. "Byzantine Coins Preserved at Khariton Akhvlediani Museum"

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცულია 19 ბიზანტიური მონეტა: იმპერატორი არკადიუსი (395-408 წწ.), ქიზიკი, სპილენძი, ციხისძირი; იუსტინიანე I (517-565 წწ.) 2 სპილენძი, კონსტანტინეპოლი, 1-ნაპოვნია ციხისძირში; ირაკლი და ირაკლი კონსტანტინე (613/14-641 წწ.) 1 სპილენძი, კონსტანტინეპოლი; ბასილი I და კონსტანტინე VII (867-879 წწ.) 1, სპილენძი, კონსტანტინეპოლი; რომანოზ I ლეკაპენოსი (919-921 წწ.) 1 სპილენძი, კონსტანტინეპოლი, ციხისძირი; ნიკიფორე II (963-969 წწ.) 1, სპილენძი, კონსტანტინეპოლი; იოანე I ციმისხი(969-976 წწ) 2, სპილენძი; ბასილი II და კონსტანტინე VIII (976-1034 წწ) 4, სპილენძი, კონსტანტინეპოლი, 1 ციხისძირშია ნაპოვნი; რომანოზ III (1028-1034 წწ) 2, სპილენძი, კონსტანტინეპოლი, ალექსი I კომნენოსი (1081-1118 წწ.) 1 სპილენძი, კონსტანტინეპოლი; რომანოზ IV დიოგენესი (1068-1071 წწ) 1, სპილენძი, კონსტანტინეპოლი; მიხეილ IV პაფლაგონელი (1034-1041 წწ.) ან კონსტანტინე IX დუკა (1042-1055 წწ.) ან თეოდორა(1055-1056 წწ) 1 სპილენძი, კონსტანტინეპოლი; ისააკ I კომნენოსის (1057-1059 წწ.) ან კონსტანტინე X დუკას (1059-1067 წწ.) 1, სპილენძი, კონსტანტინეპოლი. მონეტები მოჭრილია კონსტანტინეპოლში, 1-ქიზიკში.

აჭარის ტერიტორიაზე გამოვლენილი ბიზანტიური მონეტები ძირითადად აღმოჩენილია: ქობულეთ-ციხისძირ-ბობოყვათის სექტორში - 120-ზე მეტი ეგზემპლარი. გონიო-აფსაროსის არქეოლოგიური კამპანიების (1995-2000 წწ.) დროს აღმოჩნდა 6 ბიზანტიური საფასე;5 ცალი სხვადასხვა დროს შემთხვევით იპოვეს

ბათუმში. 1 - შემთხვევით აღმოჩნდა მახინჯაურში. 4 - გასული საუკუნის დასაწყისში, ქედაში (განსაზღვრა ე. პახომოვმა). 1- შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩიძეებში (გამოუქვეყნებელია). ბიზანტიური მონეტები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ფულად მიმოქცევაში ჩანს V საუკუნიდან. მათ შემოსვლას და ტრიალს სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიზეზები განაპირობებდა - ხან მილიტარისტული, ხანაც ეკონომიკური. ბიზანტიური საფასე მიმოიქცეოდა არა მხოლოდ ზღვისპირა ზოლში, არამედ აჭარის მაღალმთიან რაიონებშიც, XII საუკუნის ჩათვლით.

8. "Types of Burials and Funerary Practices in Mediavel Ajara"

XX საუკუნის 70-80-იან წლებში მნიშვნელოვანი კვლევა-ძიება განხორციელდა აჭარის სხვადასხვა ეპოქის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლისათვის. საგანძური შეივსო ქვის, ბრინჯაოს, ანტიკური და ფეოდალური ხანის არაერთი მონაპოვრით, რომელთა შორის საპატიო ადგილი დაიკავა სამარხეულმა ძეგლებმა. აჭარაში განვითარებული შუა საუკუნეების სამაროვნებიდან დღემდე შესწავლილია 180 სამარხი. მათ შორის: თხილვანაში - 35, ვერნებში - 23, თიკანაურში - 13, სხალთაში - 29, საციხურში 36, ვანაძეებში - 16, კალოთაში - 28.

დღეისათვის არსებული მონაცემების მიხედვით, შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი ტიპის სამარხები: 1. ორმოსამარხები; 2. ქვის სამარხები ანუ ე.წ. ქვაყუთები; 3. ამოშენებული კედლიანი სამარხები; 4. აკლდამა. ყველაზე მრავალრიცხოვანი (169) ორმოსამარხი აღმოჩნდა. აჭარის მაგალითზე ორმოსამარხები ერთ-ერთი ძირითადი და გავრცელებული სახეა აქაურ მკვიდრთა დაკრძალვის წესებში. ისინი ორი სახისაა: ინდივიდუალური და კოლექტიური.

ნაშრომში ვრცლადაა განხილული უშუალოდ სამარხის ტიპები და დაკრძალვის წესები შუა საუკუნეების აჭარაში.

9. "Serapes Cult in Roman Period Gonio-Apsarus"

ნაშრომში წარმოდგენილი და განხილულია რომაულ პერიოდში იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში, მათ შორის მცირე აზიასა და სამხრეთ–აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, გავრცელებული წარმართული კულტები, რომელთაგან ყველაზე დიდი პოპულარობით სერაპისისა და იუპიტერ-დოლიქენუსის კულტები

სარგებლობდა. ახ.წ. I საუკუნიდან სერაპისის კულტი აქტიურად ვრცელდება იმპერიის დასავლეთ რეგიონებში და ჩანს რომ, თვით იმპერიის ცენტრშიც იკიდებს ფეხს. გარდა ამისა, მეტად საინტერესოა სხვადასხვა მკვლევართა დაკვირვებაც, იმის შესახებ, რომ სერაპისის კულტს არაერთი პარალელი ეძებნება ძველქართულ წარმართულ პანთეონთან. თავის მხრივ, საინტერესოა გონიო–აფსაროსის ციხე–სიმაგრის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მონუმენტური ნაგებობის ნაშთები, რომელიც შესაძლებელია სერაპისის საკურთხეველს წარმოადგენდეს. ასევე აღსანიშნავია სერაპისის მინიატურული ქანდაკება, რომლის საკმაოდ ბევრი ანალოგია აღმოჩენილი რომაული ეპოქის სამხრეთ შავიზღვისპირა ცენტრებში (სინოპე, ამისო, ჰერაკლეა და ა.შ).

თავის მხრივ, კიდევ უფრო მეტ ინტერესს იწვევს იუპიტერ-დოლიქენუსის კულტის მინიატურული ქანდაკებები, რომელთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი გონიო-აფსაროსში წარმოებული სამუშაოების შედეგადაა აღმოჩენილი. სავარაუდოა, რომ რომაულ ეპოქაში აფსაროსში მდგომ მცირე აზიიდან რეკრუტირებულ გარნიზონში ფართო რელიგიური აღმსარებლობის მქონე ჯარისკაცები მსახურობდნენ.

10. “New and Revised Tile Stamps from the Roman Fort Apsarus”

ნაშრომში განხილულია დამღების რამდენიმე ნიმუში, რომლებიც აღმოჩნდა გონიო-აფსაროსის ნაქალაქარის ტერიტორიაზე. ერთ-ერთი, მეტად საინტერესო აღმოჩენა მოხდა 2018 წელს, როცა მოზაიკიანი იატაკის ტერიტორიაზე მიკვლეულ იქნა კრამიტების ყრილს. კრამიტები, როგორც ჩანს განკუთვნილი იყო აქ არსებული ნაგებობის სახურავისათვის, რომელიც დღეისათვის მოისაზრება პრეტორიუმად. აღნიშნული ნაგებობა, აგებული უნდა იყოს II საუკუნის პირველ ათწლეულში. სტრატიგრაფიაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ მოზაიკიანი ნაგებობის მთელ ტერიტორიაზე მიკვლეული სხვა კრამიტებიც ერთი და იგივე დანგრეულ ნაგებობას ეკუთვნოდა. კრამიტის ნატეხების განფენა კულტურულ ფენაში ცხადყოფს, რომ ნაგებობის სახურავის ჩამონგრევის შემდეგ, მომდევნო პერიოდში აქ არავითარ აღდგენით, ან ახალი ნაგებობის აგების მცდელობას ადგილი არ ჰქონია.

რაც შეეხება უშუალოდ დამღიან კრამიტებს, სამწუხაროდ, არცერთი მათგანი არ გახლავთ კარგად შემონახული, თუმცა მათი კარგად დამუშავების შემდეგ, მაინც მოხერხდა 14 ლათინურად შესრულებული დამღის ფრაგმენტის იდენტიფიცირება. განხილული დამღები აჩვენებს კოჰორტის კუთვნილებას, ან მის მიერ შესაბამისი პროდუქციის წარმოებას.

11.“Roman Garrisons in South East Black Sea Region and Their Supply Systems According to Archaeological Materials”

ნაშრომში ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, განხილულია სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მდგომი რომაული გარნიზონების მომარაგების სისტემა. კვლევის მიზანი რომაული პერიოდის ციხე-სიმაგრეებში მდგომი გარნიზონების მომარაგების პრობლემის კომპლექსური შესწავლა, მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი გახლდათ მომარაგების ძირითადი ცენტრების იდენტიფიცირება, მომარაგების სპეციფიკის, ინტენსივობის და სხვ. საკითხთა განსაზღვრა. ისტორიული წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე შესაძლებელი გახდა იმ ძირითადი (მცირე აზიური) მომარაგების ცენტრების განსაზღვრა, რომლებიც სხვადასხვა პროდუქციითა და საჭირო რესურსით ამარაგებდნენ გონიო-აფსაროსის და პეტრას ციხე-სიმაგრეებში მყოფ გარნიზონებს.

12. “The bulding activity Legio V Macedonica in the territory of Roman Empire and abroad during the principate period”

ნაშრომში საუბარია მეხუთე მაკედონურ ლეგიონზე, რომლის ფორმირების დრო, ადგილი და გარემოებები, სამწუხაროდ ზუსტად არ გახლავთ ცნობილი. ერთ-ერთ წყაროში ნახსენებია აგრიპას მიერ მეხუთე ლეგიონის ვეტერანების ბეირუთში ჩასახლება. რა თქმა უნდა, პირველი პროვინცია, სადაც ლეგიონი განლაგდა, იყო მაკედონია, საიდანაც არმიის ნაწილები დუნაის ქვემო ნაწილში, მეზიის პროვინციის ტერიტორიაზე გადავიდნენ. ეპიგრაფიკულ მასალებზე დაყრდნობით ლეგიონმა თავისი ბაზა კლავდიუსის მეფობის დროს (41-54 წ.), ან შესაძლოა უფრო ადრეც დააარსა. ლეგიონი ასევე ცნობილია თავისი ექსპედიციებით აღმოსავლეთში. მთელი

ლეგიონის გადაადგილებისა და თანმიმდევრული მუდმივი ბანაკების განლაგების შესახებ ჯერ კიდევ ცოტა რამ არის ცნობილი. არქეოლოგიური მასალების უახლესი კვლევებით დგინდება ლეგიო მაკედონიკის კავშირი გონიო-აფსაროსთანაც, რაც თავის მხრივ, კიდევ უფრო მეტ ინტერესს აჩენს.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1.საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ელზა ფუტკარაძე
2. ელზა ფუტკარაძე, როინ მალაყმაძე
3. ნარგიზ ახვლედიანი, ა. კაშია
4. ნარგიზ ახვლედიანი, დიანა ახვლედიანი
5. ნარგიზ ახვლედიანი
6. ნაილე მიქელაძე
7. ნაილე მიქელაძე
8. ნანული ნოღაიდელი
9. ნაილა ჩელებაძე
10. ნაილა ჩელებაძე
11. ნაილა ჩელებაძე
12. თამილა ლომთათიძე
13. თამილა ლომთათიძე
14. თამილა ლომთათიძე
15. თამილა ლომთათიძე
16. ნოდარ კახიძე
17.ნუგზარ ჩხაიძე
18. ოლეგ ჯიბაშვილი, ირაკლი ბარამიძე, ხათუნა დიასამიძე
19. ოლეგ ჯიბაშვილი
20. ოლეგ ჯიბაშვილი
21. ოთარ თურმანიძე

22. უჩა ოქროპირიძე

23. უჩა ოქროპირიძე

24. უჩა ოქროპირიძე

25. გიორგი თავამაიშვილი

26. მაია ჭიჭილეიშვილი

27. ირინე ვარშალომიძე, ნინო ძნელაძე

28. ირინე ვარშალომიძე, ნინო ძნელაძე

29. მერაბ მეგრელიშვილი, ნიკოლოზ მეგრელიშვილი

30. რადოსლავ კარასიევიჩ-სციპიორსკი, სულხან მამულაძე

31. როინ მალაყმაძე

2) მოხსენების სათაური

1. მუჰაჯირ ქართველთა პოეტური ამონაკვნესები.

2.იბრაიმ გორაძის ცხოვრება და მოღვაწეობა – ძახილი სამშობლოსაკენ.

3.ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში დადასტურებული რამდენიმე გეოგრაფიული სახელწოდების გარკვევისათვის

4. ჩერქეზულ-ადიღეური ნაკვალევი ბათუმის შემოგარენში

5. "ორთაბათუმი"- ს განმარტებისათვის

6.ზოგიერთი ტოპონიმის გააზრებისათვის ბათუმის შემოგარენიდან (9 მარტის ქუჩის გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგია)

7. ტოპონიმები დიდაჭარიდან

8. სალიტერატურო ენის გამოყენების არასახარბიელო რეალობა პრაქტიკაში (ბათუმის მაგალითზე).

9. ცნობები ბათუმის ცხოვრებიდან (საარქივო მასალების მიხედვით)

10. მარიამ ღვთისმშობელი დიდაჭარელთა მეხსიერებაში

11. ღვთისმშობელი დიდაჭარელთა ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მასალების მიხედვით

12. ბუნების ძალათა აღორძინების რიტუალები ისტორიული ტაოს მკვიდრთა ყოფაში

13. საწესო სანახაობათა გენეზისის შესწავლისათვის აჭარაში

14. ვიზუალური ეთნოგრაფიული მასალა სამუზეუმო სივრცეში (21-ე საუკუნის გამოწვევები)

15. მართლმადიდებლური საკრალური სივრცე პოლიკონფესიურ ბათუმში (ისტორიული გამოცდილება და თანამედროვეობა)

16.შავი ზღვის სანაპიროსა და დასავლეთ კავკასიის მხარეთმცოდნეთა მეორე ყრილობა ბათუმში 1925 წელს

17. ქ. ბათუმში მცხოვრები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა ცხოვრების პირობები და საქმიანობა (სოციოლოგიური კვლევის ანალიზი)

18. „საქალაქო ცხოვრების განვითარების ისტორიიდან ბათუმში (XIX საუკუნის30-50-იანი წლები)“

19. „ბრძოლა ბათუმის გამოხსნისათვის - 1921 წლის 18-20 მარტი“

20. „შტრიხები დავით აღმაშენებლის პიროვნული პორტრეტისათვის (ჯანსუღ ღვინჯილიას „სული აღმაშენებლის“ მიხედვით)“

21. „ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის ისტორიისათვის“

22. „ქობულეთელთა როლი ბათუმისათვის ბრძოლაში 1877-1878 რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს“

23. „საერთაშორისო ვითარება საქართველოს ირგვლივ 1917-21 წლებში“

24. „დავით აღმაშენებლის რეფორმები“

25. „არქეოლოგიური გათხრები პეტრა-ციხისძირში 2021 წელს“

26. „XX საუკუნის დასაწყისის სააგარაკო სახლი მახინჯაურში“

27. „.ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცული მაკედონიის სამეფოში მოჭრილი მონეტები“,

28. “Roman Coins from the Khariton Akhvlediani Museum”

29.„ბათუმი ინგლისელთა მმართველობის პერიოდში 1918-1920 წწ.“

30. “Earliest Buildings in the Gonio-Apsarus Castellum”

31. მცირე მოგონებები ეთნოლოგ ჯულიეტა რუხაძეზე

3) ფორუმის ჩატარების დრო დ აადგილი

1. 18 ივნისი, გორი, გორის სასწავლო სახელმწიფო უნივერსიტეტი

2. 2-3 ივლისი, თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

3. 23 -24 სექტემბერი, თბილისი, არ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

4. 9-11 ნოემბერი, თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

5. 26-27 ნოემბერი, თბილისი, საქ. სახელმწიფო არქივი

6. 27-28 მაისი, ბათუმი, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

7. 12 მაისი, ბათუმი, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

8. 27-28 მაისი, ბათუმი, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

9. 27-28 მაისი, ბათუმი, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

10. 12 მაისი, ბათუმი, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

11. 27 აგვისტო, ბათუმი, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

12. 2-3 ივლისი, თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

13. 9-10 ივლისი, თბილისი, თსუ-ს ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

14. 16-18 ნოემბერი, ბათუმი, აჭარის სამუზეუმო გაერთიანება

15. 27-28 მაისი, ბათუმი, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

16. 27-28 მაისი, ბათუმი, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

17. 27-28 მაისი, ბათუმი, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

18. 27-28 მაისი, ბათუმი, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

19. 23 მარტი, ბათუმი, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

20. 23 ნოემბერი, ბათუმი, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

21. 27-28 მაისი, ბათუმი, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

22. 27-28 მაისი, ბათუმი, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

23. 23 მარტი, ბათუმი, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

24. 23 ნოემბერი, ბათუმი, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

25. 22-24 დეკემბერი, თბილისი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

26. 27-28 მაისი, ბათუმი, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

27. 27-28 მაისი, ბათუმი, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

28. 23 სექტემბერი, თბილისი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

29. 27-28 მაისი, ბათუმი, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

30. 27-28 მაისი, ბათუმი, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

31. 9-10 ივლისი, თბილისი, თსუ-ს ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

3. ნაშრომში ვცდილობთ თურქეთის არქივთსაცავებში დაფიქსირებულ ქართულ ტოპონიმთა ჩაწერილობის გარკვევას, ასე მაგალითად, კაჰაბირი, თუ კახაბერი, ჩაქო თუ ჩაქვი, დევასკილი თუ დევსქელი? თუმცა გვაქვს გამონაკლისი შემთხვევა, როცა ტოპონიმი პირდაპირ დღევანდელი სახითაა დაფიქსირებული. ეს გახლავთ ტოპონიმი: „ „შეკვეთილი“

4. დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთში ჩერქეზულ-ადიღეური სუბსტრატი შეინიშნება. ნაშრომში განვიხილავთ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში დადასტურებული ტოპონიმ „ერგე“-ს ეტიმოლოგიისა და მისი სახელდების მოტივაციის ჩვენეული ახსნის ცდას.

7.ნაშრომში საუბარია, დიდაჭარაში არსებულტოპონიმებზე. მათგან ყურადსაღებია: **,,თარანგელოზი“||თარანგელო||თარანგელოსერი“, ,,ნაკაფისერი“,ხუციქედი“, ,,დედოფლისგზა“, ნასაყდრალი, საყდარი, ნაეკლესიარი და სხვ.ა სევეჯვართან დაკავშირებული ტოპონიმებიც: ნაჯვარევი, ჯვარი, ჯვარები, ჯვართანი** და სხვა. განსაკუთრებით საგულისხმოა, დიდაჭარის მიმდებარე სოფლებისა და უბნების გეოგრაფიული სახელები, რამეთუ აღნიშნულ ტოპონიმებს არაერთი თქმულება - გადმოცემა უკავშირდება.

10. ანოტაცია - დიდაჭარის მოსახლეობამ საკმაოდ კარგად შემოინახა მარიამ ღვთისმშობლის სახელი და მისდამი თაყვანისცემა. წმინდა ანდრია პირველწოდებულის მიერ დიდაჭარაში ღვთისმშობლის ხატის შემობრძანებისა და ქრისტიანობის გავრცელების საკითხს, გარდა არსებული წერილობითი წყაროებისა, დამაჯერებლობას სძენს დიდაჭარის მოსახლეობის მეხსიერებაში შემონახული სხვადასხვა სახის გადმოცემები, შელოცვები, ღვთისმშობლის ხატის დაბრძანებისა და პირველი ეკლესიის ადგილას პატივისცემისა და თაყვანისცემის მიზნით მოსახლეობის მიერ ცალკეულ რიტუალთა აღსრულება, სოციალურ-კულტურულ და სამეურნეო ყოფაში შემორჩენილ ცალკეულ ელემენტთა შემონახულობა.

11. ანოტაცია - მოხსენებაში საუბარია დიდაჭარის ლოკალიზაციის შესახებ, კერძოდ, ნათქვამია, რომ იგი ადრეულ პერიოდში უფრო ვრცელ არეალში ლოკალიზდებოდა. თუ უფრო ადრე არა, გარკვეულ პერიოდში დიდაჭარის სახელწოდება უნდა ყოფილიყო დედოაჭარა ანუ დედააჭარა, რაც ზემო აჭარის მოსახლეობაში დღემდეა ნათლადაა შემონახული და ამას ხსნიან ამ მხარის რელიგიურ-კულტურული, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დატვირთვითაც. ასევე, ნავარაუდევია ის გარემოებაც, რომ დედოაჭარას//დიდაჭარასთან გარკვეულად უნდა იყოს დაკავშირებული დედოწმინდა, რომელიც ერთ-ერთ ზემოაჭარულშელოცვაშიცაა ნახსენები.

12. ანოტაცია - მოხსენებაში მიმოხილულია ისტორიული ტაოს მკვიდრთა მეხსიერებაში შემონახული საკარნავალო რიტუალები რომლებიც გვხვდება როგორც საგაზაფხულო, ასევე საახალწლო დღესასწაულების ციკლსა და საზაფხულო - მარიობა//მემხლიანობა//შუამთობის დღესასწაულის დროს. მოხსენებაში მიმოხილულია ისეთი საკარნავალო რიტუალები, როგორიცაა ბერობანა, ქურთობა, თავუქბარი, ხიდირელეზი, ფათიკო//ფატმა, მარიობა და სხვ., რომელთა მთავარი იდეა ბუნების ძალთა აღორძინება, ნაყოფიერებისა და შვილიერების უზრუნველყოფა, ხვავისა და ბარაქის დაბედება იყო. მიუხედავად იმისა, რომ ტაოს მკვიდრთა ყოფაში ეს რიტუალები ძალზე სახეცვლილი ან ცალკეული ფრაგმენტების სახითაა შემონახული, მათი ჩაღრმავებული კვლევა ავლენს ბუნების ძალთა აღორძინების საერთოქართული ხალხური დღესასწაულების მსგავს ელემენტებს და საშუალებას

იძლევა განვსაზღვროთ ამ ლოკალური რიტუალების ადგილი ერთიან ქართულ საკარნავალო სისტემაში.

14. ანოტაცია - გლობალიზაცია ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს მუზეუმებს. ხდება კულტურული სტერეოტიპების ცვლა. ახლა უკვე მხოლოდ მხარის ყოფის გაცნობა ვერ იქნება ეთნოგრაფიული ექსპოზიციის მიზანი. ეს დღეს სხვა წყაროებითაცაა შესაძლებელი. ამიტომ ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს სხვადასხვა კონტექსტში, ექსპოზიცია უნდა იყოს მრავალკომპონენტიანი, რომ იყოს საინტერესო და მიმზიდველი არა მხოლოდ როგორც მხარის ისტორიული სინამდვილის წარმოჩენის და ხალხის ეთნოკულტურის მომავალი თაობებისათვის გაცნობის საშუალება, არამედ როგორც დიდი ტურისტული პოტენციალის მატერებელი სამუზეუმო ელემენტი. ახლა მთელ მსოფლიოში იცვლება სამუზეუმო ექსპოზიციების მოწყობის და ფონდების გამოყენების კონცეფცია. ამ კონცეფციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვიზუალურ მასალას: ფოტოები, აუდიო, კინემატოგრაფიული და ვიდეომასალები, აფიშები, ნახატები და სხვ. დღეს მეტი ტექნიკური საშუალებაა იმისათვის, რომ ნივთიერი კულტურის გვერდით თავისი ადგილი დაიკავოს ვიზუალურმა წყაროებმა. მეტი ვიზუალიზაცია საშუალებას იძლევა, რომ მოვლენა, არტეფაქტი აღქმული იყოს სრულყოფილად, მთლიანობაში. ეს ტურიზმისთვისაც საინტერესო იქნება და ახალგაზრდა თაობისთვისაც. ვიზუალიზაციის გარეშე ნივთი მკვდარია და ძნელია მისი აღქმა. ვიზუალური მასალა ეთნოგრაფიული მოვლენის, ეპოქის ეთნოკულტურული სინამდვილის რეკონსტრუქციის, ჩაღმავებული კვლევის, საკითხების დაზუსტების საშუალებას იძლევა.

მუზეუმების წინაშე XXI საუკუნის გამოწვევაა ახალი ეთნოგრაფიული ექსპოზიციების და ფონდების შექმნის პრობლემაც. ტრადიციულად, მიჩნეულია, რომ ეთნოგრაფიული მასალა არის წარსულის ამსახველი. მაგრამ დღევანდელი ყოფაც წლების შემდეგ ეთნოკულტურის ნაწილად იქცევა. ამიტომ მუზეუმების წინაშე დგას თანამედროვე ყოფის და უახლოესი ეპოქების ამსახველი მასალის მოპოვების, დაფიქსირების და შესწავლის ამოცანაც. განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება ქალაქების ეთნოგრაფიას. ამ მიმართულებითაც ფასდაუდებელია ვიზუალური მასალა,

რომელსაც შეუძლია შეინახოს და ექსპოზიციაში წარმოადგინოს თანამედროვეობის ამსახველი ძალზე მნიშვნელოვანი ეთნოკულტურული ინფორმაცია.

18. მოხსენებაში ყურადღება გამახვილდა 1921 წლის თებერვალ-მარტში ბათუმის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე, გაშუქდა ის სახიფათო პროცესები, რამაც მისი დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე დააყენა ქართველი ერი. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ საყოველთაო აღტკინებას, რამაც ერთად დარაზმა სხვადასხვა კუთხის (მათ შორის ეთნიკური აფხაზებიც), სხვადასხვა მსოფლმხედველობის და სხვადასხვა აღმსარებლობის ქართველები და გენერალ გიორგი მაზნიაშვილის მეთაურობით ერთ მუშტად შეკრა ისინი ყველასათვის მშობლიური ბათუმის გადასარჩენად.

19. მოხსენებაში ხაზი გაესვა დავით აღმაშენებლის პიროვნულ როლს საქართველოს აღდგენის საქმეში. მან არა მარტო საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ვითარება და საერთაშორისო მდგომარეობა ასწია რეკორდულ სიმაღლეზე, არამედ უზარმაზარი გავლენა მოახდინა ქართველი ერის ზნეობაზე, შინაგან სამყაროსა და მსოფლმხედველობაზეც, და ეს გავლენა იყო დადებითი, სასიკეთო და ღვთისაგან კურთხეული. მისი ყოველი ნაბიჯი გათვლილი იყო აღეზარდა ერში ის აუცილებელი თვისებები, რაც მოზღვავებულ მტერთან უთანასწორო ბრძოლაში გარანტირებულ გამარჯვებას მოუტანდა ქართველობას და ეს, ღვთის შეწევნით, შესძლო კიდეც. „ძლევაი საკვირველი“ დავითის პირადი ღვაწლისა და მადლის შედეგი იყო.

20. მომხსენებელმა მსმენელთ გააცნო ის საერთაშორისო ვითარება, რაც შეიქმნა 1917-21 წლებში და წინ უძღოდა ბათუმის მოვლენებს, სიღრმისეულად ახსნა ის მიზეზები, რამაც მოამზადა ნიადაგი საქართველოს როგორც სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის, ისე ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვისათვის.

23. მომხსენებელმა იმსჯელა დავით აღმაშენებლის მიერ ჩატარებული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული, საეკლესიო, სასამართლო, სამხედრო თუ სხვა რეფორმების შესახებ. გამოთქვა ვარაუდი, რომ რუის ურბნისის საეკლესიო კრების ერთ-ერთ მიზანს ხომ არ წარმოადგენდა ქართულ ეკლესიაში ებრაული გავლენის შესუსტება და მისი აღმოფხვრა, სამხედრო რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი კი ქვეყნის საშინაო სტაბილიზაციის უზრუნველყოფა გახლდათ, რისი მიღწევაც უცხო, ყივჩაღურ

ელემენტზე დაყრდნობით სრულიად შესაძლებელი ჩანდა. ხაზია გასმული საქართველოში შემოღებული სასამართლო ორგანოს „სააჯო კარის“ და საერთოდ, აღნიშნული რეფორმის დემოკრატიულ ხასიათზე.

24. 2021 წლის ზაფხულში განახლდა არქეოლოგიური კვლევა-ძიება პეტრას ციხეზე. აჭარის არ კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან შეთანხმებული გეგმით გადაწყდა გათხრების გაგრძელება ციტადელის იმ უბნებზე, რომელთა შესწავლა დავიწყეთ ჯერ კიდევ 2020 წელს. კერძოდ: სამნავიანი ბაზილიკის გარე პერიმეტრის კონტურების დაზუსტების და ახლად აღმოჩენილი მოგვიანო პერიოდის გალავნის ციხის №3 კოშკთან კავშირის დადგენის მიზნით, დაიგეგმა არქეოლოგიური სამუშაოები სამნავიანი ბაზილიკის ნართექსის დასავლეთის მონაკვეთის და ბაზილიკის სამხრეთი ნავის სამხრეთით მომიჯნავე ტერიტორიაზე. შიდაციხის სიტუაციური გეგმის მიხედვით, სამუშაო უბანმა მოიცვა საკმაოდ დიდი სივრცე, რომელიც შემოისაზღვრა ციხის №3 კოშკის აღმოსავლეთ კედლით, სამეურნეო ნაგებობის ჩრდილოეთ კედლით, სამნავიანი ბაზილიკის სამხრეთი ნავის და საკურთხევლის სამხრეთ კედლით და აბანოს ჩრდილოეთ კედლით.

შევისწავლეთ შიდაციხის №3 კოშკის მიმდებარე ტერიტორია. აღნიშნული კოშკის აღმოსავლეთი კედელის გაყოლებაზე, ჩრდილოეთით, შემორჩენილია ძველი გალავნის ნაწილი. უშუალოდ კოშკის აღმოსავლეთ კედელზე მიშენებული აღმოჩნდა მოგვიანო გალავნის ნაშთი (შემორჩენილი წყობის სიმაღლე: 0.30-0.65 მ. სიგანე:0.7-1.0 მ.), რომელიც 2020 წელს აღმოჩენილი გალავნის გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს. ეს უკანასკნელი კი სამნავიანი ბაზილიკის ნართექსის კედელზე ჩრდილო-დასავლეთ კუთხეშია საკმაოდ უხეშად არის მიშენებული, რაც გვაფიქრებინებს, რომ ახალი გალავანი, ქრონოლოგიურად, სამნავიანი ბაზილიკის ფუნქციონირების შეწყვეტის შემდეგ უნდა იყოს გაკეთებული.

№3 კოშკის აღმოსავლეთ კედელთან, ციხის შიგნით, გაითხარა ფლეთილი და რიყის ქვებისგან შედგენილი და დუღაბით შეკრული წყლის სადინარი, რომელიც ზემოდან ფლეთილი ქვებით უნდა ყოფილიყო გადახურული.

გაიწმინდა ე.წ. სამეურნეო ნაგებობის ჩრდილოეთი კედლის მიმდებარე ტერიტორია. აღნიშნული კედელი, ფაქტობრივად თხემამდე, მიწით იყო შევსებული. ადრეულ ანგარიშებში ის ერთ ნაგებობად იყო მიჩნეული, რომელიც ორი ტიხრით სამ

ნაწილად იყო გაყოფილი. მიუხედავად იმისა, რომ წელს სრულფასოვნად ვერ შევის-წავლეთ აღნიშნული ნაგებობის შიდა სივრცე, ნაგებობის გარე კედლის შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სხვადასხვა დროის ნაშენობასთან უნდა გვქონდეს საქმე. ალბათ, უფრო მართებული იქნება ისინი სათავსოებად მოვიხსენიოთ. მოსაზრება აღნიშნული ნაგებობების ზოგადი ხასიათის შესახებ (სამეურნეო სათავსო) შეიძლება გავიზიაროთ, მაგრამ კონკრეტულ ფუნ-ქციონალურ დანიშნულებაზე საუბრისგან თავს ვიკავებთ. მეორე სათავსო მოგვიანო მინაშენი უნდა იყოს და მიმდებარე ნაგებობათა კონტექსტში წყლის სადინარის და ახ-ალი გალავნის თანადროულად შეიძლება მივიჩნიოთ.

შევისწავლეთ ტერიტორია ადრეშუასაუკუნეების ეპოქის აბანოს მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც არქეოლოგიური კვლევა წინა წლებშიც იყო ჩატარებული. აღნიშნულ უბანზე მკაფიოდ გამოიკვეთა ფლეთილი ქვებისგან ამოყვანილი ჭის კონტურები და აბანოსთან დაკავშირებული ქვების და კერამიკული ფილებისგან შედგენილი სვეტები, რომელიც აბანოს წინ მოწყობილი მსუბუქი კონსტრუქციის ნაშთს უნდა წარმოადგენდეს.

წლევანდელი გათხრებით ციხის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი დაზუსტდა. უფრო მკაფიოდ გამოჩნდა ციხის არქიტექტურული დეტალები, მშენებლობის ტექნიკა, ბაზილიკა და აბანო, მოგვიანო მინაშენებით, ვიზუალურადაც უკეთ იკითხება. ჩვენი აზრით, ძეგლის დღევანდელი სახე მნიშვნელოვნად დაეხმარება ჩვეულებრივ მნახველსაც სრული წარმოდგენა შეიქმნას პეტრას ციხეზე სხვადასხვა ეპოქაში მიმდინარე საბრძოლო, საეკლესიო, სამშენებლო და სამეურნეო ცხოვრების შესახებ.

25. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაული ექსპანსიის კვლევისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის აქ მოპოვებული ნუმიზმატიკური მასალა. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ბათუმის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცული რომაული ხანის მონეტები, რომლებიც აქამდე შეუსწავლელი და გამოუქვეყნებელი იყო. ადგილობრივი მოსახლეობისაგან შეძენილი სპილენძისა და ვერცხლის ფული სავარაუდოდ გონიოსა და ციხისძირში განლაგებული რომაული გარნიზონების ჯარისკაცების გასამრჯელოს წარმოადგენდა. სულ შესწავლილია რომში, ლუგდუნუმში კაბადოკიაში, ანტიოქიაში, სირმიუმში, ტომში მოჭრილი

რომაული პერიოდის 35 მონეტა. სიახლეა რეგიონში რესპუბლიკური რომის დენარების არსებობა: კონსული ვალერიუს ფლაკუსის (ძვ. წ. 140-137 წწ), ლუციუს ანტესტიუს გრადულუსის (ძვ. წ. 136 წ), მითრიდატე VI პონტოელის (ძვ. წ. 90-80 წწ), მარკუს პორციუს კატონი უმცროსის (89 წ), ფურიუს კრასსიპესის (ძვ. წ. 83 წ), ნევიუს ბალბუსის (ძვ. წ. 79 წ) სახელით მოჭრილი მონეტები. შესწავლილია რომის იმპერიის ავგუსტუსის (ძვ. წ. 63- ახ. წ. 14 წ), რესკუპორის I (67/68 წ - 91/92 წწ), ვესპასიანეს (69-79 წწ), ტრაიანეს (98-117 წწ), საბინას (II ს), ანტონინუს პიუსის (138-161 წწ), ფაუსტინა უმცროსის (147-180 წწ), ლუცილას (164-169 წწ), კომოდუსის (177-192 წწ), გეტას (211-212 წწ), ალექსანდრე სევერუსის (222-235 წწ), მაქსიმინუს I (235-238 წწ), ფილიპე II (244-249 წწ), პრობუსის (276-282 წწ), დიოკლეტიანეს (III ს), ავრელიანეს (III ს), გორდიანე III (238-244 წწ), გალიენუსის (260-268 წწ), კონსტანტინე დიდის (306-337 წწ), ლიცინიუსის (308-324 წწ), კონსტანციუს II (337-361 წწ), ჰონორიუსის (393-423 წწ) სახელით მოჭრილი 29 მონეტა.

ამ მონეტების შესწავლა მნიშვნელოვანია რომაული ხანის საქართველოში სამონეტო მიმოქცევის საერთო სურათის სრულყოფისათვის.

8. 2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. Naile Mikeladze, Elza Putkaradze, Naila Chelebadze .

2. Elza Putkaradze, Naile Mikeladze.

3. Oleg Jibashvili, Irakli Baramidze, Khatuna Diasamidze

4. Dominik Kasab-Tezgori (Bilkent University, Ankara, Turkey), Nino Inaishvili (BSU, Niko Berdzenishvili Institute)

5. Merab Khalvashi (BSU), Nino Inaishvili (BSU, Niko Berdzenishvili Institute)

6. Irine Varshalomidze, Nino Dzneladze

7. Roin Malakmadze, Sulkhan Mamuladze

2) მოხსენების სათაური

1. Pagan-Christian customs in the folklore of Adjara (წარმართულ-ქრისტიანული wes-CveulebaaWaris ფოლკლორში).
2. Toponyms Related to Christianity in Upper Ajara (ქრისტიანობასთან დაკავშირებული ტოპონიმები ზემო აჭარაში).

3. Religion and National Identity(on the Example of the Georgian Catholics from VillageVeli)
4. გვიანი კოლხური ჭურჭელი და შემკულობის ხანგრძლივი ტრადიცია (ინგლისურ ენაზე)
5. რომაული და ადრებიზანტიური ამფორების ახალი აღმოჩენები აღმოსავლეთ შავი ზღვის სანაპიროდან (ინგლისურ ენაზე)
6. Byzantine Coins Preserved at Khariton Akhvlediani Museum
7. Types of Burials and Funerary Practices in Mediavel Ajara

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. November 15-19, 2021; Kazan, Kazan Federal University.

2. September 20-21, 2021; Constanta , Constanta University
3. September 20-21, The International Scientific Online Symposium“The Religion and The Law”; Organizers: Romanian National Academy of Sciences, BSU Niko Berdzenisvili Institute and Constanta University; 2021
4. 13-15 ივნისი, საერთაშორისო ონლაინ-კონფერენცია: „ამფორები და ამფორების წარმოება შავი ზღვის აუზში“-IV. Zoom-ის პლატფორმის საშუალებით. ორგანიზატორები: ბილკენტის უნივერსიტეტი (ანკარა, თურქეთი), რუმინეთის აკადემიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის კვლევის ინსტიტუტი (ბუქარესტი, რუმინეთი), შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი (ბათუმი, საქართველო) კონფერენციის ვებგვერდი: http://patabs.ge

5. 13-15 ივნისი, საერთაშორისო ონლაინ-კონფერენცია: „ამფორები და ამფორების წარმოება შავი ზღვის აუზში“-IV. Zoom-ის პლატფორმის საშუალებით. ორგანიზატორები: ბილკენტის უნივერსიტეტი (ანკარა,თურქეთი), რუმინეთის აკადემიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის კვლევის ინსტიტუტი (ბუქარესტი, რუმინეთი), შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი (ბათუმი, საქართველო) კონფერენციის ვებგვერდი: http://patabs.ge

6. September 20-21, The International Scientific Online Symposium“The Religion and The Law”; Organizers: Romanian National Academy of Sciences, BSU Niko Berdzenisvili Institute and Constanta University; 2021

7. September 20-21, The International Scientific Online Symposium“The Religion and The Law”; Organizers: Romanian National Academy of Sciences, BSU Niko Berdzenisvili Institute and Constanta University; 2021

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. მოხსენება იბეჭდება საერთაშორისო ონლაინ-სიმპოზიუმის “The Religion and The Law” მასალებში (იხილეთ ზევით)

2. თურქეთში, ტრაბზონის მუზეუმში დაცული ჭურჭელი, შეიძლება განისაზღვროს როგორც ამფორა. იგი შემთხვევითაა ნაპოვნი, ამოღებულია ზღვიდან. იგი ამ სახეობის ჭურჭლის იშვიათ ნიმუშს მიეკუთვნება, სფერული მუცლითა და ბრტყელი ძირით. აქამდე ცნობილი იშვიათი პარალელების მიხედვით, ის შეიძლება დათარიღდეს გვიანი პერიოდით, შესაძლოა IX ან X საუკუნით. თიხა ამჟღავნებს სიახლოვეს კოლხეთში დადასტურებული კოლხური ამფორების ერთ–ერთი ტიპის თიხასთან, რომელიც განეკუთვნება სამხრეთ–აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს. ჭურჭლის ზედაპირი დაფარულია თეთრი საღებავით, რომელიც შემკულია გამოწვამდე შესრულებული ჯგუფებად განლაგებული ნაკაწრი ხაზებით. ჰორიზონტალური ხაზების სერიას ცვლის ვერტიკალური, ან ზოგჯერ ირიბი ხაზების სერია. შემკულობის იგივე მოტივი წარმოდგენილია ვანში აღმოჩენილი კოლხური ამფორის ქვედა

ნაწილზე, რომელიც თარიღდება ძვ.წ. III-I საუკუნის შუა ხანებით. მსგავსი ორნამენტი წარმოდგენილია იმავე ძეგლზე აღმოჩენილ თანადროულ ქვევრებზე. გასაკვირია, რომ მსგავსი შემკულობა დასტურდება ქვევრებზე, რომლებიც დღესაც მზადდება შროშაში (იმერეთი, დასავლეთი საქართველო), რაც ხანგრძლივ ტრადიციას გვიჩვენებს. ამ ჭურჭლის მეორე დამახასიათებელი ნიშანია მისი ყურის ზედაპირზე გამოწვამდე გაკეთებული ვერტიკალური ჭდეები. ისინი წარმოდგენილია გვიანი პერიოდის და განსხვავებული წარმოშობის ამფორებზე და შესაძლოა ინტერპრეტირებული იყოს, როგორც ტევადობის აღმნიშვნელი ნიშნები. მსგავსი ჭურჭელი შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო მონასტრებს შორის ღვინით ვაჭრობისთვის. მისი მფლობელი შესაძლოა იყო ღვინის მწარმოებელი, მოვაჭრე ან ღვინის მომხმარებელი. ამფორის მცირე მოცულობა მიუთითებს საცალო ვაჭრობაზე, ხოლო ბრტყელი ძირი იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ იგი მომხმარების საკუთრებას წარმოადგენდა.

3. უახლესმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სანაპიროს რომაული და ადრებიზანტიური ხანის ორი უმნიშვნელოვანესი ძეგლზე: გონიო–აფსაროსსა და პეტრა–ციხისძირში გამოავლინა დიდძალი კერამიკული მასალა, რომლის უდიდეს ნაწილს წარმოადგენს ამფორები. ამ ამფორების კვლევამ წარმოაჩინა, რომ ახ.წ. პირველ საუკუნეში და მეორე საუკუნის შუა ხანებში, აფსაროსში განლაგებული რომაული სამხედრო ძალები ძირითადად მარაგდებოდნენ რომის იმპერიის დასავლეთი პროვინციებიდან და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთიდან, ხოლო მეორე საუკუნის შუა ხანებიდან სამხრეთ შავიზღვისპირული ცენტრები დომინირებენ. აღნიშნული სიტუაცია შენარჩუნდა ადრებიზანტიურ პერიოდშიც, რაც დასტურდება გონიოსა და ციხისძირის ახალი აღმოჩენებით.

4. მოხსენება იბეჭდება საერთაშორისო ონლაინ-სიმპოზიუმის "The Religion and The Law" მასალებში (იხილეთ ზევით)

5. მოხსენება იბეჭდება საერთაშორისო ონლაინ-სიმპოზიუმის "The Religion and The Law"მასალებში (იხილეთ ზევით)

სხვა აქტივობები:

1. ელზა ფუტკარაძემ სამეცნიერო სემინარზე წაიკითხა მოხსენება თემაზე- „ბიოგრაფიული შტრიხები იბრაიმ გორაძის ცხოვრება-მოღვაწეობიდან“.

2. ელზა ფუტკარაძე ინდივიდუალური ექსპედიციის ფარგლებში იმყოფებოდა სხალთის ხეობაში 2021 წლის 5-20 აგვისტოს.

3. ელზა ფუტკარაძე იყო ნ. წიკლაურის სადოქტორო ნაშრომის- „მოდალობა ქართულ დისკურსში“- რეცენზენტი.

4. ნარგიზ ახვლედიანმა სამეცნიერო სემინარზე წაიკითხა მოხსენება თემაზე- „მცენარის სახელდების მოტივაცია ერთ-ერთი უძველესი ტოპონიმის ფორმირებაში და მისი არქეოლოგიური კონტექსტი“.

5. ნარგიზ ახვლედიანი ინდივიდუალური ექსპედიციის ფარგლებში იმყოფებოდა პანკისის ხეობასა და ლეჩხუმის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში, 26 ივნისსა და 8 ივლისს.

6. ნანული ნოღაიდელმა სემინარზე წაიკითხა მოხსენება თემაზე-„საბავშვო გართობა-თამაშობების არქაიკა და ინოვაციები (ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები)“.

7. ნანული ნოღაიდელი არის აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს პროექტის „კულინარიული მოგზაურობა აჭარაში“- შემსრულებელი.

8. ნანული ნოღაიდელი არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „თავისუფალი პროექტების მხარდაჭერის“ კონკურსის ფარგლებში შესრულებული პროექტის „აჭარული ორნამენტების ციფრული კატალოგი“- კონსულტანტი.

9. ნაილე მიქელაძემ სემინარზე წაიკითხა მოხსენება თემაზე-„ შელოცვები აჭარულ ფოლკლორში“.

10. ნაილე მიქელაძე ინდივიდუალური ექსპედიციის ფარგლებში იმყოფებოდა ბეშუმში 15-30 აგვისტოს.

11. ნაილე მიქელაძე იყო რეცენზენტი ც. ფუტკარაძის სადოქტორო თემისა- „ისტორიულ პირთა მხატვრული სახეები მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში“.

12. ციალა ნარაკიძემ სემინარზე წაიკითხა მოხსენება თემაზე- „ თვითნასწავლი მხატვრისა და პოეტის ჰასან ჰელიმიშის შემოქმედება“.

13. ციალა ნარაკიძე მუშაობს წიგნზე „ლაზურის დარგობრივი ლექსიკა“.

14. სოლიდარობის თემისა და სოციალური სამართლიანობის ცენტრის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, “კრიტიკული პოლიტიკის სკოლა”, 2021 წლის 21 ნოემბერს ხულოში წაიკითხა ლექცია თემაზე „აჭარის მუსლიმი თემის ისტორია და პრაქტიკები საბჭოთა პერიოდში“

15. აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უცხოურენოვანი ლიტერატურის თარგმნის პროგრამის ფარგლებში 2020-2021 წლებში განხორციელდა პროექტი: მარტინ ფრედრიქსენის ნაშრომის „ახალგაზრდები, დრო და მოწყენილობა საქართველოს რესპუბლიკაში“. პოზიცია პროექტში: რედაქტორი.

16.2021 წლის 10-12 დეკემბერს, ბერლინში (გერმანია) დამოუკიდებელი სოციოლოგიური კვლევების ცენტრის (CenterforIndependentSocialResearche.V. Berlin (CISR e.V. Berlin)) მოწვევით მონაწილეობდა 2 დღიან კონგრესში „ActOutLoud“ როგორც ექსპერტი, დისკუსიების და სემინარების მონაწილე. საერთაშორისო საექსპერტო ჯგუფთან ერთად მიიღო მონაწილეობა კრებულის „Intheshadowof a bigcity: urbaninterventionsandlandscapesinthepost-Sovietspace” მომზადებაში და წაიკითხა მოხსენება „ბათომი-ბათუმი: ქალაქი, თუ მეორე ქალაქი?“. პროექტი დაფინანსებული იყო გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ.

16. **ოლეგ ჯიბაშვილი, პასუხისმგებელი რედაქტორი** კრებულისა ,,ბათუმი წარსული და თანამედროვეობა” (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), XI, გამომც.“ბათუმისშოთარუსთაველისსახელმწიფოუნივერსიტეტი”, ბათუმი,300 გვ., ISSN 1987-8745

17. ოლეგ ჯიბაშვილი, 27.04.2021 - სადისერტაციო საბჭოს წევრი დოქტორანტ ჰატიჯე ერთურქის მიერ ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომის – „დასავლეთ საქართველო ოსმალეთ-რუსეთის ურთიერთობებში XIX საუკუნის პირველ ნახევარში“ – საჯარო განხილვაზე.

18. **ოლეგ ჯიბაშვილი, 28.04.2021 - შემფასებელი** დოქტორანტ ქადირ გულდურის მიერ ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად შესრულებული ნაშრომისა – „იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობებიდან XVI-XVII Iსაუკუნეებში (ოსმალური და ქართული წყაროების მიხედვით)“.დაცვა შედგა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტში.

19. **ოლეგ ჯიბაშვილი,23.07.2021**- ჩაატარა გეგმიური საჯარო სემინარი თემაზე „რეპრესირებულთა საძმო სამარხები ბათუმში“

20. ნინო ინაიშვილი – სარედაქციო კოლეგიის წევრი კრებულისა ,,ბათუმი წარსული და თანამედროვეობა” (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), XI, გამომც.“ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი,300 გვ., ISSN 1987-8745

21. ნინო ინაიშვილი 31.05.2021 - ჩაატარა გეგმიური საჯარო სემინარი თემაზე „საერთაშორისო კონვენცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“

22. ოთარ თურმანიძე – სარედაქციო კოლეგიის წევრი კრებულისა ,,ბათუმი წარსული და თანამედროვეობა” (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), XI, გამომც.“ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი,300 გვ., ISSN 1987-8745

23. ოთარ თურმანიძე – 9.06.2021 - ჩაატარა გეგმიური საჯარო სემინარი თემაზე „სახელმწიფოორგანოებიაჭარაში 1921-1940 წლებში“

24. უჩა ოქროპირიძე – სარედაქციო კოლეგიის წევრი კრებულისა ,,ბათუმი წარსული და თანამედროვეობა” (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), XI, გამომც.“ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი,300 გვ., ISSN 1987-8745

25. უჩა ოქროპირიძე 28.04.2021 - სადისერტაციო საბჭოს წევრი დოქტორანტ ქადირ გულდურის მიერ ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომის – „იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობებიდან XVI-XVIII საუკუნეებში (ოსმალური და ქართული წყაროების მიხედვით)“ – საჯარო განხილვაზე.

26. უჩა ოქროპირიძე – 22.07.2021 - ჩაატარა გეგმიური საჯარო სემინარი თემაზე „პროფესორ დენიზა სუმბაძის ზოგიერთი ორიგინალური ხედვის გააზრებისათვის“

27. გიორგი თავამაიშვილი – სარედაქციო კოლეგიის წევრი კრებულისა ,,ბათუმი წარსული და თანამედროვეობა” (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), XI, გამომც.“ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი,300 გვ., ISSN 1987-8745

28.გიორგი თავამაიშვილი – 20.08.2021- ჩაატარა გეგმიური საჯარო სემინარი თემაზე „პეტრას ციხე ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შუქზე“

29. მაია ჭიჭილეიშვილი – სარედაქციო კოლეგიის წევრი კრებულისა ,,ბათუმი წარსული და თანამედროვეობა” (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), XI, გამომც.“ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი,300 გვ., ISSN 1987-8745

30. მაია ჭიჭილეიშვილი –2.07.2021 - ჩაატარა გეგმიური საჯარო სემინარი თემაზე „პეტრას ციხე ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შუქზე“

31. ირინე ვარშალომიძე – სარედაქციო კოლეგიის წევრი კრებულისა ,,ბათუმი წარსული და თანამედროვეობა” (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), XI, გამომც.“ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი,300 გვ., ISSN 1987-8745

32. ირინე ვარშალომიძე – 30.07.2021 - ჩაატარა გეგმიური საჯარო სემინარი თემაზე „ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცული ანტიკური ხანის ნუმიზმატიკური მასალა“

33. ირინე ვარშალომიძე – 16.10.2021 - რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის ფარგლებში ჩაატარა საჯარო სემინარი „ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში დაცული მონეტების კატალოგი“; თანამომხსენებელი ნინო ძნელაძე

34. ირინე ვარშალომიძე – 23.12.2021- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის წარდგენით, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო ღონისძიებაზე - „წლის

საუკეთესო მიღწევა“ - გააკეთა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით შექმნილი წიგნის - ,,ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში დაცული მონეტების კატალოგი'' (ავტორები: ირინე ვარშალომიძე, ნინო ძნელაძე) - პრეზენტაცია (გრანტი FR-17 504).

35. მერაბ მეგრელიშვილი – სარედაქციო კოლეგიის წევრი კრებულისა ,,ბათუმი წარსული და თანამედროვეობა" (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), XI, გამომც.“ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი", ბათუმი,300 გვ., ISSN 1987-8745

36. მერაბ მეგრელიშვილი – 15.07.2021 - ჩაატარა გეგმიური საჯარო სემინარი თემაზე „სომხები აჭარაში რუსული მმართველობის პერიოდში (XIX ს. დასასრული - XX ს. დასაწყისი)“

37. სულხან მამულაძე – სარედაქციო კოლეგიის **პასუხისმგებელი მდივანი** კრებულისა ,,ბათუმი წარსული და თანამედროვეობა" (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), XI, გამომც.“ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი", ბათუმი,300 გვ., ISSN 1987-8745

38. სულხან მამულაძე – 20.08.2021 - ჩაატარა გეგმიური საჯარო სემინარი თემაზე „რომაული გარნიზონები და სასაზღვრო ციხესიმაგრეები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში I-II საუკუნეებში“